

ლიბერალური
პარაქლეტი

Literarische Gigla Baramidse Parallelen

Wissenschaft
Publizistik
Übersetzung

Aufzeichnungen aus vergessenen Heften



„Lomissi“
Tbilissi
2002

ლიბერალური გიგლა მაჭაშიძე პარსლუები

მეცნიერება
პუბლიცისტიკა
თარგმანი

ჩანაწერები მივინყებული რვეულებიდან



„ლომისი“
თბილისი
2002

რამდენ ადამიანს შეუცვლია თავდაპირველი პროფესია და ნებით თუ უნებლიეთ სულ სხვა ასპარეზზე გასულა სამოღვაწეოდ.

განსაკუთრებით ხშირია ეს მოვლენა პოლიტიკოსებში.

ზოგს სრულიად მივიწყებია თავისი ადრინდელი ინტერესები თუ განზრახვანი, ზოგსაც გულის სიღრმეში შეუნარჩუნებია და, შესაფერისი დრო თუ დაუტყვია, მოუნდომებია მიბრუნება იმ ძველი გზისაკენ, პოეზია რომ გირჩევს: ნუ დააგდებო.

ასეთი „ძველი გზა“ ცნობილი პოლიტიკოსის — გიგლა ბარამიძისათვის სამეცნიერო თუ ლიტერატურული ინტერესებია.

ბევრისათვის ალბათ მოულოდნელი იყო ამ რამდენიმე წლის წინათ მის მიერ შედგენილი და სამეცნიერო აპარატურით აღჭურვილი „ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი მცირე ანთოლოგიის“ I ტომის გამოცემა (1997 წ.). მაგრამ ეს ისევე კანონზომიერია, როგორც სამეცნიერო და სალიტერატურო პერიოდიკაში მიმოფანტული მისი გამოკვლევებისა და სტატიების თავმოყრა და გამოცემა ამ ახალ წიგნად.

აქ მხოლოდ ადრინდელი ნაშრომები არ შეუტანია ავტორს. ქრონოლოგიური ჩარჩო საკმაოდ ვრცელია და 1979-2000 წლებს მოიცავს, რაც ნიშნავს, რომ პოლიტიკური მოღვაწეობის გვერდით იგი კვლავ აგრძელებდა და აგრძელებს „ძველ გზასაც“.

ყრებულში ავტორს არ შეუტანია პირნმინდად პოლიტიკური სტატიები თუ ინტერვიუები, რაც თემატურად სხვა რკალს ქმნის და ცალკეც გამოქვეყნდება.

რედაქტორი
როსტომ ჩხეიძე
მხატვარი
კარლო ფაჩულია

მეცნიერება

— საინტერესოდ არის გააზრებული, თუ როგორ ვითარდებოდა ჩვენში თეორიული აზროვნება, შეხედულებები ლიტერატურაზე, რა თეორიული ხასიათის პრინციპები და პრობლემებია განფენილი ჩვენს მხატვრულ ძეგლებში...

— სულხან-საბა ორბელიანის არაკები გამოირჩევიან ღრმა ფსიქოლოგიზმით, ადამიანის ხასიათის უმცირესი ნიუანსების ჩვენებით, ლაკონური და დახვეწილი თხრობის კულტურით.

— აშკარაა მსოფლიო ქრისტიანული სამყაროს სურვილი და მცდელობა აღადგინოს დასრულებული სიუჟეტის მქონე ისტორია ზოგადსაკაცობრიო რელიკვიის (ხელთულქმნელი კვართის) შესახებ მისი წარმოშობიდან დღემდე... უფლის უკერავი კვართი როგორც ოდითგან, დღესაც მცხეთაშია (სვეტიცხოველში) დასვენებული.

ბიბლიურ ციტატათა სტილური ფუნქცია „შუშანიკის წამების“ ქართულ და სომხურ რედაქციებში

მსოფლიო მწერლობისა და აზროვნების ისტორიის განვითარებაში, ქრისტიანულ მწერლობას უდიდესი წვლილი მიუძღვის. ადრინდელი საუკუნეებიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით, ქართულმა ქრისტიანულმა მწერლობამ გაიარა ყველა ის მნიშვნელოვანი საფეხური, რაც ამ მწერლობის განვითარებისა და დახვეწისათვის იყო საჭირო. ქრისტიანული მწერლობის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენდა ბიბლია, რომელზეც ცნობილი გერმანელი მეცნიერი ჰარნაკი ამბობდა: „Библия это книга, которую верующие люди христианской и иудейской религии считают своим священным писанием“

ქრისტიანულ მწერლობაში, განსაკუთრებით კი აგიოგრაფიაში, ბიბლია დომინირებულ როლს ასრულებდა. თითქმის ყველა აგიოგრაფი ავტორი ამ წიგნით ხელმძღვანელობდა. ხშირად აზრის სიმყარისათვის თავიანთ თხზულებებში, სიტყვა-სიტყვით ან ოდნავი შეცვლილი სახით გადმოჰქონდათ ბიბლიური ნააზრევნი, შეგონებები. უცხო არ იყო არც ბიბლიური სახეების გამოყენება. ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა იაკობ ცურტაველის თხზულება შუშანიკ დედოფალზე, მაგრამ ბიბლიური სახეები, ეს მეტად ფართო მცნებაა და მასზე მსჯელობა ძალზედ შორს წაგვიყვანს. ამჯერად კი ჩვენ შევჩერდებით ავტორის მიერ გამოყენებულ ბიბლიურ ციტატებზე. თუ რა მხატვრულ-შემეცნებითი ფუნქცია აქვთ ბიბლიურ ციტატებს შუშა-

ნიკის წამების როგორც ქართულ, ასევე სომხურ რედაქციებში.

იაკობ ცურტაველის ტექსტში დაცული ბიბლიის ციტატების ანალიზმა ნათელყო, რომ იაკობის მიერ ციტირებული ტექსტი, საგრძნობლად განსხვავდება ჩვენამდე მოღწეული ბიბლიის კანონიკური ტექსტისაგან. ამ განსხვავებების ახსნა კატეგორიულად ჯერჯერობით არ ხერხდება. ამას შეიძლება ჰქონდეს ორი მიზეზი: ერთი – წმინდა მხატვრული ამოცანა, როდესაც იგი ე.ი. იაკობი კონტექსტის მიხედვით სახეს უცვლის ბიბლიურ ციტატას, ავრცობს მას, ან ამოკლებს, ალამაზებს ან უფრო გასაგებს ხდის და ხშირად ცნობილი რუსი მკვლევარის ერიომინის თქმის არ იყოს: *Евангельский текст часто приобретает неизвестную экспрессию... Этот евангельский сюжет расцвечен „целым рядом живописных деталей“.*

ამასვე ადასტურებს ინგლისელი მეცნიერი ფ. ვიგზელი ეპიფანე ბრძენის თხზულებებში დაცული ბიბლიური ციტატების ანალიზისას. და მართლაც, თუ დავუკვირდებით, იაკობის თხზულებაშიც გამოყენებული მეტი წილი ბიბლიური ციტატებისა, მხატვრული განზოგადების თავისებური გამოვლენაა. მეორე: შესაძლებელია იაკობი თავისი ნაწარმოების წერისას იყენებდა ბიბლიის ისეთ რედაქციას, რომელსაც გარკვეული მიზეზების გამო ჩვენამდე არ მოუღწევია. და თუ ეს ასეა, მაშინ იაკობისეულ შუშანიკ დედოფლის წამებას ერთიორად ემატება მნიშვნელობა.

რაც შეეხება სომხურ ვრცელ რედაქციას, მასაც ზუსტად ამ თვალსაზრისით მივუდევით. გამოირკვა, რომ ქართულ რედაქციაში გამოყენებული ბიბლიისეული ციტატები ნაკლებია სომხურ რედაქციაში გამოყენებულ ციტატებთან შედარებით. ქართულში გვაქვს – 19, სომხურში კი – 25. საინტერესოა ისიც, რომ როგორც ქართულის, ასევე სომხურის არც ერთი ციტატა არ ემთხვევა ერთმანეთს, ერთადერთი გამონაკლისის გარდა,

როდესაც ქართულსა და სომხურ რედაქციაში სახარების ერთიდაიგივე ციტატაა (იოანე 10,15) გამოყენებული. დანარჩენ შემთხვევაში, ქართულ რედაქციაში სულ სხვა ციტატებია გამოყენებული, სომხურში კი სულ სხვა.

მაგალითად: სომხურ რედაქციაში გვაქვს:

„ხოლო სადა სული უფლისაი არს, მუნ აზნაურებაი არს“.

„А где Дух господен, там свобода от грехов“.

სომხურ სახარებაში:

„ხოლო უფალი სული არს, მუნ აზნაურებაი არს“ (კორინთ. 3,17).

„Господь естъ Дух, а где Дух свободен, там свобода“.

როგორც ვხედავთ, ეს ციტატები სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს, როგორც შინაარსობრივად, ასევე ფრაზეოლოგიურად. განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ იმაშია, რომ ტექსტში ე.ი. შუშანიკის სომხური რედაქციის ამ ციტატაში ჩამატებულია ერთადერთი სიტყვა – „სადაც“. უნდა ითქვას, რომ ციტირების ეს მეთოდი ნიშანდობლივია სომხური ვრცელი რედაქციისათვის.

რაც შეეხება ქართულ რედაქციაში არსებულ ბიბლიურ ციტატებს, როგორც უკვე ვთქვით, ისინი უმეტეს შემთხვევაში დედნისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან. მაგალითად ტექსტში:

„უკეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალ-მცა ხართ იგიცა და შენცა, უკეთუ სულისა მომკვდარ ხართ, მოკითხვათ ეგეშენი შენდავე მოიქეცინ“.

სახარებაში კი ეს ბიბლიური ციტატა ასეთი სახით გვხვდება:

„და უკეთუ სახლი იგი ღირს იყო, მოვედინ მშვიდობათ თქუენი მას ზედა; უკეთუ არა ღირს იყოს, მშვიდობათ თქუენი თქუენადვე მოიქეცინ“ (მათე 10,13).

როგორც ვხედავთ, იაკობს ეს ციტატა გამოყენებული აქვს უფრო აზრობრივად, ვიდრე ფრა-

ზეოლოგიურად. ავტორის მიერ სახარებისეული ციტატის ასეთი სახით ცვლილება ლოგიკურია. ამ შემთხვევაში იაკობი სახარებისეული ტექსტის ერთგვარ ვარირებას ახდენს და ეს სახეშეცვლილი ბიბლიური ტექსტი შესაბამის კონტექსტში ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ჯდება, რასაც სამწუხაროდ სომხურ რედაქციაზე ვერ ვიტყვი.

საინტერესოა ისიც, რომ ქართულ რედაქციაში ბიბლიური ციტატა თხზულების ორგანული ნაწილია და თხრობის დინამიკას და პერსონაჟთა სულიერ განწყობილებას უშუალოდ ესადაგება. ეს კი იმდენად ბუნებრივად ხდება, რომ მკითხველთათვის ძალზედ ძნელია იმის გაგება, თუ როდის საუბრობს პერსონაჟი ბიბლიური ციტატის გამოყენებით და როდის არა. მაგალითად: როდესაც იაკობი შედის სენაკში, სადაც ნაცემი და შეურაცხყოფილი შუშანიკი იმყოფება, ნანახით განცდილ, ნანახით გამოწვეულ აღშფოთებას ვერ მალავს და ბიბლიური ტექსტის მოშველიებით ძალზედ მკვეთრად გამოხატავს: „და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტესი შუენიერად ვითარცა სძალი, შემკული საკრველთა მათგან“ – ამბობს, ატირდება, შემდეგ კი გადის. ავტორის მიერ სახეშეცვლილი ეს ბიბლიური სიტყვები მწუხარების ჟამს აღმომხდარი, იმდენად ბუნებრივად ჟღერს, იმდენად ესადაგება შესაფერის კონტექსტს, რომ თუ არ დააზუსტე, შეიძლება ეჭვიც კი შეგეპაროს, რომ ეს ფრაზა, იაკობის მიერ თქმული, მართლა ბიბლიიდან არის გადმოღებული.

ხოლო სომხურ რედაქციაში მოყვანილი დიდი ნაწილი ბიბლიური ციტატებისა, ძალზედ ხშირ შემთხვევაში გამოთიშულია თხრობის მდინარებიდან და ზოგან ჩართულია ვრცელ ორ-სამ გვერდიან ლოცვებში. ლოცვების ასეთი სახით მოხმობა თიშავს სიუჟეტს და ამის გამო სომხური რედაქციის კითხვისას მეტაფრასული გაჭიანურების შთაბეჭდილება გექმნება – პატივყარილი შუშანიკ დედოფალი მეუღლეს სამკაულებს უკანვე უბო-

ძებს და იმის მაგივრად, რომ მკაცრი და ამავე დროს ლაკონური პასუხი გასცეს ისე, როგორც ეს ქართულ რედაქციაში ჩანს, ქადაგად ვარდება.

„რა კავშირი, რა საერთო მაქვს მორწმუნეს ურწმუნოსთან, რა საზიარო აქვთ ნათელსა და ბნელს, ღმერთის ტაძარს და როსკიპს, მე ვნებათაგან განვინმინდე, მე ქრისტეს შევეწირე, რამეთუ არც დიდებამ, არც პატივმა, არც სიმდიდრემ, ფუფუნებამ და სიტყვობებამ ცხოვრებისეულმა ვერ დამაშოროს ქრისტეს. მე მზად ვარ ქრისტესთვის სიკვდილს...“ (გვ. 209).

შუშანიკის ეს ვრცელი ტირადა თავისთავად ორატორული და საინტერესოა, მაგრამ თხრობის დინამიკას, მოვლენათა ურთიერთკავშირს ანელებს და ნაწარმოებიდან გამოთიშული ლოცვის შთაბეჭდილებას ქმნის.

უნდა ითქვას, რომ სომხურ რედაქციაში, მიუხედავად მისი დიდი მოცულობისა, რომელიც ძირითადად ლოცვათა ჩართვის ხარჯზეა გაზრდილი, უფრო ნაკლები დიალოგებია, ვიდრე ქართულ რედაქციაში. ამ მხრივ მათი შედარებაც კი არ შეიძლება. ქართულში ორიოდ სიტყვით, სულ ორიოდ წინადადებით გადმოცემულია პერსონაჟთა ფსიქიკა, განწყობილება, მათ შორის ურთიერთობა. უნებურად გახსენდება ადრიანოვა – პერეტცის მართებული შენიშვნა – „ადრეული საუკუნეების ლიტერატურაში მხატვრულობა ამბავში და თხრობაში კი არ არის, არამედ დეტალებსა და ნიუანსებშიო“. – აბა გავიხსენოთ გამხეცებული ვარსკენი, გატანჯული შუშანიკი და საოცრად შეშინებული, დამფრთხალი მოკუნტული ბერი, სიტყვას რომ ვერ აბოლოებს და მხოლოდ „მტკი“ (მტკიცედ იდექ!) წამოსცდება. და ეს მეტად საინტერესო მხატვრული, ამავე დროს, ღრმად ფსიქოლოგიური პასაჟი მართლაც და ორიოდ სიტყვით პატარა დეტალის ზუსტი გადმოცემით არის აღწერილი. სომხურ რედაქციაში კი ეს პატარა, მაგრამ დასამახსოვრებელი სურათი, საერთოდ არ

გვხვდება, თუმცა ეს ზემოთ მოყვანილი ეპიზოდი ქართულზე უფრო ვრცელია.

თუ ფორმის მიხედვით ერთმანეთს შევადარებთ როგორც ქართულ, ასევე სომხურ რედაქციაში გამოყენებულ ციტატებს, ვნახავთ, რომ უმეტეს შემთხვევაში, სომხურში გამოყენებული ციტატები ქართულზე უფრო ვრცელია. თუმცა როგორც უკვე ითქვა, ერთი გამონაკლისის (იოანე 10,16) გარდა, არც ქართული და არც სომხური ერთმანეთს არ ემთხვევა.

ქართულ რედაქციაში:

„რამეთუ იტყვს უფალი, მე მიუგო სიტყუა თქვენ წილ“ (ლუკა 12,12).

სომხურ რედაქციაში:

„უფალი არს მნე ჩემდა, არა შემეშინდის რა მიყოს მე კაცმან“ (ებრ. 13,16).

ან

ქართულში:

„არა დამონებულ არს ძმაი, გინა დაი, არამედ განეყენენ“ (I კორინთ, 7,15).

სომხურში:

„და მე ვიტყვი, შეგიწყნაროთ თქვენ და ვიყო ღმერთი თქვენი, და თქვენ იყოთ ვაჟები და ასულები, იტყვის ყოვლის მპყრობელი უფალი.

როგორც ხედავთ, სომხურ რედაქციაში არსებული ბიბლიური ციტატები, ფორმითა და მოცულობით საგრძნობლად აღემატება ქართულში არსებულ ციტატებს.

სომხურ ვრცელ რედაქციაში ბიბლიური ციტატები ისე ჭარბად და ვრცლად არის გამოყენებული, როგორც ეს დამახასიათებელია მეტაფრასული სკოლისათვის. ამდენად სავსებით მართებულად მიგვაჩნია ჩვენ პროფ. რ. სირაძის მოსაზრება, რომ სომხურ რედაქციის მეტაფრასობას მიგვანიშნებს „Множество риторических отступлений и библийских вставок“.

მეტაფრასული სკოლის გავლენა შეიმჩნევა თვით ნაწარმოების დასათაურებაში. თუ ქართულ

რედაქციაში ნაწარმოები დასათაურებულია „ნამებაი წმიდისა შუშანიკ დედოფლისაი“, სომხურ რედაქციაში იგივე სათაური საგრძნობლად არის გავრცობილი და ქართულად ასე უღერს: „ნამება წმინდა შუშანიკისი, წმინდა ვარდანის ასულისა, შვილიშვილი წმინდა საჰაკისა, რომელიც აღესრულა მეუღლის მიზეზით, სხვადასხვა ტანჯვითა სარწმუნოებისათვის“.

როგორც ვხედავთ, სომხური რედაქცია, სათაურშივე გვაძლევს ვრცელ ცნობას შუშანიკის ვინაობის შესახებ.

ამრიგად, სომხურ და ქართულ რედაქციებში დაცული ბიბლიური ციტატების გაცნობამ და ურთიერთშეჯერებამ შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანეს:

1. ქართულ რედაქციაში ბიბლიური ტექსტი 19-ჯერ არის ციტირებული.

2. სომხურ რედაქციაში ბიბლიური ტექსტი 25-ჯერ არის ციტირებული.

3. ქართულ და სომხურ რედაქციებში ციტირებულია ბიბლიის სხვადასხვა ტექსტი.

4. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ქართულ და სომხურ რედაქციაში ბიბლიის ერთი და იგივე ტექსტია ციტირებული (იოანე 10,16).

5. ქართულ რედაქციაში ციტირებული ტექსტი საგრძნობლად არის დაცილებული ჩვენამდე მოღწეული ბიბლიის კანონიკურ რედაქციას. რაც აიხსნება იაკობ ცურტაველის ან თავისუფალი დამოკიდებულებით ბიბლიური ტექსტისადმი, რაც მხატვრული მიზნით არის განპირობებული, ანდა იმით, რომ იაკობს ხელთ ჰქონდა ბიბლიის ის რედაქცია, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია.

6. სომხურ რედაქციაში ციტირებული ბიბლიური ტექსტი შედარებით ახლოს არის დღემდე მოღწეულ სომხურ კანონიკურ ბიბლიის რედაქციასთან.

7. სომხურ რედაქციაში ბიბლია უფრო ვრცლად არის ციტირებული, ვიდრე ქართულ რედაქციაში.

ჩვენი ყოველივე ეს დაკვირვება წინასწარ ხასიათს ატარებს. ჩვენ კარგად გვესმის აკად. ლიხაჩოვის დამოძღვრა, რომ: მცირე ფიქტიური მასალა მკვლევარს უფრო მეტ სითამამეს აძლევს განმაზოგადოებელი დასკვნების გამოტანისათვის, ხოლო მდიდარი მასალა უფრო ფრთხილს და თავშეკავებულს ხდის მას //Д.С. Лихачев, „К изучению художественных методов русской материалы XVI-XVII, Т.О.Д.Р.Л. т.ХХ, 1961 г.//. ამიტომ საბოლოო კატეგორიული დასკვნისათვის აუცილებლად მიმაჩნია როგორც ქართული, ისე სომხური ბიბლიის ყველა რედაქციის დეტალური შესწავლა. ეს კი მომავალი კვლევის სფეროა.

СТИЛИСТИЧЕСКАЯ ФУНКЦИЯ БИБЛЕЙСКИХ ЦИТАТ В ГРУЗИНСКОЙ РЕДАКЦИИ „МУЧЕНИЧЕСТВО ШУШАНИК“

1. Грузинская редакция содержит 19 цитат из Библии, а в Армянской редакции библейский текст процитирован 25 раз.

2. В грузинской и армянской редакции цитируются разные тексты из Библии. Лишь в одном случае грузинская и армянская редакция „Мученичество Шушаник“ содержит одну и ту же цитату из Библии.

3. Цитированный в грузинской редакции текст имеет значительные расхождения от дошедшей до нас канонической редакции Библии. Это объясняется или свободным отношением Якова Цуртавели к библейскому тексту, что обусловлено художественными целями, или же тем, что Яков пользовался не дошедшей до наших дней редакции Библии.

4. Цитированный в армянской редакции библейский текст сравнительно ближе стоит к дошедшей до нас редакции канонической армянской Библии.

5. Библия в армянской редакции „Мученичество“ цитирована пространнее, чем в грузинской редакции.

**მხითარ გოშის, ვარდან
აიგაქცისა და სულხან-საბა
ორბელიანის იგავ-არაკთა
კრეზულეზის
ურთიერთმიმართებისათვის.
(ქანრის ისტორიიდან)**

იგავ-არაკმა განვითარების რთული, ხანგრძლივი და თავისებური გზა განვლო. ძველი ხალხების სიბრძნემ და ფანტაზიამ თავისებური გამოხატულება მითოსსა და იგავ-არაკებში ჰპოვა.

იგავ-არაკი თითქმის ყველა ძველი კულტურის მქონე ერებს მოეპოვებოდა. ეგვიპტეში, სირიასა და მესოპოტამიაში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყვეს, რომ ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებ ხალხებისათვის იგავ-არაკი ფრიად პოპულარული ყოფილა. დღეისათვის ცნობილია საკმაო რაოდენობით ნაპოვნი ფირფიტები ლურსმული დამწერლობისა, რომლებზედაც მეცნიერებმა შესძლეს შუმერული, ასურული, ქალდეური, ბაბილონური, ფინიკიური იგავ-არაკების ამოკითხვა. უძველესი კულტურების მკვლევარი და პოპულარიზატორი ს. კრამერი წერს: „დღეს ჩვენ ვიცით, რომ იგავ-არაკთა ნაწილი, რომელიც ეზოპეს მიეწერება ცნობილი იყო ეზოპემდე ბევრად ადრე. ყოველშემთხვევაში „ეზოპეს არაკის“ ტიპის იგავები ცხოველთა შესახებ წარმოიშვნენ შუმერში 1000-ზე მეტი წლით ადრე“ //С. Крамер — „История начинается в Шумере“, М., 1995//. დღეისათვის ცნობილია შუმერთა 250-ზე მეტი იგავ-არაკი და ანდაზა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უძველეს ხანაშივე შეიქმნა იგავთა ტრადიციული სიუჟეტები და პერსონაჟთა სიმ-

ბოლოები, რომლებიც არ შეცვლილან შემდეგ საუკუნეებში. მგელი ყველა დროის ხალხების მწერლობაში იყო გაუმაძღრობისა და ღორმუცელობის სიმბოლო, მელა – ეშმაკობისა და გაიძვერობის, ვირი – სიბრიყვის. თუმცა შეინიშნება მცირედი გამონაკლისი, როდესაც აღნიშნული ცხოველები თავიანთი ტრადიციული ხასიათის მაგივრად სრულიად საწინააღმდეგოს, ერთი შეხედვით მოულოდნელსაც კი, ავლენენ განსხვავებულ თვისებებს. მაგალითად მელას ატყუებენ და დასცინიან, ვირი ბრძენი ხდება, ხოლო მგელი – კეთილი.

უძველეს ხალხთა იგავ-არაკები მთელს მსოფლიოს მოედო და გადაიქცა მოტივებისა და სიუჟეტების იმ მდიდარ წყაროდ, რომელსაც ენაფებოდა ბევრი შემდეგდროინდელი მეიგავე. იღებდნენ რა უკვე მზა სიუჟეტს თავისი იგავური ტიპაჟით, ეს მეიგავენი აძლევდნენ მას თავისი ხალხისათვის დამახასიათებელ ეროვნულ კოლორიტს, ეროვნულ სახეს. ასე რომ, სხვადასხვა ქვეყანაში ერთიდაიმავე სიუჟეტზე შექმნილი იგავ-არაკების ცნობა საკმაოდ ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც კი არის, იმდენად არიან ისინი გადამუშავებულ-დახვეწილნი.

ჯერჯერობით ჩვენამდე მოღწეულ იგავ-არაკებს შორის უძველესად ითვლება ძველი წელთაღრიცხვის მე-1000 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ ძეგლში შემონახული ძველ-ეგვიპტური იგავ-არაკის ფრაგმენტი, ძველ ბერძნულ ლიტერატურაში კი იგავ-არაკი პირველად ჰესიოდესთან გვხვდება. იგავ-არაკებს და იგავებს უხვად შეიცავს ბიბლია.

მეცნიერთა შორის დღემდე საკამათოა იგავ-არაკის წარმოშობის საკითხი. მაგალითად გერმანული სკოლის წარმომადგენელთ ო. კრუზიუსს //O. Crusius – „Fabeln des Babrios auf Wachstafeln aus Palmyra“, 1894//, ვ. ტილესა //G. Fhile – „Die Antire Fhrierfabel“, 1884// და ა. ჰაუსარტს //A. Hausardt – „Aus der Geschichte der

Fabel", 1913, Leipzig// მიაჩნიათ, რომ პირველყოფილი ადამიანის მხატვრული აზროვნების პირველი ნაყოფი იყო მითი, რომელსაც შემდეგ გამოეყო ზღაპარი ცხოველთა შესახებ, ხოლო ამ უკანასკნელმა კი წარმოშვა იგავ-არაკი. რომ იგავ-არაკს დასაბამი მიეცა იმ უძველეს ხანაში, როდესაც ადამიანი თავის თავს ჯერ კიდევ ბუნების განუყოფელ ნაწილად თვლიდა და არ უპირისპირდებოდა ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს. მათი აზრით, პირველი არაკების თხრობითი ნაწილი ბევრად ვრცელი და მდიდრული იყო და შემდეგ დროთა განმავლობაში მისი პოეტური სული, ფანტაზია, დიდაქტიკამ შესცვალა და ჩვენამდე მოაღწია, როგორც მშრალმა მოკლე მოთხრობებმა, რომლებიც მხოლოდ დიდაქტიკურ-სამოძღვრო მორალური შინაარსით არიან დატვირთულნი.

სხვა მეცნიერთა აზრით, იგავ-არაკი წარმოიშვა არა მითოსიდან და ზღაპრიდან, არამედ შედარებებისა და ანდაზებისაგან. ეს მეცნიერები, ჩვენში – პოტებნია //А. Потення — „Из лекций по Теории словесности“, Харьков, 1894//, უცხოეთში პერი //B.E. Perry — „Studies in the Text history of the life and fables of Aesopus“. Hareford, 1936.//, ლენცმანი //Я.А. Лснцман — „Элсмент илсологии рабов в баснях Эзопа (Вопр. античн. литературы и классической филологии“). 1966.// ვარაუდობენ, რომ, ისევე როგორც შედარება და ანდაზა, იგავ-არაკი წარმოიშვა უკვე განვითარებული საზოგადოების წიაღში და გარკვეული ფუნქცია ევალდებოდა – იგავ-არაკი იყო არგუმენტაციის ერთ-ერთი დამხმარე საშუალება. პირველი შეხედულების მიმდევრები ეყრდნობოდნენ ი. გრიმის რომანტიკულ თეორიას, ხოლო მეორეთა საფუძველი გახდა ლესინგის რაციონალისტური კონცეფცია.

ერთ-ერთი თეორიის მიხედვით (მ. გოლიასი) //M. Golias — „Theory of literature“, 1948; 3-ed., 1963.// იგავ-არაკის უშუალო წყარო მეტაფორა და გამოცანაა. იგავ-არაკის გენეზისის საკითხი

ძალზედ საინტერესოდ არის განხილული საბჭოთა მკვლევარის გასპაროვის წიგნში – „ანტიკური ლიტერატურული იგავ-არაკი“. ავტორის აზრით, იგავ-არაკს დასაბამი მისცემია ჯერ კიდევ პირველყოფილ ანიმიზმისა და ტოტემიზმის დროს //М. Гаспаров — „Античная литературная басня“, 1971.//.

როგორც ვხედავთ, იგავ-არაკის წარმოშობის თაობაზე არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი. ერთნი მას მითოსიდან წარმოშობილად მიიჩნევენ, მეორენი ზღაპრიდან, ზოგნი ანდაზიდან, მეტაფორიდან, შედარებიდან და ა.შ.

ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, არის ის დიდი და მრავლისმომცველი შინაარსი, რომელსაც იგავი იტევს.

ახლა რაც შეეხება საკითხს იგავ-არაკის, როგორც ჟანრის წარმოშობის არეალს, ეს საკითხი ჯერაც ღიად რჩება. ამასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე მოსაზრება, რომელნიც საბოლოოდ შეიძლება ოთხამდე იქნას დაყვანილი.

1) ერთი ნაწილი მეცნიერებისა ამტკიცებს, რომ იგავ-არაკის სამშობლო არის საბერძნეთი //Th. Benley – „Die Fabeln“, 1937. A. Weber – „Indische Studien“, III//, და თავიანთ მოსაზრებებს ბერძენი ავტორების (ჰესიოდე, IV, ს. ძვ. წ. აღ. არხილოქე, სიმონიდე, ეზოპე) ნაწარმოებებში დაცული იგავ-არაკების მოშველიებით ამყარებენ.

2) მეორენი იგავ-არაკის სამშობლოდ ინდოეთს თვლიან და იძლევიან ჟანრის ჩამოყალიბების მიახლოებით პერიოდიზაციას (V-IV ს. და III ს. ჩვ. წ. აღ-მდე) //A. Wagener – „Essai sur les rapports qui existent entre les apologues de la Grece“, Brux., 1854. B.O. Keller – „Untersuchungen uber die Jeschichte... Fabel“, Lpz, 1862, Phil. 4.//.

3) მესამენი ეგვიპტეს მიიჩნევენ //F. Weddigen – „Das Wesen und die Fabeln... in deutschland“, Lpz, 1893//.

4) მეოთხენი კი (ს. კრამერი) იგავ-არაკის წარმოშობას შუმერებს მიაწერენ //С. Крамер — „История начинается в Шумере“, 1955, М.//.

ჩვენი ნელთალრიცხვის I-III საუკუნეებში ფედროსისა და ბაბრიუსის მიერ ლექსად გადამუშავებულმა ეზოპეს პროზაულმა იგავ-არაკებმა შექმნეს ეგრეთწოდებული „ეზოპესეული ტრადიცია“, რომელიც უახლოეს დრომდე არ წყდებოდა. სწორედ ამ ორი ავტორის მიერ შემუშავებულმა „ტრადიციამ“ ითამაშა უმნიშვნელოვანესი როლი დასავლეთ ევროპულ და იგავარაკული ჟანრის განვითარებაზე. ეს „ტრადიცია“ ეტყობა იმდენად ძლიერი იყო, რომ მას ეყრდნობოდნენ საუკუნეების განმავლობაში: შუა საუკუნეებში (მარია ფრანტი ულრიხ ბონერი, სტრიკერი), ჰუმანიზმის პერიოდში (ერაზმ ალბერუსი, ბურგარდტ ვალდისი, შტიინგეველი), რეფორმაციის პერიოდში (ჰანს საქსი, მარტინ ლუთერი) და ფრანგული კლასიციზმის პერიოდში (ლაფონტენი).

ცნობილია, რომ ყოველი კულტურა, ყოველი თაობა, ყოველი მხატვრული მიმართულება ერთიდაიმავე საგნებსა და მოვლენებს სხვადასხვანაირად აფასებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ იგავ-არაკებთან დამოკიდებულებაც კაცობრიობის აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული იქნებოდა. თუ ჰუმანიზმისა და რეფორმაციის პერიოდში იგავ-არაკს იყენებდნენ ძირითადად როგორც პედაგოგიკურ ან პოლემიკურ იარაღს, არ აქცევდნენ იგავ-არაკის თხრობითი ნაწილის მხატვრულ დამუშავებას ყურადღებას, ფრანგული კლასიციზმის წარმომადგენელი ლაფონტენი პირველი ცდილობს დახვეწოს იგავ-არაკის ფორმა და გამართოს მხატვრულად. კლასიციზმის პერიოდში — „Художественное развитие повествования Басни приобретает основное значение, тогда как „нравоучение“ сводится к краткому изречению, часто являющемуся как бы

уступкой требованиям жанра"//Литературная Энциклопедия, 1929, I т.//.

იგავ-არაკის ეს ფორმა ხდება კანონიკური XVII-XIX საუკუნეებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ გერმანული რაციონალიზმი, ლესინგის სახით, ცდილობს აღადგინოს იგავ-არაკის ძველებური ღარიბი თხრობა.

რუსეთში იგავ-არაკი, როგორც ჟანრი, ჩამოყალიბდა XVII საუკუნეში თარგმანის საშუალებით, როდესაც 1607 წელს ფ.კ. გოზვინსკიმ რუსულად თარგმნა ეზოპეს იგავ-არაკები, სულ მალე კი გაჩნდნენ რუსი მეიგავენიც (სუმაროკოვი, დმიტრიევი, ტრეტიაკოვსკი, ხემნიცერი, იზმაილოვი, კრილოვი, ჩვენ დროში დემიან ბედნი, მარშაკი, რომლებმაც ნაწილობრივ გააგრძელებს კრილოვის ტრადიციები და ბევრი სიახლეც მოიტანეს. მათ, იგავ-არაკი, როგორც დიდაქტიკური ჟანრი გადააქციეს პუბლიცისტურ ჟანრად).

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ იგავ-არაკის წარმოშობის საკითხებზე, მიმოვიხილეთ ზოგიერთი საბჭოთა და ევროპელი მეცნიერების თეორიები, რომლებიც მართალია, საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ერთი საერთო მაინც შეინიშნება. თითქმის ყველა ეს თერია იგავ-არაკული ჟანრის ჩანასახს, კაცობრიობის განვითარების პირველყოფილ საფეხურზე ეძებს. რადგან ჩანასახი იგავ-არაკული ჟანრისა შეიმჩნევა სიტყვიერი ურთიერთობის უმარტივეს ფორმებში, რაც ერთნაირია მსოფლიოს ყველა ხალხებში, ნათელია, რომ შესაძლებლობა იგავ-არაკული ჟანრის ჩამოყალიბებისა არის ნებისმიერი კულტურის მქონე მსოფლიოს ყველა ერში. მაგრამ რა განვითარებას პოულობს ეს შესაძლებლობა, დამოკიდებულია უკვე იმ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებზე, რომლებიც ყოველი ერის კულტურის ფორმირებას ახდენენ.

მართალია, ახლო აღმოსავლეთში იგავ-არაკები უფრო ადრე შეინიშნება, ვიდრე სხვაგან და

ამავე დროს დიდი პოპულარობითაც სარგებლობს, რაზედაც შუმერულ, ეგვიპტურ, ბაბილონური წარწერები მეტყველებენ, მაგრამ იგავ-არაკმა კონტექსტისაგან დამოუკიდებელი არსებობა, გამოყოფა სრულფასოვან ლიტერატურულ ჟანრად ვერ შეძლო. ეს მოხერხდა მხოლოდ ძველ საბერძნეთში // „Федр-Бабрий“, Басни — издание подготовил М.Л. Гаспаров, 1962 г. //.

საბერძნეთში იგავ-არაკმა, ისე როგორც სხვაგან, თავისი განვითარება დაიწყო როგორც არგუმენტაციისათვის მოხმობილმა უმარტივესმა მაგალითმა.

ასეთ მაგალითს ბერძნულად ეწოდება *aivos* (ოდისეაში ოდისეესი მელორეს თავის თავგადასავალს უყვება და მაგალითი მოჰყავს; სოფოკლესთან — თევკრიუსი მენელაოსს ეკითხება — როგორ მოგწონს ჩემი მაგალითიო. აქაც მაგალითი გამოყენებულია როგორც საშუალება არგუმენტაციისა). ხოლო ჩამოყალიბებული ფორმა თავისი მოტივით, პერსონაჟებით, მორალით, იგავ-არაკმა მიიღო ბერძნულ ლიტერატურაში VIII-VI საუკუნეებში ჩვ. წ. აღ-მდე.

აღმოსავლეთში იგავ-არაკი დამოძღვრების საშუალებად დარჩა. იქ იგავ-არაკებს უყვებოდნენ დიდები მცირეებს, უფროსები უმცროსებს. საბერძნეთში კი იგავ-არაკი იქცა ბრძოლის იარაღად. მისი ქარაგმული, გადაკრული ფორმა საშუალებას იძლეოდა გამოეყენებინათ იგი იქ, სადაც პირდაპირი სოციალური პროტესტი შეუძლებელი იყო // „Басни Эзопа“, перевод, статья и комментарий М.Л. Гаспарова, 1968. //.

გადმოცემებით სწორედ ამ პერიოდში მოღვაწეობდა სახელგანთქმული ეზოპე. პირველ იგავ-არაკს ბერძნულ ლიტერატურაში, როგორც აღვნიშნეთ, ვხვდებით შესიოდესთან (VIII ს. ჩვ. წ. აღ-მდე) ბუღბულისა და მიმინოს შესახებ. ხოლო პირველად ეზოპეს იხსენიებს თავის „ისტორიაში“ პეროდოტე, რომ ეზოპე ცხოვრობდა VI საუკუნეში ჩვ. წ. აღ-მდე.

გადიოდნენ საუკუნეები. იცვლებოდა დამოკიდებულება იგავ-არაკებთან. თუ VIII-VII საუკუნეებში (ჩვ. წ. აღ-მდე) იგი ბრძოლისა და მოქმედების იარაღია, ელინიზმის (III-I) ეპოქაში იგი კარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას, ავტორიტეტს და ინაცვლებს რიტორიკულ სკოლებში. ახლა იგავ-არაკებს აღმზრდელები იყენებენ როგორც მოწაფეების აღზრდისა და დამოძღვრის ერთ-ერთ საშუალებას. აი როგორ განსაზღვრავს იგავ-არაკს იმ პერიოდის ერთ-ერთი რიტორიკული სკოლის ხელმძღვანელი აფტონიუსი: „იგავ-არაკი ეს არის გამოგონილი, რიტორიკული მოთხრობა, რომელიც შეიცავს სიმართლეს და შეთხზულია სწავლისა და სარგებლობის მოტანისათვის“ //იქვე.// (არაა გამორიცხული, რომ სულხანსაბა თავისი იგავ-არაკთა კრებული სახელწოდების ჩამოყალიბებისას ეყრდნობოდა აფტონიუსის განმარტებას).

რიტორიკულ სკოლებში შემუშავებული იყო იგავ-არაკების სწავლების მეთოდი, ხშირად იგავ-არაკებს თვით რიტორები თხზავდნენ. თავდაპირველად რიტორი გამოყოფდა რაიმე დამოძღვრებას და აქედან გამომდინარე, იგონებდა იგავ-არაკის თხრობით ნაწილს, რომელსაც შემდეგ მორაგებდა ამ დარიგება-დამოძღვრებას. ისე რომ, დამოძღვრება იგავ-არაკში ბოლოს მოექცეოდა, თუმცა მნიშვნელობით პირველი, უმთავრესი იყო, ვიდრე თვით ტექსტი. თუ მათ ხელში ჩაუვარდებოდათ მზა იგავ-არაკი, რიტორები მოთხოვნილების მიხედვით უცვლიდნენ შინაარსს. ზოგჯერ ავრცობენ, ზოგჯერ პირიქით ამცირებენ. რაც შეეხება მორალს, მას ხან ცვლიდნენ და თავიანთ შეთხზულს ურთავდნენ, ხან კი მორალს დაიტოვებდნენ და იგავ-არაკის სიუჟეტს თავისებურად ცვლიდნენ. ელინისტური პერიოდის რიტორიკულ სკოლებში იგავ-არაკის შინაარსი უნდა ყოფილიყო ძალიან მარტივი, ბუნებრივი და რამდენადაც შესაძლებელია შეუღამაზებელი და ნათელი. ერ-

თი და იმავე იგავ-არაკს შეიძლებოდა ჰქონოდა რამდენიმე მორალი და პირიქით, ერთი და იგივე მორალი შეიძლებოდა რამდენიმე იგავ-არაკს გამოეხატა. იგავ-არაკის ტექსტში ჩართვა ხდებოდა ბუნებრივად. იგავ-არაკების პირველი კრებული სკოლებისთვის შეიქმნა 300 წ. ჩვ. წ. აღ-მდე დემეტრე ფალერელის მიერ. შემდგომი კრებულები აქედან მოდიან.

როგორც ვხედავთ, ელინისტურ პერიოდში იგავ-არაკებისადმი ინტერესი მხოლოდ სკოლებში მისი გამოყენებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ მალე იგი როგორც ლიტერატურული ჟანრი, ისევე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს მოხდა ეგრეთწოდებული „ბერძნული აღორძინების“ პერიოდში (I საუკუნის ბოლოდან II საუკუნის დასაწყისამდე ჩვ. წ. აღ-ით). არ დარჩენილა თითქმის არცერთი ლიტერატურული თუ ფილოსოფიური მიმართულება, იგავ-არაკული ჟანრისადმი რომ არ გამოეჩინა ყურადღება. მხოლოდ სტოიციზმის მიმდევარი არისტოკრატები სენეკას მეთაურობით ჯერ კიდევ არ მიიჩნევდნენ იგავ-არაკს სერიოზულ ჟანრად და ბუნებრივია, რომ მათ ფილოსოფიურ ტრაქტატებში დახშული იყო კარი იგავ-არაკებისათვის. იგავ-არაკმა არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ ისტორიულ და რიტორიკულ მწერლობაშიც კი იჩინა თავი. მას თავიანთ თხზულებებში იყენებდნენ ცნობილი მწერლები: პლუტარქე, ტიბერიუსი, იოსებ ფლავიუსი, აპპიანე, კონონი. ეს უკანასკნელი თავის „მითოგრაფიაში“ იგავ-არაკის წარმოშობის საკითხს დიდ ადგილს უთმობს, ხოლო იმ დროის ცნობილმა ექიმმა ჰალენმა თავის სამედიცინო ტრაქტატში მოიხბო უძველესი იგავ-არაკი „ვირზე და ძალღზე“.

ანტიკური იგავ-არაკი ერთი ყველაზე საინტერესო ფურცელია ევროპული ლიტერატურისა. ამ ჟანრის ბევრმა ძეგლმა დღემდე არ დაკარგა პოეტური ფასი და გამოირჩევა მაღალი მხატვრული

ღირსებით. ამავე დროს იგავ-არაკი, ყველაზე დემოკრატიული ჟანრია ანტიკური ლიტერატურისა, რომელსაც ხშირად მოაქვს ჩვენამდე უძველესი პერიოდის დაჩაგრული მასების – მონებისა და უღარიბესი ხალხების გრძნობებისა და აზროვნების გამოძახილი.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იგავ-არაკმა თავისი განვითარების პროცესში რამდენიმე პერიოდი გაიარა. თითოეული პერიოდი კი საუკუნეებით შემოიფარგლება. ფედროსამდე და ბაბრიუსამდე შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი ეტაპი იგავ-არაკული ჟანრის ისტორიის განვითარებისა.

1) პრეისტორია, როცა იგავ-არაკი ჯერ არ იყო მაგალითისაგან გამოყოფილი;

2) ზეპირი იგავ-არაკი, უკვე განსაზღვრული, როგორც მხატვრული ფორმა, მაგრამ ჯერ კიდევ ზეპირი მეტყველებისაგან გამოუყოფელი;

3) გარდამავალი პერიოდი, იგავ-არაკი უკვე მყარდება წერილობით, მაგრამ ლიტერატურულად ჯერ კიდევ არ მუშავდება;

4) ლიტერატურული იგავ-არაკი, რომელიც ლიტერატურაში სხვა ჟანრებთან თანაბარი უფლებით არსებობს //М.Л. Гаспаров — „Античная литературная басня“, 1971 г.//.

ამ მეოთხე პერიოდში შედის ფედროსისა და ბაბრიუსის მოღვაწეობაც და ის, რომ იგავ-არაკი ლიტერატურულ ჟანრად გაფორმდა, სწორედ მათი დამსახურებაა.

ასე ჩამოყალიბდა რომის ისტორიაში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულება იგავ-არაკული ჟანრის განვითარებაში. ერთი პლებეური, ფედროსის მორალისტური მიმართულების, მეორე – არისტოკრატიული, ბაბრიუსის ესთეტიკური მიმართულების. შეიძლება შესაფერის სოციალურ-ისტორიულ პირობებში უფრო წინ წასულიყო ეს ორი მიმართულება, მაგალითად, ძველი ეზოპესეული იგავ-არაკიდან წამოზრდილიყო ორი ახალი ჟანრი: იგავ-არაკი სატირა ფედროსის

ტიპის, და იგავ-არაკი ზღაპარი ბაბრიუსის ტიპის, მაგრამ ანტიკური კულტურის დაცემამ ხელი შეუშალა ამ პროცესს.

შემდეგში ბაბრიუსის ხაზის გამგრძელებელი რომაულ ლიტერატურაში იყო ავიანეს იგავ-არაკების კრებული, ელეგიურ დისტიხებში, 42 იგავ-არაკით (III-IV საუკუნე) და ფედროსის მიმდევარი – ლათინური იგავ-არაკების კრებული პროზად, „რომულის“ სახელწოდებით (IV საუკუნე).

ასეთია ზოგადად ანტიკურ სამყაროში იგავ-არაკისა და იგავ-არაკული ჟანრის განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესი.

ვლადარაკობთ რა იგავ-არაკულ ჟანრზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ზოგიერთი ევროპული ლიტერატორის მიერ წამოჭრილი თეორიული საკითხები ჟანრის როგორც ასეთის, საერთოდ უარყოფის შესახებ. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, იტალიელი ესთეტი კროჩე მიდის დასკვნამდე, რომლის მიხედვით ხელოვნების მოვლენები განუმეორებელია და აქედან გამომდინარე, არ ექვემდებარება კლასიფიკაციას. იგი ჟანრებს თვლის იარლიყებად, შინაარსს მოკლებულ სახელწოდებებად, მისი აზრით, ჟანრი ნომინალიზმის უბრალო გამოვლინებაა. თუმცა მალე, მომდევნო თეორიებმა არა მხოლოდ არ დაადასტურეს ეს ნეგატიური კონცეფციები (მაგალითად, ალ. დიმამ //А. Дима „Принципы сравнительного литературоведения“, 1977.// თავის „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პრინციპებში“), არამედ უარყვეს კიდევ იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ თეორიებმა (იგულისხმება კროჩეს და მის მიმდევართა თეორიები) მთლიანად უკუაგდეს რეალური ისტორიული ფაქტები.

იგავ-არაკულ ჟანრს ათეული საუკუნეების ისტორია აქვს. ბუნებრივია, რომ ამ დიდი პერიოდის განმავლობაში იგი, როგორც ჟანრი, საკმაო ცვლილებებს განიცდიდა. მისი არსებობის ისტორიაში დროის ეს უზარმაზარი მონაკვეთი მისი ჩა-

მოყალბების, ფორმირების და დახვეწის პერიოდია. ამიტომ ფედროსისა და ბაბრიუსის ჟამინდელი იგავ-არაკი განსხვავდება შემდეგდროინდელ მეიგავეთა იგავ-არაკული ჟანრისაგან. სამართლიანად შენიშნავს სტეპანოვი: – ჟანრის ცხოვრება დროის დიდ მონაკვეთზე საგრძნობლად იცვლება; მისი გარკვეული ნიშნები კვდებიან, და ამავე დროს ახლები იბადებიან" //Н.Л. Степанов — „Русская Басня XVIII-XIX веков“ (Русская Басня) 1977.//. აღნიშნული მეცნიერის ამ დებულების ლოგიკური გაგრძელებაა ბ.ვ. ტომაშევსკის შემდეგი შეხედულება: „Признаки, характеризующие жанр, не представляют собой безразличную сумму, а именно совокупность, систему, т.е. находятся по взаимной зависимости... поэтому, басня, какой она была в XVIII в. у Сумарокова и басня Крылова, сильно отличаются друг от друга, хотя их принадлежность именно к этому жанру бесспорна" //Б.В. Томашевский — „Стилистика и стихосложение“ Л. 1959.//.

ე.ი. ჟანრი თავის სახეცვლილებასთან ერთად კარგავს და ამავე დროს იძენს იმ ნიშნებს, დეტალებსა და ნიუანსებს, რომლებიც დიდად განსაზღვრავენ მის სპეციფიკას.

ლიტერატურული ევოლუცია, მთელი რიგი პოეტური მიმართულებები, კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი, რეალიზმი უდიდეს გავლენას ახდენდნენ იგავ-არაკული ჟანრის განვითარებასა და მის მუდმივ ცვლილებაზე. თუმცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში (კრავცოვი //Н.И. Кравцов — „Художественные средства создания образа-персонажа в баснях И.А. Крылова“ (Поэтика и стилистика русской литературы). Л.1977.//, მოროზოვი //Н.М. Морозова — „Имена собственные в баснях Крылова“ (Поэт. ист. р. лит.)//), არაერთხელ აღნიშნულა, იგავ-არაკული ჟანრის სტრუქტურული პირველსაფუძველი თითქმის მუდამ უცვლელი იყო.

იგავ-არაკის სტრუქტურაში გამოიყოფა სამი ძირითადი თვისება. პირველ რიგში, მისი სიუჟეტურობა და მოქმედების სიმჭიდროვე. მისი მეორე თვისებაა ალეგორიულობა. იგავ-არაკში გამოყვანილი პერსონაჟები, უფრო ხშირად ცხოველები, გარკვეული მორალური ხარისხის მატარებელნი არიან, რომელნიც იხსნებიან იგავ-არაკის მოქმედებაში. მესამე თვისება კი არის მორალი, რომელიც იგავ-არაკის მოქმედებიდან გამოდის. სქემატურად იგავ-არაკული სტრუქტურის მოდელი შეიძლება ასე წარმოვსახოთ. ა) ექსპოზიცია, ბ) მოქმედება, გ) კულმინაცია, დ) „გარდატეხა“ და ბოლოს ე) მორალი – დაბოლოება // Н.Л. Степанов „Русская Басня XVIII-XIX веков“ (русск. Басня, 1977) //. ამავე დროს, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ სტრუქტურის ცალკეული კომპონენტები გადაადგილდეს, გაუცვალონ ერთმანეთს ადგილები (მხითარ გოშთან, მელის წიგნის ზოგიერთი არაკი) მართალია, თითქმის ყველა იგავ-არაკი სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი, ერთნაირ სტრუქტურულ საფუძველზეა აგებული, მაგრამ ხშირად ამ სტრუქტურის შემადგენელი წევრების რიგი განსხვავებულად არის წარმოდგენილი. მაგალითად, მორალი შეიძლება იყოს არა ბოლოში, არამედ თავში, კულმინაცია და გარდატეხა შეერწყას ერთმანეთს და სხვ. ისიც შესაძლებელია, რომ მორალი თავისთავად, ყოველგვარი გამოყოფის გარეშე გამოდიოდეს იგავ-არაკის მოქმედებიდან, მაგრამ მთლიანობაში სტრუქტურული სქემის შეგრძნება ყველა იგავ-არაკში რჩება. სტრუქტურა არის ის საფუძველი, რომელზედაც უნდა აიგოს იგავ-არაკი თავისი სიუჟეტით. რამდენადაც მყარია იგავ-არაკის სტრუქტურა, იმდენად უფრო დახვეწილია იგავ-არაკი და დაცულია სხვა ჟანრებთან ათქვეფისაგან.

როგორც ძველ ქართულ მწერლობაში, ასევე ძველ სომხურში ტერმინ „იგავს“ რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა.

ძველ ქართულში იგავის ერთ-ერთი აღმნიშვნელი ყოფილა ტერმინი „სახე“. „იგავი“ და „სახე“ ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა (მაგალითად: „იგავნი ანუ სახისმეტყველებანი“ გვხვდება აპოკთეგმათა ერთ-ერთ კრებულში, ასევე გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში: არღარა სახით და იგავით ჰმსახურებს ზეცისათა მათ“, ასევე „მამათა სწავლანში“ – „სახე და იგავ ექმნა ყოველთა, რომელთა სოფელი დაუტევონ“ //ლ. კეკელიძე – „იგავ-არაკი ძველ ქართ. მწერლობაში“ (ძვ. ქართ. მწ-ის და რუსთვ. საკითხები) 1976//). ძველ ქართულში ასევე დასტურდება იგავის მნიშვნელობა როგორც მაგალითის, ნიმუშის. აი როგორ განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი იგავს: „იგავი ესე არს სიტყვის მაგალითი, გინა საჩვენებელი, გინა მოსანიშნავი“. ამ მნიშვნელობით „იგავი“ ბევრ ძეგლშია დამოწმებული (მაგალითად მათეს „სახარებაში“: ხოლო ლელვისაგან ისწავეთ იგავი ესე: ვითარცა იგი რასჟამს რტონი მისნი“... //ლ. კეკელიძე – „იგავარაკი ძველ ქართ. მწერლობაში“//). არსებობს იგავის კიდევ ერთი მნიშვნელობა, ე.ი. როდესაც ის გულისხმობს დაფარულ აზრს, რომელსაც განმარტება ესაჭიროება. იგავის ეს მნიშვნელობა ძალზე ხშირად გვხვდება (მაგ. „იცის ქცეულებაი სიტყუთა და განხსნაი იგავთა“. სიბრძნ. სოლომ. 18). როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირ არის მითითებული, რომ იგავს გამოცნობა, ახსნა ესაჭიროება. მოგვყავს სხვა მაგალითებიც – „იგავად იტყვს მაცხოვარი, არა ცხადად, რამეთუ თვისისა მამისასა, ვითარცა კაცისა ვისსამე იტყვს“ – იოანე ბოლნელის ქადაგებანი 33,10; კიდევ – „ესევითარიითა იგავთა ეტყოდა მათ სიტყვათა, ვითარცა შემძლებელ იყვნეს იგინი სმენად და თვინიერ იგავისა არარას ეტყოდა მათ, ხლო თვისაგან მოწაფეთა გამოუთარგმნის იგი ყოველი“. (მარკ. 4,33-34).

ძველ ქართულში „იგავი“ იხმარება კიდევ ერთი მნიშვნელობით. ბიბლიის „იგავნი სოლომონი-

სანი" არის ბრძნულ სენტენციათა კრებული, რომელიც არ შეიცავს იგავის ელემენტებს. ამ შემთხვევაში (ლაპარაკია ბიბლიის ქართულ თარგმანზე) „იგავი“ იხმარება როგორც ანდაზის, შეგონების, სენტენციის სინონიმი. ბერძნულად სოლომონის იგავებს ეწოდება პაროიმია სოლომონტის. ბერძნულად ნიშნავს ანდაზას, შეგონებას, იგავსაც ასევე განმარტავს იოანე პეტრიწი – „სახელი ესე იგავთა, რომელ არს პარვიმიე. ჩუბინაშვილიც იმავეს წერს – იგავი ნიშნავსო ანდაზას, მაგალითსო.

დასასრულ „ქართულ მწერლობაში იგავს აქვს კიდევ ერთი მნიშვნელობა – თანამედროვე იგავ-არაკის მნიშვნელობა. იგავი ეწოდება მოკლე ალეგორიულ მოთხრობას, რომელიც მთავრდება რაიმე მორალურ-დიდაქტიკური სენტენციით. მაგ. ეზოპეს იგავ-არაკებს ეწოდებოდა იგავნი ეზოპესი.

საინტერესოა აკადემიკოს აკ. შანიძის მოსაზრება სიტყვა იგავის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით. იგი თვლის, რომ იგავი „ჰგავს“ ზმნის ფუძისაგან არის ნაწარმოები. მისი აზრით, იგავი და ჰგავს რომ მონათესავე სიტყვები უნდა იყოს, ამას გვაფიქრებინებს, მაგალითად, გერმანულში იგავის აღმნიშვნელი სიტყვაა das Gleichnis, ამ სიტყვის ძირია gleich (მსგავსი), სპარსულში სიტყვა მასალ, რომელიც ნიშნავს იგავს, ენათესავება მეორე სიტყვას მესლ (მსგავსი).

ე.ი. სიტყვა იგავი ქართული წარმოშობისა უნდა იყოს. თ. ჭყონია წერილში – იგავ-არაკული ჟანრის საწყისები უძველეს ქართულ ლიტერატურაში „წერს, რომ იგავი უთუოდ ქართული წარმოშობისაა, რომელსაც საკმაოდ გვიან მიმატებია იმავე მნიშვნელობის სომხური სიტყვა არაკი. ასე შეიქმნა იგავ-არაკიო“.

ამრიგად იგავის მნიშვნელობებია: სახე, მაგალითი, ნიმუში, იგავი დაფარული აზრის მნიშვნე-

ლობით, ბრძნული სენტენცია – შეგონების, ანდა-
ზის მნიშვნელობით, თანამედროვე იგავ-არაკის
მნიშვნელობით.

სომხურში სიტყვა (არაკ) არაკი, რომელიც
სომხური მწერლობის წარმოშობისთანავე იხმა-
რებოდა, რამდენიმე მნიშვნელობას შეიცავს.
უპირველეს ყოვლისა, „არაკი“ (არაკ) ნიშნავს
იგავ-არაკს (რუს. Басня) ალეგორიული ხასიათის
პროზაული ან გალექსილი ეთიკური მოთხრობა,
რომელშიც ალეგორიულად არის გამოხატული
ადამიანები და მათი ოინები. ან მეორენაირი გან-
მარტება იგავ-არაკისა („პატარა მოთხრობა, რო-
მელიც შეიცავს მორალურ მაგალითს“). მაგალი-
თად ვარდან აიგეცუ არაკნერ, კრილოვი არაკ-
ნერ. (ვარდანის იგავ-არაკები, კრილოვის იგავ-
არაკები) არაკის (არაკ) მეორე ძირითადი მნიშ-
ვნელობაა იგავი (რუსულად – притча, ანარაკ
ორდუ არაკ, სოლომონი არაკნერ, притча о са-
удном сыне, იგავნი სოლომონისნი). სომხეთშიც,
როგორც ქართულში, იგავი გადატანითი მნიშ-
ვნელობითაც იხმარება (სასულიერო მწერლობა-
ში, რის შესახებაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ).
ე.ი. არაკი ნიშნავს როგორც იგავ-არაკს, ასევე
იგავს. სომხურ მწერლობაში გვხვდება მთელი
რიგი სიტყვები, რომლებიც სწორედ სიტყვა
„არაკიდან“ არიან წარმოებულნი. მაგალითად:
არაკაბან, არაკაგირ, არაკახოს, არაკაბანელ,
არაკაგრუთიუნ (მეიგავე, იგავ-არაკების დამწე-
რი, იგავების მთქმელი), (იგავების, იგავ-არაკე-
ბის წერა) და სხვ.

ამ ორი ძირითადი მნიშვნელობის გარდა, არა-
კი ძველ სომხურ მწერლობაში კიდევ რამდენიმე
მნიშვნელობით გვხვდება. როგორც ზოგიერთი
მეცნიერი აღნიშნავს, არაკი იხმარებოდა „მაგა-
ლითის“ მნიშვნელობითაც („რომელნიც არაკითა
და მაგალითით ეთაყვანებოდნენ“).

სომხურ მწერლობაში არაკი (არაკ) ზოგჯერ
დაცინვის, შერცხვენის, გაკილვის მნიშვნელობი-

თაც გვხვდება (არ არაკე-შეურაცხყოფისათვის, ზიმი წანაკევ არაკ ლინიციმქ-რომ დასაცინი და საარაკო არ გავხდეთ.

შეიძლება შეგვხვდეს ანდაზის და გამოცანის მნიშვნელობით.

სომხურში სიტყვა არაკისაგან (არაკ) წარმოქმნილია სიტყვა, რომელიც უზნეობასა და უნესობაზე მიუთითებს (ანარაკ).

არაკი იხმარება აგრეთვე მისათითებელი, საჩვენებელი, სანახავი საგნის მნიშვნელობითაც.

ძველ სომხურ მწერლობაში სომხური სიტყვა არასპელ (მითი), თავისი პირველი და ძირითადი მნიშვნელობის გარდა, არაკის (რუს. притча, ქართ. იგავი) მნიშვნელობითაც იხმარებოდა, ისევე როგორც ბერძნულში (mythos) და ლათინურში (fabula), ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ოლიმპიანეს სომხურ ენაზე თარგმნილი ზოგიერთი იგავ-არაკი იწყება ასე – „ეს მითი გვასწავლის, რომ...“ და სიტყვა მითი (არასპელ) ჩვენ უნდა გავიაზროთ არა როგორც ნამდვილი მითი, არამედ როგორც არაკი.

ამრიგად, სომხურ მწერლობაში არაკი (არაკ) იხმარებოდა შემდეგი მნიშვნელობებით: იგავ-არაკი, იგავი, გამოცანა, ანდაზა, მაგალითი, ხოლო ზოგჯერ დაცინვის, შერცხვენის გამოსახატავად და უზნეობის აღსანიშნავადაც.

რა განსხვავებაა იგავსა და იგავ-არაკს შორის? ლიტერატურულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ, რომ იგავი (притча) ეს არის მცირე ჟანრი დიდაქტიკური ლიტერატურისა, რომელიც ძირითადი თვისებებით თანხვედრია იგავ-არაკისა. სხვაობა იგავისა და იგავ-არაკის ტერმინების გამოყენებაში მართალია შეიმჩნევა, მაგრამ ეს დამოკიდებულია არა იმდენად ჟანრობრივ სხვაობაზე, როგორც ამ სიტყვათა სტილისტურ მნიშვნელობაზე: „Притча — слово болес высокого стиля, чем басня, в котором есть элемент снижающего отношения к называемого так произведению.

Поэтому слово „Притча“ применялось к таким литературным произведениям, к которым применение слова „басня“ в силу его направления слишком светского характера считалось невозможным, в частности к произведениям церковной литературы” //Литературная Энциклопедия т.9.//.

სიტყვა იგავი ძირითადად გამოიყენება მოქმედების თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებულ ალეგორიულ-დიდაქტიკურ თხრობაში, რომელიც ხშირად მოკლებულია დასასრულს და ხანდახან მხოლოდ შედარებამდეა დაყვანილი.

ავერინცევის აზრით, იგავს არ შესწევს დამოუკიდებელი არსებობის ძალა. ის მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში ხდება გასაგები //ლ. კეკელიძე – „იგავ-არაკი ძველ ქართულ მწერლობაში“ (ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები. 1976).//. აქვე უნდა ითქვას, რომ მეცნიერი ლ. კეკელიძე ნაწილობრივ არ ეთანხმება ავერინცეს და თავისი დებულების არგუმენტაციისათვის მაგალითად მოაქვს იგავები, „უძლები შვილისა“ ბიბლიიდან და „ერთი წლით არჩეული მეფისა“ ბალავარიანიდან და შენიშნავს, რომ ეს ორივე იგავი კონტექსტის გარეშეც გასაგებია, მათ სრულიად თავისუფლად შეუძლიათ არსებობაო //იქვე.//. ამრიგად, იგავი არის დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოები, იგი მეტწილად სასულიერო მწერლობის ძეგლებში გვხვდება. იგავის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ ის დაფარული აზრის მატარებელი მცირე ზომის თხზულებაა, რომლის აზრი განმარტებას, ახსნას თხოულობს.

სახარებაში ხაზგასმულია, რომ ქრისტე თავის ქადაგებებს იგავების სახით წარმოთქვამდა. ეს ქადაგებები მსმენელთათვის გაუგებარი იყო, ხოლო მის დაფარულ აზრს, ხალხს მისი მოწაფეები უხსნიდნენო. მაგალითად: – ამა ყოველსა ეტყოდა: იესო იგავით (მათე 13, 34) „თვინიერ იგავი-

სა არარას ეტყოდა მათ, ხოლო თვსაგან მონაფეთა გამოუთარგმნის იგი ყოველი" (მარკ. 4, 34). ამ გარემოებას ეკლესიის მამებმა თავისებური განმარტება მისცეს. ქრისტიანები თავიანთი სარწმუნოებრივი საიდუმლოების შენიღბვის მიზნით, თავიანთ დოგმებს ორაზროვნად, იგავურად გამოხატავდნენ. ეკლესია იძულებული იყო ძირითადი დოგმები დაემალა არა მარტო ცნობისმოყვარე წარმართებისაგან, არამედ ნაწილობრივ, თავის ახლადმოქცეულ წევრებისაგანაც, რომელთა სიმტკიცეში ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული. ეს იყო ეკლესიის მიერ მტკიცედ დადგენილი წესი, რათა სარწმუნოების სიბრძნე, რომელთაც უკეთურნი ვერ გაიგებდნენ, არ ყოფილიყო შეხილნული" //რ. ბარამიძე – „ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან“, 1960.//. სწორედ ეს არის ნათქვამი სახარებაში: „ნუ მისცემთ სინმიდესა ჩემსა ძალლთა, ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღოთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხთა მათითა და მიგექცნენ და განგხეთქნენ" (მათე 7,6). ეს არის ნამდვილი გაფრთხილება, მონოდება ქრისტიანებისადმი, რომ მათ არ წააბილწინონ ურწმუნოებს ქრისტეს წმინდა მოძღვრება. ამიტომ, შემქმნელნი სახარების, ეკლესიის მამები, იგავის მოშველიებით სათქმელს პირდაპირ არ ამბობდნენ.

ამის შესახებ იოანე ოქროპირი წერდა: „მე ვისურვებდი მელაპარაკა გარკვევით, მაგრამ ვერ იდეები ურწმუნოთ. ისინი აძნელებენ ჩვენს საუბარს, გვაიძულებენ ვილაპარაკოთ ბუნდოვნად და შენიღბულად" //იქვე.//. ამ შემთხვევაში კი იგავი ძალზედ გამოსადეგი საშუალება იყო სათქმელის გადმოცემისათვის, ამიტომ, ბუნებრივია, რომ იგავური მეტყველება და იგავები ფართოდ დაინერგა სასულიერო მწერლობაში (ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი თავიანთ ორატორიებში ხშირად მიმართავენ იგავებს).

იგავი სახარებაში გამოყენებული იყო თვალ-საჩინოების მიზნითაც. ლ. კეკელიძის თქმით: „რა-კი ადამიანს უკეთ ეხერხება აბსტრაქტული ცნე-ბის ათვისება კონკრეტული მაგალითების საშუა-ლებით, ამიტომ აბსტრაქტულის თვალსაჩინოდ განმარტების ერთ-ერთ საშუალებად გამოყენე-ბულ იქნა იგავი //ლ. კეკელიძე – „იგავ-არაკი ძველ ქართულ მწერლობაში“ (ძვ. ქართ. მწერლ. და რუსთვ. საკითხები 1976)///.

საინტერესოა, რომ ქრისტიანობამდე არსე-ბულ ლიტერატურაში, რომელთა იგავ-არაკული ჟანრის ნიმუშებმა ჩვენამდე მოაღწია, საკუთრივ იგავს თითქმის არ ვხვდებით, ყველგან იგავ-არა-კებია წარმოდგენილი, შუმერული, ანტიკური, ინ-დური ძეგლები თვით ძვ. აღთქმაც უფრო იგავ-არაკებს შეიცავს. ე.ი. როგორც სამეცნ. ლიტერა-ტურაშია //А.Б. Грибанов — „Восточный жанр обрамлённой повести в средневековой Испании“. Типология и взаимосвязи средневековых литерат-ур Востока и Запада, М., 1974.// აღნიშნული, იგავ-არაკი წინ უსწრებს იგავს, ის უფრო ძველია, ვიდრე იგავი. იგავი ქრისტიანული რელიგიის ფართოდ გავრცელების შემდეგ გახდა პოპულა-რული. ეკლესია და სასულიერო ხასიათის ნაწარ-მოებების ავტორები მკვეთრად ემიჯნებოდნენ იგავ-არაკს, რადგან მას საერო ჟანრად თვლიდ-ნენ.

საბოლოოდ იგავი შეიძლება ასე განიმარტოს: იგავი არის დაფარული აზრის შემცველი თხრობა, რომელიც ახსნას, „თარგმნას“ საჭიროებს და რომ-ლითაც მეტწილად სასულიერო მწერლობა სარ-გებლობს. იგავ-არაკი კი საერო ჟანრია. ის ალეგო-რიული შინაარსის დიდაქტიკური ხასიათის მცირე ზომის მოთხრობაა, რომელსაც დასაწყისში ან და-სასრულს ახლავს მორალის გამომხატველი შეგო-ნება ან სენტენცია //ლ. კეკელიძე – „იგავ-არაკი, ძველ ქართ. მწ-ში“//. ზუსტი გამიჯვნა იგავისა და იგავ-არაკისა ძნელია, ვინაიდან ესენი უფრო მე-

ტად ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე განსხვავდებიან. ამიტომაც ზოგიერთი მკვლევარი დიდი მსგავსების გამო ამტკიცებს კიდევ მათ იგივეობას.

როგორც საქართველოში, ასევე სომხეთში იგავ-არაკული ჟანრით დაინტერესება დიდად განაპირობა იმ თარგმნილმა ლიტერატურამ, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ქართულსა და სომხურ ენებზე, ბიბლიის წიგნებიდან დაწყებული და დამთავრებული საერო ხასიათის იგავ-არაკული კრებულებით.

ადრეულ საუკუნეებში იგავ-არაკული ჟანრის განვითარება საქართველოსა და სომხეთში საფუძვლიანადაა შესწავლილი მეცნიერთა მიერ //И.А. Орбели — „Избранные труды“, 1976; ილ. აბულაძე — „ს.ს. ორბელიანის სიბრძნე-სიცრუის... უცხო პარალელი“ (ს.ს. ორბელიანი — 1959); თ. ჭყონია — „იგავ-არაკული ჟანრის საწყისები უძველეს ქართ. ლიტ-ში“ (ლიტ-რული ძიებანი V, 1949); М. Абегиан — „История древнесармянской литературы“, 1975//, ამიტომ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით. ჩვენ შევხებით მხოლოდ მხითარ გოშის, ვარდან აიგეკცისა და სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა ურთიერთმიმართებებსა და მათ საერთო წყაროებს.

მხითარ გოშის, ვარდანისა და სულხანის იგავ-არაკების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების, უცხოურ წყაროებთან მათი კავშირისა და დამოკიდებულების საკითხი ნ. მარს თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში (ვარდანის არაკთა კრებულები, „Сб Притч Вардана“) ღრმად და საფუძვლიანად აქვს შესწავლილი. ჩვენ საშუალება მოგვეცა დამატებით შეგვენიშნა ზოგიერთი პარალელი ქართულ-სომხურ და ასევე უცხოურ იგავ-არაკებს შორის.

როგორც ცნობილია, მხითარი და ვარდანი სომხეთში დაახლოებით ერთიდაიმავე პერიოდში მოღვაწეობდნენ, ამიტომ გასაკვირი სულაც არ არის, როდესაც მათ კრებულებში ბევრ საერთო

სიუჟეტის მქონე იგავ-არაკებს ვხვდებით. არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც არასომხური წარმოშობის ერთი და იგივე არაკი გამოყენებული აქვს მხითარსაც და ვარდანსაც (მაგალითად: დაბერებული მგელი ატყუებს ცხვრებს: ცოდვების მოსანანიებლად თქვენს თიკნებს მე მოვუვლიო. ცხვრები ბრიყვდებიან და უჯერებენ. მგელი გამოტყუებულ თიკნებს ხოცავს, ჭამს და გარბის). როგორც მხითართან, ასევე ვარდანთან ეს იგავ-არაკი ერთნაირად არის დასათაურებული. მხითართან „მგელი ძიძად“ (მ89), ხოლო ვარდანთან „მგელი-ძიძა“ (ვ31) ორივე არაკის სიუჟეტი იდენტურია, სხვაობა მხოლოდ მოცულობაშია. მხითართან ეს იგავ-არაკი ექვსი წინადადებით ამოიწურება, ვარდანთან კი საგრძნობლად გაზრდილია მგლის გრძელი აღსარების ხარჯზე. ორივეგან იგავ-არაკი ერთიდაიმავე აზრის შემცველი შეგონებით მთავრდება. ჩვენ ვთქვით, რომ ნ. მარის მტკიცებით, სომხურში ეზოპესეული რამდენიმე ათეული არაკი ცნობილია ოლიმპიანეს სახელით. არსებობს ამ იგავ-არაკთა სომხური თარგმანიც. ამ თარგმანში ჩვენ ვხვდებით ერთ იგავ-არაკს („მგელი და თხები“, ო-15), რომელიც სიუჟეტით ძალზედ წააგავს მხითარისა და ვარდანის ზემოთმოყვანილ არაკს. თუ ოლიმპიანეს კრებული სომხურად VI-VII საუკუნეებშია თარგმნილი, მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ სომეხმა მეიგავარაკეებმა გამოიყენეს სწორედ ოლიმპიანეს ანუ ეზოპეს იგავ-არაკი. უფრო სავარაუდოა, რომ მხითარს დაემუშავებინოს ოლიმპიანეს არაკი და შეეცვალოს სათაური, ხოლო ვარდანს ეს არაკი უშუალოდ მხითარისაგან სათაურითვე გადმოეღოს თავის კრებულში და უკვე დამოუკიდებლად, თავისებურად განეგრძოს. ე.ი. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხითარი და ვარდანი შემოქმედებით კონტაქტში იმყოფებიან. ანალოგიური მაგალითები შეინიშნება მხითარის და ვარდანის სხვა არაკებს შორისაც. ესენია (ვ237, ვ167, ვ324, მ133,

მ127). სომეხი მეიგავენი მართალია ერთმანეთთან შემოქმედებით კონტაქტში შედიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი დამოკიდებულება საერთო სიუჟეტის მქონე არაკებთან ერთნაირია. ერთიდაიგივე იგავ-არაკს მხითარი სხვანაირად იაზრებს, ვარდანი სხვანაირად. თუ მხითარისათვის ძირითადად ლაკონური თხრობაა დამახასიათებელი, ვარდანს, არაკის უფრო ვრცელი თხრობა იტაცებს.

მხითარისა და ვარდანის იგავ-არაკების კითხვისას ბევრი ისეთი საერთო სიუჟეტის მქონე არაკები შეინიშნება, რომლებიც სომხეთში ოლიმპიანეს სომხური კრებულებიდან არის შემოსული, მაგრამ როგორც გამოირკვა მხითარისა და ვარდანის კრებულებში მოხვედრილია (რა თქმა უნდა, ავტორის სურვილით) ისეთი იგავ-არაკები, რომელთა ეზოპესეული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს და ამავე დროს, არა მხოლოდ ამ არაკებს, არამედ მათ მსგავსსაც ვერ ვპოულობთ ოლიმპიანეს სომხურ თარგმანში; ვარდანისა და მხითარის არაკების შედარებამ ოლიმპიანეს კრებულთან ნათელყო იგავ-არაკები, რომელთა ეზოპესეული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს, და ამავე დროს არა მხოლოდ ამ არაკებს, არამედ მათ მსგავსსაც ვერ ვპოულობთ ოლიმპიანეს სომხურ თარგმანში. ვარდანთან ვხვდებით არაკს „ძუ ლომი და მელა“ (ვ97), (ძუ ლომი ბოკვერს ბადებს. ცხოველებში იმართება დღესასწაული. მელა კი ხმამაღლა აცხადებს: ამაშია შენი სიძლიერე, რომ ერთ შვილს ბადებ? ხოლო მე კი რამდენიმეს. ძუ ლომი კი პასუხობს: ვბადებ ერთს, მაგრამ ლომს და არა მელუკებსო). ეს არაკი არის ეზოპეს იგავ-არაკთა კრებულში იმავე სათაურით. – „ძუ ლომი და მელა“ (მელასაგან შერცხვენილმა ძუ ლომმა, მასზედ რომ ძუ წლის განმავლობაში ერთს შობო, უპასუხა – ერთს, მაგრამ ლომს“). როგორც ვარდანს, ასევე ეზოპეს ეს ერთიდაიგივე არაკი იდეურად ერთნაირად აქვს გააზრებული და აგებული.

ეზოპესთან არაკი სულ ერთადერთ წინადადებას შეიცავს, ჩვენ ჯერ არსად, არც სომხურსა და არც ქართულში, ასეთი მოკლე არაკი არ შეგვხვედრია. იგი ფორმით ძველ აღთქმაში დაცულ სოლომონისეულ ბრძნულ შეგონება-სენტენციას წააგავს, ვიდრე იგავ-არაკს. ვიმეორებთ მხოლოდ ფორმით, თორემ მას იგავ-არაკისათვის დამახასიათებელი არცერთი კომპონენტი, სიუჟეტი, მორალი, არ აკლია. ვარდანთან არაკის თხრობითი ნაწილი საგრძნობლად გაზრდილია, რაც ხდება არაკში დამატებითი პერსონაჟების შეყვანისა და თვით მელიის ძუ ლომთან გრძელი დიალოგის ხარჯზე. სხვაობა საგრძნობია არაკის ეზოპესეულსა და ვარდანისეულ ახსნა-მორალს შორის. ეზოპესთან მორალში ნათქვამია: იგავ-არაკი გვიჩვენებს, რომ დასაფასებელია არა რაოდენობა, არამედ ღირსება, ხოლო ვარდანს როგორც ყოველთვის, მორალი მისთვის დამახასიათებელი ბევრისმომცველი გააზრებით აქვს დატვირთული. „ეს არაკი გვიჩვენებს, – წერს იგი, – რომ ღმერთის წინაშე უმჯობესია სიკეთის მკეთებელი ერთი კაცი, ვიდრე ათასი მოუწიანებელი ცოდვილი და უმჯობესია ერთი ღარიბი, რომელიც არ იმსახურებს ჯოჯოხეთს, ვიდრე ათასი უსინდისო და ავი“. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეზოპესა და ვარდანის არაკები სხვადასხვა დროსა და სიტუციაში იწერებოდა. თუ ეზოპესათვის კონკრეტულად იგავ-არაკიდან გამომავალი მორალია მისაღები, ე.ი. რასაც არაკი თავისი სიუჟეტით მოითხოვს, ეზოპე თავისი შეგონებით იმასვე ხსნის, ვარდანისათვის ასეთი მეთოდი არაკების მორალ-შეგონების დამუშავებისას არ იყო ხელსაყრელი. მას, როგორც სასულიერო პირს, უნდა გაეთვალისწინებინა ეკლესიის გარკვეული მოთხოვნები და მრევლისათვის მოეწოდებინა ისეთი მორალი, რომელიც მართალია სიუჟეტთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ ამავე დროს ქრისტიანული მსოფლმხედველობის პრინციპებიც გამოეყენებინა. ასე რომ,

ჩვენს მიერ მოყვანილ ორ იდენტურ არაკში არსებული მორალ-შეგონებების სხვაობა გაუგებრობად არ უნდა მივიღოთ. ამ შემთხვევაში უდავოა, რომ ვარდანს გამოყენებული აქვს ეზოპეს არაკი. როგორც აღვნიშნეთ, ოლიმპიანეს სომხურ კრებულში ვერ ვხვდებით ეზოპეს ამ არაკს. ე.ი. ვარდანს, რომელიმე სხვა წყაროდან სცოდნია ეზოპეს იგავ-არაკები. ეს რომ გამონაკლისი ყოფილიყო, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ როგორც ვარდანთან, ასევე ეზოპესთან ერთნაირი სიუჟეტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოცენდა, რაც (ეს სხვათაშორის) გამონაკლისების სახით მსოფლიო ლიტერატურაში შეინიშნება (ბოდლერი ე.ა.პოს შესახებ წერდა: „ჩემსა და მას შორის აღმოჩნდა არა მარტო სიუჟეტური, არამედ ფრაზოლოგიური მსგავსება-დამთხვევებით //Д. Дюришин — „Теория сравнительного изучения лит-ры“ 1979//, რასაც ზოგიერთი მეცნიერი //იქვე// „духовное родство“-ს უწოდებს), მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს არ იყო გამონაკლისი და ვარდან აიგეცტთან კიდევ რამდენიმე ასეთი მაგალითის დაძებნა შეიძლება (ვ15, ვ70, ვ20). მხითარ გოშთანაც ანალოგიური მდგომარეობაა. მის კრებულში შესულია ეზოპეს ის არაკები, რომელსაც ვერ ვხვდებით ოლიმპიანესთან (მაგალითად მხითარის ერთ არაკში (მ63) მოთხრობილია ბუს შესახებ, რომელიც არწივის მაგალითზე თავადაც მოინდომებს ცხვრის მოტაცებას, რის გამოც მწარედ დაისჯება. ზუსტად ასეთი შინაარსის გადმომცემია ეზოპეს ერთი იგავ-არაკი (ე211). ჩვენ შევნიშნეთ კიდევ რამდენიმე ასეთი საერთო სიუჟეტის არაკები, მაგრამ რომ აღარ გაგვიგრძელდეს, მეტს აღარ მოვიტანთ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ვარდანისა და მხითარის კრებულებში შესული რამდენიმე ეზოპესეული იგავ-არაკი ოლიმპიანეს სომხურ თარგმანში არა გვხვდება და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები ვარდანისა

და მხითარის არაკებში ეზოპეს იგავ-არაკების შეტანა მხოლოდ ოლიმპიანეს კრებულის საშუალებით მოხდაო, მცირედენ დაზუსტებას მოითხოვს. ეტყობა სომხეთში არსებობდა ეზოპეს კრებულები, რომლებიც გამოიყენეს სომეხმა მეიგავეებმა, ან არც ისაა გამორიცხული, რომ მათ რომელიმე უცხოელი ავტორის მიერ თავიანთ ნაწერებში, შესაძლებელია თვალსაჩინოებისათვის, შეტანილი ეზოპეს იგავ-არაკები აითვისეს.

ვარდანის ერთ-ერთი იგავ-არაკის („სულელი და ექიმი“ – 398) პერსონაჟად – ექიმი, ატარებს ჰალენის სახელს, რომელიც ჯანმრთელობის თაობაზე არიგებს ხალხს. ეს სახელი სულაც არ არის ვარდანის ფანტაზიის ნაყოფი. ჰალენი იყო ისტორიული პირი, სახელგანთქმული ექიმი, II ს. ჩვ. წ. აღ-ით. იგავ-არაკში ჰალენი ნახსენებია ყოველგვარი განმარტების გარეშე, თუ ვინ იყო იგი, რას წარმოადგენდა. ეტყობა ავტორი იმდენად არის დარწმუნებული ჰალენის, სახელგანთქმული მედიკოსის, სომხეთში პოპულარობით, რომ ფიქრადაც არ მოსვლია თავის იგავ-არაკში მკითხველს მიანიშნოს ერთი-ორი სიტყვით მაინც (ბერძენი ექიმი ჰალენი, ან ყველასათვის ცნობილი ექიმი ჰალენი) ამ კაცის ვინაობასა და პროფესიაზე. შესაძლებელია ვარდანმა, როგორც თავისი დროისათვის განათლებულმა კაცმა, იცოდა ჰალენის ტრაქტატები თარგმანების ან თვით ორიგინალის საშუალებით და აქედან გამომდინარე ისიც, რომ ჰალენის ცხოვრება და მოღვაწეობა დაემთხვა რომაულ სამყაროში ახალი „ბერძნული აღორძინების“ (ასე აღნიშნავენ რომის ისტორიის I-III საუკუნეებს თანამედროვე მეცნიერები) პერიოდს. პერიოდს, ბერძნულ-რომაულ სამყაროში უკე მივიწყებული იგავ-არაკული ჟანრის ტრადიციების აღდგენისა, როდესაც იგავ-არაკების კონტექსტში ჩართვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ რიტორიკულ და ისტორიულ თხზულებებში, რომ თვით ჰალენს

ერთ-ერთ სამედიცინო ტრაქტატში გამოყენებული აქვს იგავ-არაკი „ვირისა და ძალლის“ შესახებ თავისი ერთი მოსაზრების არგუმენტაციისათვის. ე.ი. ჰალენი გატაცებული ყოფილა არაკებით, სხვა შემთხვევაში იგი რატომ გამოიყენებდა მათ თავის სულ სხვა ხასიათისა და დანიშნულების ნაწერებში. და ის, რომ ვარდანმა თავის ერთ-ერთ იგავ-არაკში მთავარ პერსონაჟად ჰალენი გამოიყვანა, შემთხვევითი არ არის. ეტყობა ვარდანისათვის არ არის უცხო ანტიკური ლიტერატურა. და, რა თქმა უნდა, ანტიკური იგავ-არაკული ტრადიციებიც.

გარდა ეზოპეს, ფედროსის, ბაბრიუსის იგავ-არაკებისა, ჩვენ გადავათვალიერეთ გასპაროვის მიერ გამოქვეყნებული ანტიკური სასკოლო იგავ-არაკების კრებულები („იგავ-არაკები ფსევდოდოსიფოსისა“ (16), „იგავ-არაკების კრებული „აფტონიუსისა“ (IV.1), ცალკეული ანტიკური ავტორების (მაგალითად პოეტ სიმონიდე ამორგელის, VIII ს. ჩვ. წ. აღ-მდე, სიმონიდე კეოსელის (556-468 ჩვ.წ. აღ-მდე), არისტოფანეს, ანტიფილოს ბიზანტიელის (556-468 ჩვ. წ. აღ-მდე), პერმოგენის (რიტორი, II ს. ჩვ. წ. აღ-მდე), პლუტარქეს, მაქსიმ ტირსელის, დიონისე ხრისოსტომის ნაწერებში მოხმობილი იგავ-არაკები, შუასაუკუნეების ლათინური არაკები ძირითადად რომულუსის კრებულიდან. უნდა ითქვას, რომ არცერთი ეს არაკი (რომელთაგან ზოგიერთი ეზოპესეულია) სომხურ იგავ-არაკებში არ პოულობს გამოძახილს.

როგორც შემდგომმა კვლევამ ცხადყო, ვარდანი და მხითარ გოში თავიანთ იგავ-არაკების შეთხზვისას მხოლოდ ანტიკურ იგავ-არაკულ ტრადიციებს როდი იყენებდნენ. სომეხ მეიგავეთა არაკებში ჩვენ შევნიშნეთ ზოგიერთი პარალელი ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის არაკებთან. ის, რომ სასულიერო მოღვაწენი ბიბლიურ იგავებსა თუ იგავ-არაკებს ხშირად მოიხმობდნენ თავიანთ ქადაგებებში, რასაც ვარდანიც აკეთებდა, ცნობი-

ლია, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ძველი და ახალი აღთქმის ბრძნულ შეგონება-სენტენციებს მხითარი და ვარდანი (ერთი გამონაკლისის სახით ეს საბასთანაც არის) შემოქმედებითაც ითვისებდნენ და ლიტერატურული გადამუშავების საშუალებით ახალ ორიგინალურ იგავ-არაკს თხზავდნენ.

ძველი აღთქმის ერთ-ერთ თავში (ცნობილი სოლომონის იგავების სახელით), ვკითხულობთ: „ვითარცა საყურენი ოქროსანი ცხვირსა ღორისასა, ეგრეთვე დედაკაცი ბოროტ გონების შუენიერებისა“. ვარდანის იგავ-არაკის „მეფე და ღორის“ (III გვ. 87. 88) შინაარსი ასეთია: ერთი მეფე გაიგებს, რომ არსებობს არაჩვეულებრივი ნაყოფიერი, სულ თეთრი ფერის ღორი. მსახურებს სასახლეში მოაყვანიან. ოქროს ტანსაცმლით მორთავს, ცხვირში ოქროს საყურეს გაუკეთებს, მძივებს დაკიდებს. მაგრამ ღორი მაინც სულ ტალახში გორაობს. რა ნახავენ, რომ ღორი ფუფუნებასა და სიმდიდრეს ვერ შეიშნობს, გახდიან და სასახლიდან გაუშვებენ.

სიუჟეტური მსგავსება სოლომონისა იგავსა და ვარდანისეულ იგავ-არაკს შორის შესამჩნევია, აზრობრივად კი სხვაობა მაინც საგრძნობია. სოლომონისეულში ღორის ოქროკაზმულობა და ქალის გარეგნული სილამაზე, მაგრამ უჭკუობა ერთ ასპექტშია დანახული. როგორც ღორისათვის ფუფუნება და სამკაული, ისე უჭკუო ქალისთვის გარეგნობა ფუჭია. ე.ი. რა აზრი აქვს სილამაზეს უჭკუობის შემთხვევაში ვარდანთან მოოქროვილი ღორისა და უჭკუო ქალის ანალოგია საერთოდ მოხსნილია. ვარდანისათვის ცხვირში ოქროს საყურე გაყრილი ღორი თავისებური, მისთვის დამახასიათებელი გააზრებისათვის არის საჭირო. მასთან იგავ-არაკის მორალი, როგორც წესი, ქრისტიანულ მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს. ვარდანის თქმით, როგორც მეფის ზრუნვა ღორის სისუფთავეზე უნაყოფო გამოდგა, ასევე მაცხოვრისაგან ადამიანებთან გაგზავნილ მონაფეთა მი-

ერ განუღო ღვანლიც ფუჭია, რადგან კერაფერი ვისწავლეთ, მაინც ყველანი ვცოდავთ და ბევრს ვაშავებთო. ვარდანი არც ამ შემთხვევაში ღალატობს იგავ-არაკის აგებისა და მორალური კონცეფციის ჩამოყალიბების მისეულ პრინციპებს და სოლომონის იგავს იყენებს იმდენად, რამდენადაც მისი არაკების საერთო ხასიათი თხოულობს.

სოლომონის იგავებში ვკითხულობთ: „რამეთუ ოდეს არა იყო ქონებად რითმე მოყიდვად, აღიღონ სარეცელი რომელი ქუეშე გუერდსა შენსა“ (22,27). ვარდანის იგავ-არაკის „მოვალეს სანოლი“ (ვ263) ასეთი შინაარსისაა: „ერთმა კაცმა ურიცხვი ფული ივალა. ვალის შესახებ არასოდეს დარდობდა, ყოველთვის უზრუნველს ეძინა. როდესაც გარდაიცვალა, აღმოჩნდა, რომ ის სულ ვალებში იყო. გაოცებულმა მეფემ ამ კაცის სანოლის მოითხოვა – თავად მინდა ვიხილო ის სანოლი, რომელზეც შეეძლო ძილი ამდენი ვალების პატრონსო“. სიუჟეტური მსგავსება, რა თქმა უნდა, აქაც შეინიშნება მცირედი განსხვავებით. როგორც სოლომონის იგავის, ისე ვარდანის არაკის მთავარი კომპონენტებია ურიცხვი ვალით გარშემორტყმული კაცი და მისი ლოგინი. ერთიც და მეორეც მსმენელსა თუ მკითხველს აფრთხილებს: ნუ მიეჩვევიან სხვის ხარჯით ცხოვრებას. ერთი შეხედვით ვარდანის არაკში თითქოს მოვალეობისათვის გარკვეული გამოსავალიც არის ნაპოვნი, სანამ ცხოვრობ, რამდენიც გინდა ისესხე, სიკვდილის შემდეგ ვინ რას მოგთხოვსო, მაგრამ ეს მოჩვენებითია, პირიქით, ვარდან აიგეკცის ამ არაკში შეფარვით მწარე ირონია შეინიშნება. თუ ვარდანის ყველა არაკის დანიშნულება ხალხისათვის ჭკუის სწავლება და დარიგებაა, გამონაკლისი არც ეს არაკია.

ვარდანის იგავ-არაკთა კრებულებში ერთი მეტად საინტერესო შინაარსის იგავ-არაკია დაცული, სადაც მოთხრობილია ადამიანის ასოთა ერთმანეთთან კამათი („სხეულის ნაწილთა კამა-

თი" ვ351), ამ არაკით ვარდანი გარკვეულ ანალო-
გიას აკეთებს სხეულის სხვადასხვა ნაწილებსა და
ადამიანთა საზოგადოების წევრებს შორის. საინ-
ტერესოა შემდეგი ფაქტი: VII საუკუნის მოღვაწის,
მარტვირი ქართველის ერთი იგავი, სადაც მსჯე-
ლობა იმართება ადამიანის შინაგან და გარეგან
ასოებს შორის. ზოგიერთი ქართველი მეცნიერის
ვარაუდით, შესაძლებელია, რომ მარტვირი ქარ-
თველი იყენებდა ბიბლიურ პავლე მოციქულის
ეპისტოლეებში დაცულ არაკებს სხეულის გარე-
გან ასოთა კამათის შესახებ. გასათვალისწინებ-
ლია ისიც, რომ პავლე მოციქულთან არსებული
არაკი (რომ. XII, 5, კორნ. XII, 12-17) შესაძლებელია
გამოძახილი იყოს უძველესი ეგვიპტური იგავ-
არაკისა („მუცელსა და თავს შორის საუბარიტ"),
ან სულაც მენენიუს აგრიპას არაკისა. გვამისა და
ასოთა აუცილებელი შეთანხმებულობის შესახებ
(მსგავსი სიუჟეტის მქონე იგავ-არაკი „მუცელი და
ფეხები", 130. ეზოპესთანაც შეგვხვდა). სომხურის
ჩათვლით ყველა ამ იგავ-არაკში თითქმის ერთი
და იგივე სიუჟეტია გამოყენებული. მარტვირი
ქართველის იგავ-არაკში კამათია სხეულის რო-
გორც გარე, ასევე შიგნითა ნაწილებს შორის, რაც
არ არის პავლე მოციქულთან, სამაგიეროდ კი
არის ვარდანის არაკში. ალბათ ნაჩქარევი იქნება
სომხურის ქართულიდან წარმომავლობის შესახებ
ვილაპარაკოთ, ვერც პავლე მოციქულის და ვარ-
დანის არაკებს შორის მიმართება დამოკიდებუ-
ლებაზე ვიტყვით დაბეჯითებით ვერაფერს. და ამ-
ჯერად ჩვენ ვკმაყოფილდებით მხოლოდ არსებუ-
ლი ფაქტის, შემჩნეულ მსგავსებების ფიქსირე-
ბით.

საინტერესოა, იყენებდა თუ არა მხითარ გოში
ბიბლიურ იგავებს ორიგინალური იგავ-არაკების
წერისას, ისევე როგორც ეს ვარდანის ზოგიერთ
არაკებზე შევნიშნეთ. მხითარის კრებულში შეგ-
ვიძლია მხოლოდ ერთი არაკი გამოვყოთ, რომელ-
საც ჩვენის აზრით, ემჩნევა სოლომონის ერთ-ერ-

თი იგავის (ბრძნული სენტენციის) გავლენა. სოლომონთან წერია: „რომელმან უთხაროს მთხრებელი მოყვასსა, შთავრდეს მას შინა და რომელი აგორვებდეს ლოდსა, აგორებს თავსა თვისსა ზედა“ (26,27).

მხითართან არის ასეთი იგავ-არაკი: „გარეული ქათამი და მონადირე“ (მონადირე დაიჭერს გარეულ ქათამს. ეს უკანასკნელი ევედრება, ოღონდ არ მომკლა და ბევრ გარეულ ქათამებს მოტყუებით ხელში ჩაგიგდებო. მონადირე კი პასუხობს: შენ ახლა მით უფრო მოგკლავ, რადგან გაიძვერობით ლალატობ შენს მოძმესო). სიუჟეტურად არავითარი მსგავსება არ შეინიშნება. სოლომონის იგავის დედააზრი – რომ არ უნდა ეცადო სხვისთვის ცუდს, თორემ შენ თვითონ დაგემართება ცუდი – გასაგებია და ნათელი. მხითარს სოლომონისგან გამოუყენებია მხოლოდ და მხოლოდ იგავის იდეური გააზრება, რაზეც დამოუკიდებელი ლაკონური იგავ-არაკი თავისი პერსონაჟებით აუგია. დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ მხითარს სოლომონის იგავი აუთვისებია, ძნელია, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ სოლომონის ამ ბრძნული სენტენციას თავის ძალზე ცხოვრებისეული იდეური გააზრებით დაეინტერესებინოს მხითარი. ჩვენ ისლა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ სომეხი მეიგავენი (განსაკუთრებით ვარდანი) თავიანთი იგავ-არაკების წერისას ზოგჯერ ბიბლიურ იგავებსაც იყენებდნენ, და რომ ეს პროცესი შემოქმედებითი კავშირის ხასიათს ატარებდა. ამ იგავებს სომეხი მეიგავენი თავიანთი გემოვნებებისა და მსოფლმხედველობის მიხედვით ამუშავებდნენ, ხშირად მხატვრულად ხვეწდნენ და თავისებურად იაზრებდნენ. ბიბლიური სენტენციების გამოყენებით, ისინი ახალ ორიგინალურ არაკებს ქმნიდნენ.

ახლა კი ვნახოთ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები რა მიმართებაში არიან სომხურ იგავ-არაკებთან. აქვს თუ არა ქართველ მეიგავეს ორიგინალური არაკების წერისას გამოყენებული

ზოგიერთი სიუჟეტი თუ მოტივი, რომელსაც მხითართან ან ვარდანთან ვხვდებით.

მეცნიერთა მიერ დიდი ყურადღებით არის გამოვლენილი ს.ს. ორბელიანის არაკების აღმოსავლური თუ დასავლური წყაროები. ამ მხრივ ქართველი მეიგავის დამოკიდებულება მეზობელი სომეხი ხალხის მდიდარ იგავ-არაკულ ტრადიციებთან მცირე გამონაკლისის გარდა თითქმის შეუსწავლელია (მცირე გამონაკლისში ვგულისხმობთ ქართველი მეცნიერის – ილ. აბულაძის მეტაც საინტერესო დაკვირვებებს ქართულ სომხურ იგავ-არაკულ ჟანრთან დაკავშირებით) //ილია აბულაძე – სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ წიგნის რამდენიმე არაკის უცხო პარალელი“, კრ. ს.ს. ორბელიანი, 1959 წ.//.

სულხან-საბა ორბელიანთან ვხვდებით არაკს სათაურით: „კაცი და გველი“ (ერთი კაცი გველს სიკვდილისაგან გადაარჩენს, უმადური გველი კი სიტყვებით – კარგისთვის კარგი არავის უქმნია“, აპირებს მის მოშხამვას. კაცი ჯერ ჭადარს, ხოლო შემდეგ ხარს მიმართავს მშველელად, მაგრამ ერთიც და მეორეც შეახსენებს კაცს მის უმადურობას და არ შველიან. ეშმაკი მელა მოახერხებს კაცის გველისაგან განთავისუფლებას, მაგრამ ეს კაცი მელას მოკვლას დაუპირებს, მელა გარბის და ნანობს რომ გადაარჩინა. კარგისთვის კარგი როდის ქმნილაო). ვარდან აიგეკცის კრებულში ამავე სიუჟეტის არაკს ვხვდებით შემდეგი სათაურით: „კარგს კარგი არასოდეს მოსდევს“ (ვ133). აზრობრივად სულხანის არაკი ვარდანის არაკის იდენტურია, მორალ-შეგონებაც იდეურად თანხვედრია. არაკის თვით პერსონაჟებიც კი დაახლოებით ერთნაირად მეტყველებენ. ე.ი. უდავოა სულხანსა და ვარდანს შორის შემოქმედებითი კონტაქტის არსებობა. მართალია, არის იმავე სიუჟეტის იგავ-არაკი სათაურით „მგზავრი და ასპიტი“ (ვ176), მაგრამ აქ არაკი სულ რამდენიმე წინადადებით ამოიწურება და არც პერსონაჟთა რიც-

ხვია იმდენი, რამდენიც სულხანთან ან ვარდანთან. ჩვენი წინასწარი დაკვირვებით ეზოპეს არაკი შეიძლება ვარდანს დაემუშავებინოს, ხოლო ამ უკანასკნელის კი – სულხან-საბა ორბელიანს, თავისი ჩვეული ოსტატობით ახლებურად გაეაზრებინოს.

„სიბრძნე სიცრუისაში“ ვხვდებით იგავ-არაკს სათაურით „ძუნწი და ოქრო“, ვარდანის კრებულში იგივე სიუჟეტის იგავ-არაკი დასათაურებულია ოდნავი სხვაობით: „ვერცხლის მოყვარე“, ხოლო ეზოპესთან იგივე არაკი სათაურით: „ძუნწი“ (შინაარსი სამივე იგავ-არაკისა საერთოა: ერთი კაცი თავის სიმდიდრეს მიწაში ფლავს, სხვები იპარავენ. მდიდარი რა შეიტყობს, ტირის, ხოლო ერთი ბრძენი ეუბნება: მაგ მიწაში გინდა ოქრო გედოს და გინდა ქვა, რა მნიშვნელობა აქვს, თუკი ვერ გამოიყენებდიო). ეს სამივე არაკი სიუჟეტის თვალსაზრისით იმდენად მსგავსია ერთმანეთის, რომ ძნელია იმის მტკიცება, სულხანმა თავისი იგავ-არაკისთვის წყაროდ ეზოპე გამოიყენა თუ ვარდანი. მაგრამ ამ არაკების ერთმანეთთან დაკვირვებით შეჯერების შემდეგ ეზოპესა და სულხანისეულში უფრო მეტი საერთო შევნიშნეთ უპირველესად არაკის ფორმის, მოქმედ პირთა სიმცირითა და თანხვედრი დიალოგების თვალსაზრისით. უფრო საგულისხმოა, რომ ამჯერად სულხანი ეზოპეს იყენებს წყაროდ და არა ვარდანს. როდესაც ვამბობთ, რომ სულხანის ზოგიერთი იგავ-არაკი სიუჟეტისა და მოქმედების მდინარების თვალსაზრისით თანხვედრია ზოგიერთი სომხური ან ანტიკური არაკებისა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სულხანი უცხოურ წყაროებს მექანიკურად იყენებს ე.ი. შემოქმედებითად არ ამუშავენ. რა თქმა უნდა, არა. სულხანისათვის დამახასიათებელია არაქართულ წარმოშობის არაკებთან მეტად პოეტური მიდგომა, რაც ჩანს, უპირველეს ყოვლისა, ასეთი არაკების სტილის დახვეწაში, მხატვრულ დამუშავებასა და არსებულ კონტექსტში მოხდენილად

ჩართვაში. ისე რომ, სულხანის უმეტეს ორიგინალურ არაკებში ეს იგავ-არაკებიც სულხანისათვის ჩვეული ოსტატობით არიან დახვეწილნი და სხვა არაკებს ორგანულად ერწყმიან.

ვარდან აიგეკცის და მხითარ გოშის კიდევ რამდენიმე არაკი პოულობს სულხანთან გამოძახილს. მაგალითად, ცნობილი არაკები მგლის, სახედრისა და მღვდლის ანაფორაში გადაცმული მელის შესახებ (სახედარი მოტყუებით კბილებს რომ ჩაუმტვრევს მგელს) სულხანთან (ნალბალნდი მგელი" და „ბერად შემდგარი მგელი" (სომხურში „მგელი და ვირი" (ვ40) და „მელა-მოძღვრის" (მ98) სათაურებით ცნობილი ჩვენ ამ ქართულ სომხური არაკების ტექსტობრივ შედარებას აღარ შევუდგებით, რადგან მსგავსება უკვე სათაურებიდანვეა თვალსაჩინო.

ერთი მეტად საინტერესო საერთო სიუჟეტის მქონე იგავ-არაკი შევნიშნეთ სულხანისა და ვარდანის არაკებში. სულხანთან ამ არაკის სათაურია – „ანჩხლი ცოლის პატრონი", ხოლო ვარდანთან კი – „ჭირვეული ცოლი". თუ მცირედ განსხვავებებს მხედველობაში არ მივიღებთ, ორივეგან თხრობის მდინარება ერთნაირია და ერთი მთავარი გმირის გარშემო როგორც სომხურში, ასევე ქართულში თავს იყრის თანაბარი რაოდენობის მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, ცხოველები თუ ადამიანები. ორივე არაკი ფორმითა და მოცულობითაც თანაბარია (მოკლე შინაარსი ასეთია: ერთი კაცი ჭამის წინ თავისი პურის ნაწილს მდინარეს ატანდა სისტემატურად. ერთხელაც წყლიდან გამოვიდა ადამიანი, მივიდა მასთან და ეუბნება: ამდენი ხნის მანძილზე შენი პურით ვიკვებებოდიო. და სამაგიეროდ ასწავლა ცხოველთა და ფრინველთა ენა. ოღონდ გააფრთხილა: თუ ამ საიდუმლოს გასცემ, მოკვდებიო. იმ დღიდან იმ კაცს ყველაფერი ესმოდა. მას ძალზედ ანჩხლი ცოლი ჰყავდა, რომელმაც შენიშნა რა ქმარს უცნაური საქციელი, აუტყდა, გინდა თუ არა მითხარიო. საშველი

არ მისცა. კაცი დაღონდა, არ იცოდა რა ექნა. ერთხელაც, როდესაც ეზოში კარის დირესთან იყო დამჯდარი, შემოესმა მამლის ხმა: „ამ ჩემს პატრონს ნეტა რა ადარდებს, რაზედ დაღრეჯილავ. მე ჩემს ოცდაათ ცოლს ვუვლი და ამას ერთი რა გაუჭირდაო. აილოს ერთი კაი შვინდის ჯოხი, მისცხოს ერთი-ორი და ყველაფერი კარგად იქნებაო“. გახარებული კაცი აკეთებს იმას, რაც მამალმა თქვა და ცოლსაც სამუდამოდ არჯულებს). როგორც სულხანს, ასევე ვარდანს, იგავ-არაკები ერთნაირად აქვთ გააზრებული იმ სხვაობით, რომ თუ ვარდანის მორალი უშუალოდ ქალების წინააღმდეგ არის გამიზნული, სულხანთან ამ არაკის მთქმელი სედრაქი რუქას გულისხმობს.

ეკლესიასტეს XI თავის დასაწყისი მუხლი ასე იწყება: „წარეც პური შენი პირსა ზედა წყლისასა, რამეთუ სიმრავლესა შინა დღეთასა ჰპოო იგი“ (ეკლესიასტესეული ამ გამონათქვამის პარალელი „სიბრძნე სიცრუისაში და ყაბუს ნამეში განხილული აქვს მეცნიერს გ. იმედაშვილს. „ს.ს. ორბელიანი“. 1979 წ.). ეკლესიასტე, ჩვენი ვარაუდით, ეტყობა გულისხმობს გულლია და კეთილ კაცს, რომელიც სიკეთის (პურის) გაცემით ოდესმე დაიბრუნებს გაცემულს („რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“). სულხანისა და ვარდანის არაკების პირველ ნაწილში სწორედ ამაზეა ლაპარაკი. ჰუმანური, ქრისტიანულ მორალზე გაზრდილი სომეხი და ქართველი მეიგავისათვის სიკეთის კეთების, სიკეთის გაცემის მაგალითი (ამავე დროს მოწოდება ძველი აღთქმის ერთ-ერთ თავში დაცული), სასიამოვნო, სასარგებლო ნიმუში იყო თავიანთ იგავ-არაკში გამოსაყენებლად. მათაც არ დააყოვნეს და შემოქმედებითად აითვისეს. სულხანმა რომ ვარდანის გარეშეც იცოდა ეს ბრძნული გამოთქმა, რა თქმა უნდა, ეს ეჭვს არ იწვევს, მაგრამ შესაძლებელია, ვარდანის მიერ ამ ბრძნული სენტენციის გამოყენებით დამუშავებული არაკით მოიხიბლა, თვითონაც აითვისა ეს ვარდანის არაკი

და „სიბრძნე სიცრუისაში“ თავისი მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზიის საშუალებით მოხერხებულად, გარკვეული სახეცვლილებით, მისთვის დამახასიათებელი სტილიზაციის ხერხების გამოყენებით ჩართო. არც ისაა გამორიცხული, რომ ქართულსა და სომხურ იგავ-არაკებში ერთნაირად გამოხატული წყლისათვის პურის გატანების საერთო მოტივი მსგავსი თემით, მასალით წყლის კულტის გადმონაშთი იყოს (ღვთაებისათვის პურის შეწირვის რიტუალი, რომელსაც შემწირველისათვის ჯილდო მოაქვს). ამ შემთხვევაში კი შეიძლება დავუშვათ, რომ როგორც სულხანი ასევე ვარდანი ქართველებისა და სომხების რაღაც საერთო ან მსგავს ფოლკლორულ მასალებს ეყრდნობოდნენ.

სულხან-საბა ორბელიანს „სიბრძნე სიცრუისაში“ კიდევ რამდენიმე იგავ-არაკი, თუ იგავური მოტივი გამოუყენებია „ეზოპეს ცხოვრებიდან“ („უმნარესი და უტკბილესი“) და სოლომონის იგავებიდანაც (26, 27), მაგრამ მათზე ჩვენ აღარ შევჩერდებით. ამრიგად შეიძლება ითქვას, როგორც ეს ვარდანისა და მხითარის არაკების ანალიზისას აღვნიშნეთ, სულხანი უცხოური წყაროებიდან (ეზოპე, ბიბლია, ვარდანი, მხითარი) გამოყენებულ მოტივებს შემოქმედებითად ეკიდება და მხატვრულად ამუშავებს.

К ВОПРОСУ О СОПОСТОВЛЕНИИ СБОРНИКОВ ПРИТЧ МХИТАРА ГОША, ВАРДАНА АИГЕКСКОГО И СУЛХАН-САБА ОРБЕЛИАНИ

1. Мхитар и Вардан приблизительно одновременно творили в Армении, поэтому не удивительно, что в их сборниках встречаются притчи со сходными сюжетами (В 237, В127, В324, М133, М127). Хотя Мхитар и Вардан вступают друг с другом в творческий контакт, это отнюдь не означает, что их отношение к притчам со

сходными сюжетами одинаково. Одну и ту же притчу Мхитар осмысливает совершенно иначе, чем Вардан. Если для Мхитара характерен крайний лаконизм повествования, Вардан увлекается подробным описанием событий.

2. Эзоповские притчи, вошедшие в сборники Мхитара и Вардана, не встречаются в армянских переводах, принадлежащих Олимпиану. Исходя из этого, можно предполагать, что существовали более ранние переводы притч Эзопа на армянский язык.

3. Сочиняя свои притчи, ни Мхитар Гош, ни Вардан Агекский, не опирались лишь на античные традиции. У армянских баснописцев наблюдаются некоторые параллели с притчами Ветхого и Нового завета (Притчи Соломоновы 26, 27, 22, 27; Послание Рим XII, 5, 1; Коринф, XII, 12-17). Библейские Мудрые сентенции переработаны как Мхитарием, так и Варданом и на их основе получены новые притчи.

4. В сборнике Сулхан-Саба Орбелиани выявлены те притчи, которые, по-видимому, созданы в результате знакомства со сборниками Мхитара, Вардана, Эзопа. Это отнюдь не означает, что Сулхан-Саба Орбелиани использует иноязычные источники и не прибегает к их творческой переработке. Наоборот, для Орбелиани характерно оригинально-поэтическое отношение к притчам негрузинского происхождения, что в основном проявляется в художественной переработке оригинала, в совершенствовании его стиля, в мастерстве включения переработанных притч в данный контекст. Поэтому притчи данного типа органически связаны с притчами Орбелиани и доведены до художественного совершенства с присущим Сулхан-Саба мастерством.

5. Большая часть изученных нами армянских и грузинских притч отличается весьма высокими литературными достоинствами, что свидетельствует об огромных творческих возможностях их авторов.

სულხან-საბა ორბელიანის, მხითარ გოშისა და ვარდან აიგაქცის იგავ-არაკთა მხატვრული თავისებურებების შეპირისპირებითი ანალიზი.

საერთო ისტორიულმა ბედმა მეტად დაგვაახლოვა სომეხ ხალხთან, მის კულტურასთან. ეს ურთიერთობა ნაყოფიერი იყო ქართველებისთვისაც და სომეხთათვისაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენი ხალხების ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები პერიოდებადაა დაყოფილი. ეს, ალბათ, მეცნიერული კვლევის გასაადვილებლად, თორემ დროითი ზღვარი მეგობრობისა არასოდეს არ იფარგლება არც ერთი ეპოქით. ეს მეგობრობა ისეთივე მდიდარია, როგორც ჩვენი ხალხების ისტორია. თუმცა, გულისტკივილის გამოთქმა მაინც შეიძლება, რომ ლიტერატურული ურთიერთობანი ისე არაა შესწავლილი, როგორც ამ ორი ხალხის კულტურას ეკადრება.

ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია დიდი ქართველი მოაზროვნის სულხან-საბა ორბელიანისა და ცნობილ სომეხთა მოღვაწეთა, ვარდან აიგეკცისა და მხითარ გოშის, იგავ-არაკების ზოგიერთი მხატვრული ურთიერთმიმართების საკითხი.

მეცნიერთა მიერ გამოვლენილია მთელი რიგი იგავ-არაკებისა, რომლებიც, მათი მტკიცებით, მხითარ გოშისა და ვარდან აიგეკცის ორიგინალურ იგავ-არაკებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ კრებულებს მხოლოდ და მხოლოდ თავის მიერ გამოგონილი

არაკებით ავსებდნენ. ისინი იყენებდნენ სხვათა, ხშირად არასომხურ წყაროებსაც. მათ თუ ხელში ჩაუვარდებოდათ საერო მოტივის შემცველი იგავ-არაკი, უმაღლესედაც საერო შინაარსის მორალს სასულიეროთი. არც ის არის გამორიცხული, რომ მხითარი ან ვარდანი ქადაგებებისათვის, ან სხვა მიზნებისათვის, ჯერ საჭირო და შესაფერის მორალს მოიგონებდნენ, ხოლო შემდეგ მას მიუსადაგებდნენ იგავ-არაკს, თუნდაც აშკარად საერო მოტივით გამორჩეულს. ალბათ, ამიტომ, ზოგ შემთხვევაში, მორალი იგავ-არაკის სიუჟეტს არც თუ მაინცდამაინც ესადაგება.

შეიძლება თანამედროვე ლიტერატურული პოზიციიდან ეს არაკები მორალთან ერთგვარად ხელოვნურად, მექანიკურად დაკავშირებულად მოგვეჩვენოს და შეგონება გაჭიანურებულ შთაბეჭდილებას ტოვებდეს, მაგრამ ყოველი ლიტერატურული ფაქტი ისტორიულ ასპექტში უნდა გავი-აზროთ და მაშინ ნათელი გახდება მისი, როგორც მხატვრული, ისე შემეცნებითი ეფექტი და მიზანდასახულება. საქმე ისაა, რომ ღრმად მოაზროვნე ქრისტიანი მოძღვარი, ვარდან აიგეკცი, მიზნად ისახავს ქრისტიანული დოგმების არსი და ეთიკა ადვილმისაწვდომი, იოლი ასათვისებელი გახადოს ფართო მასებისათვის; მისთვის მთავარია ქრისტიანული მოძღვრების არსის მიტანა მკითხველამდე და ამ მიზნით, თავის მსოფლმხედველობით კონცეფციას უსადაგებს საერო ხასიათის არაკს, ცდილობს ამ არაკს ახალი კუთხე მოუძებნოს, ახალ შინაარსობრივ დატვირთვას აძლევს და სრულიად ახალი ასპექტით გაგვააზრებინებს ერთი შეხედვით თითქოს და სულ სხვა შინაარსის არაკს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ავტორის პოზიციია არა მეიგავე მხატვრისა, არამედ მოაზროვნე-დაქტიკოსისა, რომელიც ცდილობს თანამოქალაქეთა დამოძღვრას მაღალი რელიგიურ-მორალური პრინციპებით და ამის მიღწევის მიზნით იშველიებს თავის დებულებას, უსადაგებს ამა თუ იმ არაკს.

სულხან-საბა ორბელიანთან კი მორალი და არაკის თხრობითი ნაწილი ურთიერთს შეესაბამებოდა. არც ერთის უპირატესობა არ იგრძნობა, ორივე მთლიანია და რომელიმეს გამოკლებით ან გადასხვაფერებით იგავ-არაკი დაკარგავს მხატვრულ ღირსებას. „სიბრძნე სიცრუისას“ კითხვისას ერთ იგავ-არაკსაც კი ვერ შევხვდებით ისეთს, რომელშიც დარღვეული იყოს არაკის თხრობით ნაწილსა და მორალს შორის უკვე აღნიშნული კანონზომიერება. სულხანს ვარდანისა და მხითარისაგან განსხვავებით, არ გადააქვს მორალზე აქცენტი და არ ანიჭებს მას უპირატესობას. თუ სომეხ მეიგავეებთან იგავ-არაკები მეტწილად მორალს უქმნიან ფონს, სულხანთან ისინი ერთ მთლიანობაში არიან გააზრებული. ჩვენ შორსა ვართ იმის მტკიცებისაგან, რომ ქართველი და სომეხი მეიგავეების ასეთი სხვაობა იგავ-არაკებზე დართულ დიდაქტიკურ მორალ-შეგონებასთან მიმართებაში გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ სულხანის დიდი შემოქმედებითი ტალანტით. გასათვალისწინებელია ის განსხვავებული პერიოდი, როდესაც იქმნებოდა ეს არაკები და აგრეთვე ისიც, რომ სომხური ორიგინალური იგავ-არაკები გამიზნული იყო სასულიერო პირთათვის, უკეთეს შემთხვევაში, საერო უბრალო ხალხისათვის. მათ ამ არაკებს მქადაგებელი უკითხავდა და უხსნიდა. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ მე-12-13 საუკუნეების სომხეთში ქრისტიან მამათა მიერ მწერლობაში დანესებული ცენზურა განსაკუთრებით მკაცრი იყო (ბრძოლა მზის თაყვანისმცემლების წინააღმდეგ), იდეებოდა ყველა, ვინც საერო მოტივების შემოტანას ცდილობდა. მხითარსაც და ვარდანსაც ამ პერიოდში მოუხდათ მოღვაწეობა, ალბათ ამან თავისი დაღი დაასვა მათ ლიტერატურულ ქმნილებებს.

სომხური იგავ-არაკების გაცნობისას სტილისტური თვალსაზრისით ორი უკიდურესობა შეინიშნება: ეს არის მეტად მშრალი, მონოტონური,

ზოგან ნაძალადევად შეკვეცილი თხრობა, ხოლო მეორე, უფრო ცოცხალი და ბუნებრივი მდინარე-ბა თხრობისა. აქედან გამომდინარე, ზოგი არაკი მეტად მახვილი და სასიამოვნო საკითხავია, ხოლო მეორე ნაწილი – საგრძნობლად გაჭიანურებული.

სულხან-საბასთან კი პირველი, რაც თვალში გვეცემა, ეს არის ლაკონური და, ამავე დროს, მეტად დახვეწილი თხრობის კულტურა. აქ ყველაფერი უკიდურესი სიზუსტით არის გათვალისწინებული, მოხსნილია ყოველგვარი ზედმეტით გატაცება. სულხანისათვის ძირითადია მოვლენის არსი და ამიტომაც მას ნაკლებად აინტერესებს კერძო მხარეები, ნაკლებმნიშვნელოვანი დეტალები. მისთვის მთავარია გამოკვეთოს ძირითადი იდეა. მის არაკებში მეორეხარისხოვანი მოტივები იდევენება და მათ ადგილს მთლიანად იჭერს ნამყვანი იდეა. თხრობა მოკლედ, სადად, ლაკონურად მიედინება. ძუნწად მონათხრობი ამბავი სიტყვათა მინიმალური რაოდენობის გამოყენებით არის გადმოცემული. არც ერთი ზედმეტი სიტყვა, მოტივი არ ჩრდილავს ძირითად აზრს, იგავ-არაკის ზნეობრივ, მამხილელ იდეას. „იგავის ფორმა შინა-არსის ნათელ წარმოსახვას ემსახურება და არ ინვეს ახალ დამატებით ასოციაციას. ამიტომაცაა, რომ საბა გაურბის ყოველგვარ სტილიზაციას, პოეტიზაციას და ლექსიკის სინწინდით, პროზის სიზუსტით კმაყოფილდება“ //ლ. კეკელიძე, „სიბრძნე სიცრუისა“, როგორც იგავ-არაკული ჟანრის თხზულება და მისი ისტორიული, ფილოლოგიური საკითხები“. „ძველი ქართული ლიტერატურა XI-XVIII სს.“ თბ., 1977 წ.//.

იგავ-არაკის, როგორც ჟანრის, განსაზღვრისათვის სპეციალურ ლიტერატურაში თუ ენციკლოპედიებში, მაგალითად „მცირე ლიტერატურულ ენციკლოპედიაში“, მითითებულია შემდგენი დამახასიათებელი ნიშნები: ლაკონურობა, თხრობითი ფორმა, დიდაქტიკა, სატირა, ალეგორიულო-

ბა, აფორიზმები დასაწყისში ან ბოლოში. ამასთან არ ასახელებენ იგავ-არაკის ერთ უმთავრეს ნიშანს, რომ ამ ნაწარმოების ცენტრში დგას სახე-პერსონაჟი. ალეგორიული ან რეალური, რომელიც გარკვეული ხასიათის მატარებელია და ეს ხასიათი განსაზღვრავს არაკის აზრსაც და ზოგჯერ მორალსაც. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ არის და ზოგჯერ (როგორც სომხურ იგავ-არაკების დიდ ნაწილში შეინიშნება) მორალის ხასიათი ავტორის პირად მოსაზრებასთან არის დაკავშირებული.

რადგან პერსონაჟი-ხასიათი ყოველთვის დგას იგავ-არაკის ცენტრში, იქმნება აუცილებლობა იგავ-არაკის სახე-პერსონაჟებისა და მათი შექმნის მხატვრული საშუალებების შესწავლისა, რაც ალბათ მომავლის საქმეა (ამ მხრივ რუსული იგავ-არაკული ჟანრი მეტად დაწვრილებით და დეტალურად არის შესწავლილი, რასაც ვერც სომხურზე და ვერც ქართულზე ვერ ვიტყვით).

პერსონაჟის თვისებები, მისი ხასიათი განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება დიალოგებში. რაც უფრო მეტი ცოცხალი, სხარტი დიალოგია იგავ-არაკში გამოყენებული, მით უფრო იკვეთება გმირის ხასიათი. ამ მხრივ საინტერესოა ვარდანის კრებულები და განსაკუთრებით სულხანის იგავ-არაკები. ამ ავტორთა არაკების პერსონაჟთა დიალოგებში იხსნება არა მხოლოდ მათი ხასიათი, არამედ შეხედულებებიც კი. დაუვინყარია ვარდანის არაკი მლოცველსა და მისი სახედრის შესახებ, სადაც შვიდიოდე წინადადებაში ბრწყინვალედ არის გადმოცემული ეკლესიაში ლოცვების დროს თავისი საფიქრალით შეპყრობილი მოხუცი კაცის განცდები, – ჩემი აქ ლოცვის დროს ვინმემ სახედარი არ მომპაროსო. უნებურად გეცინება ამ გაჭირვებული კაცის ბუტბუტზე. თვალწინ გიდგას მისი წელში მოხრილი სხეული მავედრებელი თვალებით და საკუთარ სახედარზე ფიქრის გამო დადარდიანებული სახით. მართალია, ასეთი

იგავ-არაკები ვარდანისა და მხითარის კრებულებში იშვიათია, მაგრამ ეს მაინც დამადასტურებელია იმისა, რომ თვით იგავ-არაკსაც შესწევს უნარი შექმნას პატარა ნოველისებური სიუჟეტი თავისი სახასიათო გმირებით. როდესაც ვლას-არაკობთ იგავ-არაკის პერსონაჟთა ხასიათის, თვისებებისა და მათი გამოსახვის საშუალებებზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა უარყოფითი პერსონაჟები გამოვყოთ. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, არაკებში უარყოფითი გმირები, ხშირ შემთხვევაში, უფრო ინდივიდუალური, თავისებური თვისებების მქონენი არიან, ვიდრე დადებითები. „სიბრძნე სიცრუისაში“ ხუთი მთავარი პერსონაჟია: ფინეზი, ლეონი, სედრაქი, ჯუმბერი და რუქა, რომელნიც ერთმანეთს უმეტესწილად იგავ-არაკებით ესაუბრებიან. თუ ჩვენ „სიბრძნე სიცრუისაში“ არსებულ არაკებს მათი მთქმელების სახელების ქვეშ დავალაგებთ, მივიღებთ ხუთი სხვადასხვა, ზოგჯერ საწინააღმდეგო შეხედულებების, აზრების თუ კონცეფციის მქონე იგავ-არაკთა ჯგუფს. ერთი ჯგუფი მეფე ფინეზის ხასიათის მაჩვენებელი იქნება, მეორე – ლეონის, მესამე – სედრაქის, მეოთხე – ჯუმბერის და მეხუთე – რუქასი. იმასაც შევნიშნავთ, რომ თითოეული გმირის მიერ ნათქვამი იგავ-არაკი მშვენივრად ახასიათებს მისსავე მთქმელს. „სიბრძნე სიცრუისაში“ მეტად საინტერესო პიროვნება, თავისი სულიერი ტკივილებით და განცდებით, მოხერხებულობით, ხშირად გესლითა და ირონიით, და, რაც მთავარია, ტრაგიზმით არის საჭურისი რუქა, კაცი, რომელსაც მშვენივრად ესმის თავისი ფიზიკური ნაკლით გამოწვეული ზიზღი ახალგაზრდების (ლეონის და ჯუმბერის) მხრიდან, იცის და თავადაც მწარე სიტყვებით პასუხობს, მაგრამ ერთგან ველარ იკავებს გულში დაბუდებულ ბოლმას და სინანულით ამოიოხრებს – „ჩემდე სანატრელ არს სიკვდილი“-ო. ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რამდენად უნდა გას-

ჭირვებოდა რუქას, რომ თავის მეტოქეებთან ეს სიტყვები წარმოეთქვა.

სულხან-საბა ორბელიანის არაკები, ნაწილი მხითარის და ვარდანის არაკებისა, გამოირჩევიან ღრმა ფსიქოლოგიზმით, ადამიანის ხასიათის უმცირესი ნიუანსების ჩვენებით.

ჩვენს მიერ შესწავლილი სომხური და ქართული იგავ-არაკების ერთი მეტად დამახასიათებელი თავისებურება ფსიქოლოგიზმია.

ვარდანი და სულხან-საბა დიდ ოსტატობას ავლენენ პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის, მისი განცდებისა და გრძნობების გადმოცემისას. ზოგიერთ არაკში კაცის ხასიათი, მისი მოქმედება სიბრაზისა თუ წუხილის ჟამს უზუსტესი ნიუანსებითა და უწვრილმანესი დეტალების გათვალისწინებით გადმოიცემა.

„პერსონაჟის ხასიათის ძირითადი თვისების გახსნა ჯერ კიდევ შეიძლება არ შეიცავდეს თავის თავში ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას.“ მაგალითად, მელა ატყუებს მგელს. ეს, რა თქმა უნდა, მეტყველებს მელის ეშმაკობასა და გაიძვერობაზე, მაგრამ ეს არ სცილდება ჩვეულებრივ იგავ-არაკულ გამოხატვას მელისას. ფსიქოლოგიური ხატვა კი არის გადმოცემა პერსონაჟის მდგომარეობის, გრძნობების, განცდების. თუმცა ძირითადი საშუალება ფსიქოლოგიური ხატვისა არის მაინც პერსონაჟთა მოქმედება, სიტუაცია, რაც არაკში თავს იჩენს მაშინ, როდესაც არაკის გმირს ეცვლება სულიერი მდგომარეობა და განწყობილება.

თუ სულხან-საბა ორბელიანთან იგავ-არაკების გმირები მეტწილად ადამიანები არიან, ვარდანთან და მხითართან ცხოველები უფრო ჭარბობენ. სულხანთან, მხითართან და ვარდანთან ადამიანები გვხვდებიან, როგორც საერთო სახელით – „კაცი ვინმე“ ან „ადამიანი“, ასევე პროფესიის აღმნიშვნელი სახელებით – მეწიქვილე, მწყემსი, მონადირე, მეჩექმე. სახელები შეიძლება მიგვა-

ნიშნებდნენ გმირის სოციალურ წარმომავლობას – გლეხი, მსახური, მეომარი. გამოყენებულია, აგრეთვე, პერსონაჟთა სახელწოდებები, რომლებიც გამოსატყვევ ადამიანის თვისებებს (ძუნნი, მატყუარა, ცნობისმოყვარე, მლიქვნელი, გაიძვერა). როგორც ქართულ, ასევე სომხურ იგავ-არაკებში ადამიანი-პერსონაჟები დიფერენცირებულნი არიან თავიანთი საქმიანობა-ხელობის, საზოგადოებრივი მდგომარეობის და ხასიათ-განწყობილების მიხედვით.

იგავ-არაკების პერსონაჟებთან დაკავშირებით მეტად საინტერესო წერილი აქვს დაწერილი რუს მეცნიერს კრიმოვს //И. А. Крымов, „Эволюция и теория Басни“, „Русская Басня XVIII в.“. М., 1977.//, სადაც ხაზგასმულია, რომ არაკებში არსებული ტრადიციული პერსონაჟის გარდა არის კიდევ ერთი მოქმედი პირი. ეს აუცილებელი პერსონაჟი ყოველთვის არ ჩნდება სცენაზე, მაგრამ მისი არსებობა ყველგან და ყოველთვის იგრძნობა. ეს არის მთხრობელი, ამხსნელი მოთხრობილი სიუჟეტისა, რომელიც ახდენს შეგონება-მორალის ფორმულირებას: „Его образ, который складывается в сознании читателя из совокупности интерпретаций рассказанных сюжетов, легко ассоциируется с самим баснописцем“ //И. А. Крымов, „Эволюция и теория Басни“, „Русская Басня XVIII в.“. М., 1977//.

ეს აუცილებელი „პერსონაჟი“ ანუ „მთხრობელი“ ჩვენს მიერ განხილულ იგავ-არაკების სიუჟეტშიც იგრძნობა. იგავ-არაკის პერსონაჟებისა და მათი გამოსახვის საშუალებებზე ჩვენ მეტად აღარ შევჩერდებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო ხანებში რუსეთშიც და უცხოეთშიც გამოიცა რამდენიმე სპეციალური ნარკვევი და მონოგრაფია //Д. Лихачев, „Поэтика древнерусской литературы“, М., 1980 г.; Ю. Кудрявцев „Три круга Достоевского“, М., 1979 г.; Н. Meyerhoff, „Time in Literature“, 1979.//, სადაც ლიტერატურული ჟან-

რების, მათ შორის, იგავ-არაკების განხილვისას, გამახვილებულია ყურადღება კიდევ ერთ „უხილავ მოქმედ პირზე“, რომელშიც დროის კატეგორიას გულისხმობენ. ეს „უხილავი მოქმედი პირი“ ან არის, ან იგულისხმება.

დიდი რუსი პოეტი ჟუკოვსკი წერდა: „ნუ ეძებთ ლაფონტენის იგავ-არაკებში მორალს – იგი არ არის! – მაგრამ თქვენ იხილავთ არაკის სულს, რომელიც თქვენს წინაშე მშვენიერ გრძნობებად იღვრება“. იგავ-არაკებში ჟუკოვსკი ხედავდა არა მორალს, არამედ გრძნობებსა და მხატვრულობას. რარიგ სასიამოვნოა, რომ ჩვენს მიერ განხილული სომხური და ქართული იგავ-არაკების მეტი წილი თავიანთი ლიტერატურული ღირებულებით მეტად მაღალ დონეზე დგას, რაც მათ ავტორთა შემოქმედებით დიდოსტატობაზე მეტყველებს.

ლიტერატურული პარალელები (ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან)

დიდი ქართველი მეიგავის, სულხან-საბა ორბელიანის თხზულების „სიბრძნე-სიცრუისას“ ლიტერატურულ და ხალხურ წყაროებს საკმაო წარმატებით იკვლევენ ჩვენი მეცნიერები //ა. განერელია, ლეონარდო და ვინჩი და სულხან-საბა ორბელიანი, „მნათობი“, №1947, №1-2; გ. ავალიშვილი, *Die Weisheit der Lüge*, ბერლინი, 1933, გვ. 11-13; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II ტ., 1952; გვ. 351-52; ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 270-72; ალ. გვახარია, სიბრძნე სიცრუის ერთი არაკის შესახებ, 1956; ე. ვირსალაძე, ზღაპართა სიუჟეტების საძიებელი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 13; შ. ონიანი, სიბრძნე-სიცრუის ზოგიერთი არაკი სვანურ ზეპირსიტყვიერებაში, ს.-ს. ორბელიანის საიუბილეო კრებული, აკად. გამოცემა, 1959; აპ. ცანავა, წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ და ქართული მახვილსიტყვიერება, 1960; ლ. კეკელიძე, ს.-ს. ორბელიანი – „სიბრძნე სიცრუისა“, კრ. „რუსთველოლოგიისა და ძველი ქართ. ლიტერატურის საკითხები“, ტ. VIII. ალ. გვახარია, სიბრძნე სიცრუის ერთი არაკის შესახებ (თბ. სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, VII, 1955 წ.)//. მართებულად შენიშნავს აკად. ალ. ბარამიძე, რომ „სიბრძნე-სიცრუისა“ თავისი სიუჟეტით, კომპოზიციით, იდეური შინაარსით ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებია. ორიგინალურია „ჩარჩოს“ ამბავიცა და ჩანართი მოთხრობებიც. რასაკვირველია, ეს

იმას არ ნიშნავს, რომ ავტორი სხვადასხვა მასალებითაც არ სარგებლობდა. სულხან-საბა ორბელიანი იყო ფრიად განათლებული, ერუდიტი მწერალი, იგი კარგად იცნობდა მშობლიურ ლიტერატურასა და ფოლკლორს, მისთვის ხელმისაწვდომი იყო მეზობელი კულტურული ხალხების მწერლობაც. ავტორის ფართო ლიტერატურული ჰორიზონტი და ფართო ლიტერატურული ინტერესები კარგად იგრძნობა სიბრძნე სიცრუის წყაროების შესწავლის გზითაც.

ძირითადი წყაროები, რომელსაც ავტორი იყენებდა, იყო ქართული მწერლობის ძეგლები, ქართული ხალხური სიტყვიერება და ე.წ. მოარული ხასიათის იგავ-არაკები... სულხან-საბა ორბელიანის ამ ლიტერატურულ შედეგებში აღბეჭდილია ავტორის დიდი ნაკითხობა და განსწავლულობა ძველ ქართულ მწერლობაში. რაც შეეხება კერძოდ „სიბრძნე სიცრუისას“ იგავ-არაკებს, როგორც ვთქვით, ავტორს ამ მხრივ ფართო მოუხმია ე.წ. მოარული სიუჟეტები ნაწილობრივ მწიგნობრული გზით, ნაწილობრივ (და საფიქრებელია უფრო მეტიც) ხალხურ სიტყვიერებიდან. „სიბრძნე სიცრუეში“ საკმაო რაოდენობით ვხვდებით ისეთ იგავ-არაკებს, ზღაპრებსა და ანექდოტებს, რომელთა სიუჟეტები ცნობილია პანჩატატრათი, ჰიტოპადეშით, ქილილა და დამანათი, სიბრძნის სალაროთი, ხოჯა ნასრედინზე არსებული ანექდოტებით, ვარდანის იგავებით, მელის წიგნით, ეზოპეს იგავ-არაკების კრებულით და სხვა. მიუხედავად ამისა, დიდი სიფრთხილით შეიძლება ლაპარაკი „სიბრძნე სიცრუის“ ავტორის მხრივ უცხო ლიტერატურული წყაროებით სარგებლობის შესახებაც (1, 57-58).

მეცნიერთა მიერ გამოვლინებულია სულხან-საბას შემოქმედებითი კავშირი როგორ ქართულ ხალხურ სიტყვიერებასთან, ისე აღმოსავლურ თუ ანტიკურ ლიტერატურულ ძეგლებთან. ამ ასპექტით ძიებისას ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეუ-

ლი სულხანის არაკების მიმართებას მოძმე სომეხი ხალხის მდიდარ ლიტერატურასთან. როგორც ირკვევა აღმოსავლურ და ევროპულ ლიტერატურის ღრმად მცოდნე ქართველი შემოქმედი საკმაოდ საფუძვლიანად იცნობდა სომხურ ლიტერატურასაც. სულხანის ზოგიერთი არაკი სიუჟეტისათუ მოტივის მხრივ ეხმიანება ერთ სომხურ ლიტერატურულ ძეგლს. სულხანის თანამედროვე ზაქარია ქანაქერცის, თავის ცნობილ „ქრონიკებში“ მრავალ ფოლკლორულ მასალასთან ერთად ფიქსირებული აქვს ხალხური გამოცანა, რომელიც შემდეგი ხასიათისაა:

კითხვა: ხიდზე გაიყვანე ერთი მგელი, ერთი ბატკანი და ერთი კონა თივა ისე, რომ მგელმა არ შეჭამოს ბატკანი, ხოლო ბატკანმა – თივა.

პასუხი: ჯერ გადავიყვან ბატკანს, შემდეგ გადავიტან თივას და წამოვიყვან ბატკანს, გადავიყვან მგელს და, დავბრუნდები და წავიყვან ბატკანს (2, 229).

ამ იგავ-გამოცანას შეესიტყვა სულხანის ორი არაკი:

№56. „მგელი, თხა და თივა“

ერთ ვინრო ხიდს გაგიდებ და ზედ ერთი მგელი, ერთი თხა და ერთი ხორუმი თივა მოიღეს, მოვიდა ჯუმბერ, აიყვანა თხა, გაჰხდა ხიდსა და დასვა მუნ. გამოჰხდა, აიყვანა მგელი. გაჰხდა ხიდსა. მგელი მუნ დაუტევა და თხა ამიერ გამოიყვანა, თხა დასვა. თივა აიღო, გაჰხდა ხიდსა და თივა მგელთან დადვა. გამოჰხდა, თხა აიყვანა და გაიყვანა იგიცა მიერ.

№57. „სამი ცოლ-ქმარი და მდინარე“

სამნი კაცი უმეცარნი ერთის დიდის მდინარის კიდეშა შეიყარნენ. სამთავ ცოლები ჰყვა თანა. მუნ წყალში ერთი მცირე ნავი ჰპოვეს, ორის მეტი კაცი ვერ დაეტიეოდა, ამ მდინარესა ეს ექვსნი იმიერ ასე გაიყვანე, რომ ერთმან მეორის ცოლი ვერ იხელთოს!

რა გასინჯა რუქამ, ძნელი იგავი იყო, დია დაჭმუნდა და ვერა გაიგნო რა. შეიქმნა დიდი თქმულება მეფესა, ვაზირსა და რუქას შორის:

არა ასრეა, არა, ესე უნდა იყოსო.

ვერ რომელმან დაასკვნა.

ჯუმბერ თქვა:

– სამთა მათ კაცთა სახელები ესე არს; მელას, მეტურ და მარასან. მოილო მელას ნავი და ჩაჯდა, ჩაისვა ცოლი თავისი და გაჰხდა გაღმართ, გარდასვა ცოლი თისი და გამოჰხდა ამიერ. ჩასხეს მათ ორთავ ცოლები და გაჰხდნენ მას ქალთან. ჩაჯდა მელას ცოლი, გამოიტანა ნავი და მოვიდა ქმართან. ჩასხდნენ მეტურ და მარასან და გაჰხდნენ თვითოს ცოლთან. ჩაჯდა მეტურ, ჩაისვა ცოლი თვისი და გამოჰხდა მელასთან. მეტურ და მელას ცოლნი იმიერ დაუტევნეს და თვით მარასანთან გაჰხდნ. ნავში მარასანის ცოლი ჩაჯდა, გამოჰხდა და მელას ცოლი გაიყვანა. მერმე ნავი მეტურ გამოართვა, თვისი ცოლი გაიყვანა და ნავიდნენ.

როგორც ვხედავთ, სულხანის ორივე არაკი გამოცანის ხასიათს ატარებს და ურთიერთგანსხვავებული სიუჟეტის გამოყენებით ერთსა და იმავე მოტივს შეიცავს. ორივე არაკის დედააზრია შეგონება: „მოსაზრებულობა რთულ ამოცანასაც იოლად გადაჭრის“. და ეს შეგონება ილუსტრირებული აქვს ორი დამოუკიდებელი სიუჟეტის შემცველი არაკით, ასევე სულ სხვა სიუჟეტია ქანაქერცის „ქრონიკაში“ დაცულ გამოცანა-არაკში, მაგრამ სულხანისეული გამოცანა არაკი ქანაქერცისეულს ეხმიანება მოტივის თვალსაზრისით.

სულხანთან და სომხურ ქრონიკაში ამოცანა პრინციპულად ერთნაირადაა აგებულიცა და გადანწყვეტილიც, განსხვავებაა მხოლოდ მოქმედების თანმიდევრობაში, სიუჟეტის ხორცშესხმაში, რომელთაგან თითოეული სავსებით გამართლებულია ამოცანის ამოხსნის თვალსაზრისით.

ქანაქერცის „ქრონიკაში“ დაცული გამოცანა-არაკი ეხმიანება სულხან-საბას ანალოგიურ არაკს. თუმცა შეინიშნება გარკვეული სხვაობაც. ქანაქერცის „ქრონიკაში“ ეს გამოცანა-არაკი მოხმობილია როგორც მათემატიკური სავარჯიშო, ხოლო სულხანი კი მას შემოქმედებითად ანვითარებს და ორგანულად რთავს „სიბრძნე სიცრუისას“ თხრობის საერთო რკალში.

მოყვანილი პარალელები შემთხვევით ხასიათს არ ატარებდა, როგორც ჩანს სულხანსა და ზაქარია ქანაქერცის აახლოვებდათ საერთო ისტორიული სინამდვილე, რასაც ადასტურებს კიდევ ერთი ანალოგიური მაგალითი:

ზაქარია ქანაქერცი:

კითხვა: სამ ძმას ყავდა ოცდაათი ცხვარი. ათმა ცხვარმა თვითეულმა დაბადა სამ-სამი ბატკანი, ათმა სხვამ ორ-ორი ბატკანი, ხოლო მესამე ათმა – თითო ბატკანი. ახლა ესენი სამ ძმას შორის ისე გაყავი ტოლად, რომ ბატკანს დედა არ დააცილო.

პასუხი: პირველ ძმას მე მივცემ ხუთ ისეთ ცხვარს, რომელთაც სამ-სამი ბატკანი შობეს, ხუთ ისეთ ცხვარს, რომელთაც თითო ბატკანი შობეს, მეორე ძმასაც მივცემ ხუთ ისეთ ცხვარს, რომელთაც სამი ბატკანი შობეს და ხუთს ისეთს, რომელთაც თითო ბატკანი ჰყავს, ხოლო მესამე ძმას მივცემ იმ ცხვრებს, რომელთაც ორ-ორი ბატკანი ჰყავს და ყველას ტოლ-ტოლი ეყოლება ათი ცხვარი და ოცი ბატკანი (2,230).

სულხან-საბა:

№58. „მოჩივარნი ძმანი“

მოვიდნენ მოჩივრად სამნი ძმანი წინაშე მეფისა, რომელნი გაყრილიყვნენ ძმობისაგან. ყველა გაეყოთ და ოცდაათი თხა ჰყვათ. იგი ვერც გაენილათ და ვერცა რიგდებოდნენ.

მოახსენეს მეფესა თხათა მათათვის:

- ათსა თხასა თითო თიკანი ჰყავს, ათსა ორ-
ორი და ათსა სამ-სამი; ესრეთ გვინებს გაყოფა,
არცა რომელმან ძმამან ძმაზე მეტი აიღოს და არ-
ცა თიკანი დედას მოშორდეს.

შეიქმნა ცილობა და თქმა. ვერა რომელმან გა-
ყო. ჰკითხეს ჯუმბერს, ძესა მეფისასა, და მან
თქვა: „ოცდაათი თხა არის და სამოცი ციკანი. იგი
ათი თხა, რომელსა ორ-ორი თიკანი ჰყავს, მიეცით
უხუცესსა, რომელ არს ათი თხა და ოცი თიკანი,
იგი არს თხა, რომელსაც ჰყავს სამ-სამი თიკანი,
ხუთი თხა საშუალს მიეცით და ხუთი მრწემსსა,
რომელი იქნება ხუთ-ხუთი თხა და თხუთმეტ-
თხუთმეტი თიკანი, იგი არის თხა, რომელსა თითო
ჰყავს, იგიცა ხუთხუთი მიეცით მათ ორთავე, რო-
მელი იქნება ათ-ათი თხა და ოც-ოცი თიკანი. არ-
ცა ძმასა ძმაზე მეტი მიჰხვდეს და არცა თიკანი
დედასა მოსწყდეს.

როგორც ვხედავთ, ერთნაირია როგორც ამო-
ცანის დედაარსი, ისე ამოცანის მართებული გზე-
ბი. სხვაობა მხოლოდ თხრობის ხასიათსა და უმ-
ნიშვნელო დეტალებშია. ზაქარია უშუალოდ დი-
დაქტიკურ ამოცანას ისახავს: მათემატიკურ სა-
ვარჯიშოს იძლევა კითხვის სახით, ხოლო სულხა-
ნი, ასეთსავე მათემატიკურ სავარჯიშოს სიუჟე-
ტის ჩარჩოში აქცევს და არაკის ხასიათს აძლევს.
ასე რომ, სულხან-საბა და ქანაქერცი ურთიერ-
თშემოქმედებით კონტაქტში იმყოფებიან //პროფ.
ილ. აბულაძე ამ არაკის პარალელს ნახულობს
სომხურ სასულიერო ხასიათის თხზულებაში. იხ.
ილ. აბულაძე, „სულხან-საბა ორბელიანის სიბ-
რძნე სიცრუის წიგნის უცხო პარალელი“. საიუბი-
ლეო კრებული - სულხან-საბა ორბელიანი, თბ.).
როგორც ჩანს, ზაქარიასაც და სულხანსაც ასაზ-
რდობდათ საუკუნეების მანძილზე საერთო
ცხოვრებით მცხოვრები მეზობელი ერების (ქარ-
თველებისა და სომხების) მდიდარი ხალხური ზე-
პირსიტყვიერება.

ზემოთ მოყვანილი ხალხურ-ლიტერატურული პარალელები კიდევ ერთი დადასტურებაა ქართველი და სომეხი ხალხის მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთკავშირისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1959.
2. Закарий Канакерци, Хроника, М., 1969.

„სიბრძნე სიცრუისას“ რამდენიმე ფოლკლორულ-ლიტერატურული პარალელი სომხურ მწერლობაში

1. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ არაკები „მგელი და თივა“, „სამი ცოლ-ქმარი და მდინარე“, „მოჩივარნი ძმანი“, უშუალოდ ეხმიანება სომეხი ისტორიკოსის ზაქარია ქანაქერცის „უამთაღმწერლობაში“ დაცულ ხალხურ გამოცანებს „ხიდზე მგლისა და ბატკნის გადაყვანისა“ და „თივის გადატანის“ შესახებ.

2. ორივე ნაწარმოებში ამოცანები პრინციპულად ერთნაირადაა აგებული და გადანწყვეტილი, განსხვავება მხოლოდ მოქმედების თანმიმდევრობასა და სიუჟეტის ხორცშესხმაშია.

თუ ზაქარია მათემატიკურ სავარჯიშოს იძლევა კითხვარის სახით, სულხანი იმავე მათემატიკურ სავარჯიშოს არაკად აყალიბებს.

3. ავტორების მიერ აღნიშნული არაკი-გამოცანების უშუალოდ ერთმანეთისაგან სესხების დასაბუთება არ ხერხდება. როგორც ჩანს, მათ შემოქმედებას ასაზრდოებდა საუკუნეების მანძილზე საერთო ცხოვრებით მცხოვრები მეზობელი ერების მრავალი საერთო სიუჟეტისა და მოტივის მქონე მდიდარი ხალხური ზეპირსიტყვიერება.

მხითარ სებასტაციის „რიტორიკის“ ქართული რედაქციების საკითხისათვის

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, მრავალსაუკუნოვანი ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობები ოთხ ძირითად პერიოდად შეიძლება დაიყოს. V-VII, VII-X, XI-XIII საუკუნეები და განსაკუთრებით XVII-XVIII საუკუნე, რომელიც ქართულ-სომხური მეცნიერული, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობების აღორძინების ხანად არის მიჩნეული (მხითარ სებასტაცი, ზაქარია ქანაქერცი, აბრაამ ერევანცი, იაკობ შამახეცი, აბრაამ კრეტაცი, სიმეონ ერევანცი, ლუკა კარნეცი, ანტონ ბაგრატიონი, სულხან-საბა ორბელიანი, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი-ნეკრესელი, ფილიპე ყაითმაზაშვილი და მრავალი სხვანი).

ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის ადრეულ საუკუნეებში უფლის კვართზე შექმნილი ქართულ-სომხური სიუჟეტებით დაწყებული, ქართველსა და სომეხ ხალხს შორის ნაყოფიერი, ურთიერთშემავსებელი ლიტერატურული და არა მხოლოდ ლიტერატურული, კონტაქტი თუ თანამშრომლობა, მიუხედავად მძიმე ისტორიული პერიოდისა, თითქმის არასოდეს შეწყვეტილა (ამ მხრივ ჩვენამდე შემორჩენილი მწირი მასალით არც XIV-XVI საუკუნეებია გამონაკლისი. იხ. ი. აბულაძე, „ბანბერ მატენადარანი“ — №3, სომხ. ენაზე).

მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სომეხ-ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა მე-17 საუკუნის დასასრულსა და მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა — ერთი მხრივ, სომხების

გარკვეული მონინავე წრეების მისწრაფება ერეკ-
ლე II-ის დახმარებით აღედგინათ თავიანთი ეროვ-
ნულ-პოლიტიკური მთლიანობა. მეორე მხრივ ის,
რომ ქართველთა, ასევე სომეხთა მხრიდან ერთი-
ორად გაიზარდა და, ვიცყოდი, ეროვნული მეცნი-
ერების განვითარებისათვის აუცილებელი გახდა
ერთმანეთის ლიტერატურით დაინტერესება და
მესამე მხრივ, იმ პირთა ინტენსიური მოღვაწეობა,
რომელთა სამეცნიერო მუშაობა ისტორიული, ფი-
ლოსოფიური, ლიტერატურული ნიმუშების სომ-
ხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად
თარგმანებით აღინიშნებოდა. ამ პერიოდში განსა-
კუთრებით დიდი რაოდენობით სამეცნიერო ნაშ-
რომები ითარგმნებოდა სომხური ენიდან ქართუ-
ლად და ეს არც იყო შემთხვევითი, რადგან ამ
დროს საქართველოში წარმოშობით ბევრი სომეხი
მეცნიერი თავისი მონაცემებისა თუ დამსახურე-
ბისდა მიხედვით განწესებული იყო სხვადასხვა
თანამდებობებზე (მეფის მდივანბეგი, რექტორი).
მაგალითად ზაქარია ვართაპეტი მადინაშვილი,
რომელიც იყო „ზედმინევნით ფილოსოფოსი,
ღვთისმეტყველი და მკურნალობისა ხელოვნების
მცოდნე, რომელმაც ასწავლა მრავალთა ქარ-
თველთა დავით უძლეველის სწავლანი“.

ტერ-ფილიპე ყაითმაზაშვილი, რომელზეც
შედარებით ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი,
ტერ-პეტროსა და სხვები.

ამავე დროს ქართველთა შორის გამოჩნდნენ
სომხური ენის კარგი მცოდნენი, რომელნიც
თვალყურს ადევნებდნენ სომხურ მწერლობას,
ხელს უწყობდნენ სომხურ-ქართული ლიტერატუ-
რული ურთიერთობის განმტკიცებას. დოსითეოზ
ნეკრესელი (რომელზეც ასევე ქვევით გვექნება
საუბარი), მზეჭაბუკ ორბელიანი, რომელმაც სომ-
ხურიდან თარგმნა არისტოტელეს „პერი-არმენია“
ეგნატე მარტყოფელი, გლახა ნათიშვილი, რომელ-
მაც გადმოიღო სომხური ენიდან სვიმეონ ჯულფე-
ლისა და სვიმეონ გარნელის თხზულებები.

ჩვენამდე შემონახულია ერთი დოკუმენტი (ხელნაწერი — S — 2406 — გვ. 121-171). რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართულიდანაც თარგმნიდნენ სომხურად.

მე-18 საუკუნის ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების ნათელ და მეტად საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ცნობილი სომეხი მოღვაწის მხითარ სებასტაციის „რიტორიკის“ ქართული თარგმანები.

როგორც დიდი ქართველი მოაზროვნე, მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ პირველი ბაგრატიონი „რიტორიკის“ ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერზე მინაწერის სახით წერდა, რიტორიკით დაინტერესება საქართველოში გამოიწვია უპირველეს ყოვლისა თავად ნაშრომის მეცნიერულმა ღირებულებამ და მეორეც თვით ავტორის მსოფლიო კათოლიკურ სამყაროში დიდმა ავტორიტეტმა. მართლაც, არ შეიძლება არ აღინიშნოს მხითარ სებასტაციის (მეცნიერ-ლინგვისტისა და ბერის) ღვაწლი სომხური ლიტერატურის ისტორიაში. იგი ხომ მხითარიანთა კონგრეგაციის დამაარსებელია (1701 წლის სექტემბრის თვეში) ქ. კონსტანტინოპოლში (1717 წლიდან მხითარისტები გადავიდნენ ვენეციაში წმ. ლაზარეს კუნძულზე, სადაც მოღვაწეობენ დღემდეც, თუმცა 1803 წელს შიდა უთანხმოების გამო კონგრეგაციის წევრების გარკვეული ნაწილი გამოეყო და დაფუძნდა ვენაში 1811 წელს).

ანტონ ბაგრატიონის მხითარით დაინტერესება (ანტონი გარდა „რიტორიკის“ თარგმნისა, თავისი სხვა შრომისათვის, კერძოდ ქართული გრამატიკის შედგენისას გარკვეულად ეყრდნობოდა მხითარისტულ „გრამატიკას“), ვფიქრობთ იმითაც არის განპირობებული, რომ მხითარი სომხური კათოლიკური კონგრეგაციის ფუძემდებელია, ხოლო ანტონის ინტერესები კათოლიკური სამყარო-

სადმი დიდი იყო, ერთ პერიოდში ხომ კათოლიკობის მიღებისათვის (1754 წელი) საქართველოდან გააძევეს კიდეც. და საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ანტონმა ზედმინევნით იცოდა სომხური მწერლობა. იგი ხშირად ასახელებს ცნობილ სომეხ მოღვაწეებს იოანე ოძუნეცს სტეფანე სიუნეცს, გრიგოლ ნარეკაცს, ვარდან აიგეკცელს, გოშიკ ვანაკანელს, მესროპ — მაშტოცს, დავით უძლეველს, გრიგოლ განმანათლებელს.

მიუხედავად აქტიური ლიტერატურული ურთიერთობისა, აღნიშნული პერიოდი სამეცნიერო ლიტერატურაში არცთუ კარგად არის შესწავლილი. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს კ. კეკელიძისა და პ. მურადიანის სამეცნიერო ნაშრომები — „ძვ. ქართ. ლიტ.-ის ისტორია“ *Армяно-грузинские литературные взаимоотношения в XVIII веке.*

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ მხითარ სებასტაციის „რიტორიკის“ ქართულ თარგმანებზე მუშაობდნენ ანტონ ბაგრატიონი, ფილიპე ყაითმაზაშვილი (საქართველოში მცხოვრები, აზნაური, ეროვნებით სომეხი, ქართულის მცოდნეც, 21-ფილოსოფიური ნაშრომის ავტორი და მთარგმნელი, ერეკლე II-თან მეტად დაახლოებული პირი, მისი ბრძანებით იგი ხელმძღვანელობდა 1755-58 წლებში თბილისსა და თელავში საღვთისმეტყველო-საფილოსოფოსო სკოლებს. დაბადება-გარდაცვალების წლები უცნობია. როგორც აზნაური მოხსენებულია გეორგიევსკის ტრაქტატის საქართველოში მცხოვრებ წარჩინებულთა სიაში) და დოსითეოზ ჩერქეზიშვილი-ნეკრესელი (ნეკრესის ეპისკოპოსი, სომხურის კარგი მცოდნე, ფილიპე ყაითმაზაშვილის მონაფე).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია „რიტორიკის“ საკმაოდ მდიდარი ხელნაწერული მემკვიდრეობა, რომელიც 51-ს

მოიცავს. ამათგან ყველაზე ნაკლოვანი ტექსტი 67 გვერდიანია, ხოლო ყველაზე სრული 426 გვერდია.

ქართველ მეცნიერთა მიერ მართებულადაა აღნიშნული, რომ მხითარ სებასტაციის „რიტორიკის“ ქართულად თარგმნასა და მის გამართვაზე მუშაობდნენ ფილიპე ყაითმაზაშვილი, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი და ანტონ კათალიკოსი, მაგრამ არ არის გამიჯნული თითოეული მათგანის მუშაობის სფერო და შედეგები. ხელნაწერების ტექსტობრივმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ ნათარგმნ ტექსტზე დაყრდნობით გარკვეული ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამუშაო ჩაატარა როგორც ანტონ ბაგრატიონმა, ასევე დოსითეოზ ჩერქეზიშვილმა. ხელნაწერთა შესწავლისა და დაჯგუფების შედეგად გამოირკვა, რომ მხითარ სებასტაციის „რიტორიკის“ ქართული თარგმანი ჩვენამდე მოღწეულია სამი რედაქციით. ესენია: ა) ხელნაწერები Q — 329, A — 1181, S — 1137, რომელიც ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ თარგმნილი დოსითეოზ ჩერქეზიშვილს გაუმართავს, ბ) ხელნაწერები S — 295, S — 122, S — 920, S — 1152, S — 1830 და მრავალი სხვა, რომლებიც ფილიპე ყაითმაზაშვილის უშუალო დახმარებით ანტონ კათალიკოსს დაუხვეწავს და გ) ხელნაწერები — S — 1454, H — 413, H — 19, რომლებიც საგრძნობლად ნაკლულია, დაზიანებული და ჯერჯერობით მათი არც მთარგმნელი და არც გამმართავი არა ჩანს.

იმ ხელნაწერებს, რომელთა ქართულად გამართავ-დამხვენი დოსითეოზი გვევლინება, პირობითად დოსითეოზ ჩერქეზიშვილისეული რედაქცია ვუწოდეთ.

აღნიშნული ხელნაწერების ურთიერთშეჯერებამ შემდეგ დასკვნებამდე მიგვიყვანა:

ა) როგორც Q — 329, ასევე A — 1181 და S — 1137 ხელნაწერები იდენტურია (შინაარსით, სტრუქტურის თვალსაზრისით) ე.ი. სამივე ერთი

საერთო დედნისაგან მოდის. ბ) მიუხედავად იდენტურობისა, შეიმჩნევა ერთმანეთისაგან მცირედი სხვაობაც. გ) Q — 329 და S — 1137 ხელნაწერების ტექსტი აბსოლუტურად სრულია, მაშინ როდესაც A — 1181 ნაკლულია. აკლია შესავალი ანუ წინასიტყვაობა, ხოლო ტექსტი კი წყდება მეთერთმეტე პრაქსისზე, აკლია. დ) სამივე ხელნაწერი სხვადასხვა კალიგრაფიით არის შესრულებული: Q — 329, წერილი ლამაზი, ხოლო A — 1181 მსხვილი ლამაზი ასოებით. რაც შეეხება S — 1137 ხელნაწერს, იგი ულამაზო ხელით, გაკვრით არის გადაწერილი, ასოები ისეა ერთმანეთში ჩანწებილგადახლართული, რომ ძნელად ამოსაკითხი ხდება. ტექსტში ძალზე ბევრი შეცდომაა. ხშირად სიტყვა ან მთელი წინადადება გადაშლილი, შემდეგ კი ჩასწორებულია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გადამწერი ჩქარობდა, ჰქონდა ცუდი ხელი, ამ საქმეში ნაკლებად განაფული ან სრულიად უყურადღებო იყო. A — 1186, და S — 1137 ხელნაწერებში Q — 329-გან განსხვავებით შეინიშნება ქარაგმების ხშირი ხმარება.

ე) მართალია, როგორც აღვნიშნეთ, სამივე ხელნაწერი ზუსტად მიჰყვება ერთმანეთს, მაგრამ უმნიშვნელო სხვაობების გათვალისწინებით S — 1137 ხელნაწერი უფრო ახლოს დგას A — 1187-თან, ვიდრე Q — 329-თან.

ვ) A — 1181 ხელნაწერის ნაკლული გვერდების აღდგენა შესაძლებელია როგორც Q — 329, ასევე S — 1137 ხელნაწერებზე დაყრდნობით.

ჩვენ სავსებით მართებულად მიგვაჩნია აკად. დიმიტრი ლიხაჩოვის დამოძღვრება, რომ ფაქტური მასალის სიმცირე მეტ გამბედაობას აძლევს მკვლევარს განმაზოგადებელი დასკვნებისათვის, მაშინ როდესაც მდიდარი მასალა მას უფრო ფრთხილსა და თავშეკავებულს ხდის. ამიტომ ჩვენი საბოლოო დასკვნისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია კიდევ უფრო დეტალური შეჯერება ხელნაწერებისა, რათა სრული და უცილო წარ-

მოდგენა ვიქონიოთ თითოეული მთარგმნელის კონკრეტულ წვლილზე, მაგრამ ამჯერად წარმოდგენილი დაკვირვებაც საკმაო ორიენტაციას გვაძლევს საკითხის გარკვევაში.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ როგორც შენიშნულია XVII-XVIII საუკუნეებში ჩვენში დამკვიდრებული იყო თავისუფალი თარგმანის მეთოდი, რის შედეგადაც ქართული ტექსტი ზოგიერთ შემთხვევაში საგრძნობლად სცილდება დედანს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხითარის „რიტორიკა“ გარკვეულ მონაკვეთში თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს. ამის გამო ტექსტში როგორც შემჩნეულია ჩვენს მეცნიერთა მიერ ჩართულია ქართული პოეზიის ნიმუშები. მათ შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო ანტონის იმ ჰიმნებმა, რომელზეც სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით ყურადღება არავის მიუქცევია და არც გამოქვეყნებულა (ამიტომ ვამზადებთ ზოგიერთი მათგანის პუბლიკაციას). ასე რომ, მხითარ სებასტაციის „რიტორიკა“ თავისი დიდი თეორიულ-განმანათლებლურ დანიშნულებასთან ერთად იმითაცაა ფასეული, რომ მან შემოგვინახა ქართული ორიგინალური პოეზიის ექსცერპტები.

მხითარ სებასტაიციის რიტორიკის ქართული რედაქცია (ტექსტოლოგიური ანალიზი)

1. მხითარ სებასტაიციის („ვენეციის მხითარისტთა კონგრეგაციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, მრავალი ფილოსოფიური, თეოლოგიური, ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორი) ორიგინალური შრომა „რიტორიკა“ ქართულად ითარგმნა ანტონ I კათალიკოსის მიერ ცნობილი მნიგნობრების ფილიპე ყაითმაზაშვილისა და ნეკრესის ეპისკოპოსის დოსითეოზის უშუალო დახმარებით.

2. „რიტორიკა“ არის უაღრესად მნიშვნელოვანი ლიტერატურათმცოდნეობითი ძეგლი, რომელიც ერთ-

ერთ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა იმდროინდელ სასწავლო სისტემაში და რომელზედაც თაობები აღიზარდნენ. მასში გამოვლენილია ეპოქის ლიტერატურული გემოვნება და ინტერესები.

3. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ქართულად თარგმნილი „რიტორიკის“ 51 ხელნაწერი. ამ ხელნაწერებში დაცული „რიტორიკის“ ტექსტები შინაარსობრივად ძირითადად მისდევენ ერთმანეთს, მაგრამ, ამავე დროს, მათ შორის შეინიშნება მთელი რიგი სხვაობანი. ასე მაგალითად: ზოგიერთ ხელნაწერში (H — 996, H — 269, H — 3042) ტექსტის შინაარსი მოულოდნელად ნყდება, ზოგ ხელნაწერს (A — 175) თავფურცელი აკლია, მთელ რიგ ხელნაწერებზე (S — 8, Q — 329, S — 295, S — 5205 და სხვა) მიწერილია ანტონ კათალიკოსის მიერ სქოლიონი, განმარტებები, შენიშვნები, ორიგინალური თუ თარგმნილი გალექსილი მჭევრმეტყველების ნიმუშები. ნაწილი ხელნაწერებისა დათარიღებულია XVIII საუკუნით, ნაწილი XIX საუკუნით, მეტ წილს კი აწერია ზუსტი თარიღი. მაგალითად A — 1181 და Q — 329, რომლებიც 1761 წლით თარიღდებიან. ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელი ხელნაწერი H — 250 კი 1850 წელს განეკუთვნება.

4. განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია ხელნაწერი 329, რომლის წინასიტყვაობაშიც (წინასიტყვაობა ეკუთვნის დოსითეოზს (გვარად ჩერქეზიშვილი), ნეკრესის ეპისკოპოსს) საკმაოდ ვრცლად და დეტალურად არის მოთხრობილი სომხური ენიდან „რიტორიკის“ ქართულად თარგმნის (გადმოქართულების) ისტორია.

5. ჩვენი წინასწარი დაკვირვებით „რიტორიკის“ ქართული ტექსტი სომხურს სიტყვასიტყვით არ მისდევს, ზოგან შეიმჩნევა საგრძნობი შინაარსობრივი სხვაობაც. შეიძლება ითქვას, რომ ქართულად თარგმნილი „რიტორიკა“ ზედმიწევნით თარგმანს არ წარმოადგენს.

6. ხელნაწერთა შესწავლამ დაგვანახა, რომ თვით „რიტორიკის“ ტექსტსა და მინაწერებში დაცულია ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტები, რომელნიც საგრძნობლად ამდიდრებენ ჩვენ ცოდნას ისტორიულ და ლიტერატურულ მოვლენებზე.

К ВОПРОСУ О ГРУЗИНСКИХ ПЕРЕВОДАХ „РИТОРИКИ“ МХИТАРА СЕВАСТАЦИ

Одним из наиболее ярких и весьма интересных образцов грузино-армянских творческих литературных взаимоотношений XVIII века являются грузинские переводы „Риторик“ известного армянского деятеля Мхитара Севастаци.

В Институте рукописей им. К. Кекелидзе при АН СССР хранится 51 рукопись грузинских переводов „Риторик“.

В грузинской научной литературе справедливо отмечается, что над переводами „Риторик“ Мхитара Севастаци работали Антон Багратиони, Филипп Каитмазашвили и Доситеоз Черкезишвили. Но по сей день не выяснен конкретный вклад каждого из них в этой области.

Текстуальный анализ рукописей выявил, что, опираясь на переводы Филиппа Каитмазашвили, отдельную независимую друг от друга работу над грузинским текстом „Риторик“ провели как Антон Багратиони, так и Доситеоз Черкезишвили.

„Риторика“ Мхитара Севастаци ценна не только своим теоретически-просветительским назначением, но и тем, что она сохранила для нас фрагменты грузинской оригинальной поэзии.

წერილობითი წყაროები უფლის ხელთუქმნელი კვართის შესახებ და ტურიზის მოსახსამი

„თუ თემამ თქვენამდე უკვე დააინტერესა მკვლევარნი, ცოცხლად დაგმარხავთ სტატიებისა და ტომების ზვინი. თუ თემა სრულიად შეუსწავლელია, წაგლეკავთ გამოუცდელი, გაუშიფრავი და ძნელად წასაკითხი მასალის ოკეანე...“ — ანდრე მორუა.

14 სექტემბერი მთელი საქართველოსათვის და მართლმადიდებლური სამყაროსათვის უდიდესი რელიგიური ზეიშია — საქართველოს ეკლესია აღნიშნავს დღესასწაულს — კვართისა საუფლოისა და სვეტიცხოვლისა.

ამასთან დაკავშირებით „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ალექსანდრე შამაროს მიმოხილვითი წერილის „უკერველი კვართის საიდუმლო“ ქართული თარგმანი (მთარგმნელი ე. კალანდარიშვილი), რომელშიც მოკლედ მიმოხილულია ამბავი უფლის კვართის შესახებ და გამახვილებულია ყურადღება, თუ რამდენად მართებულია რუსული წყაროები, რომელთა გადმოცემით, კვართის ნაწილები დღეს რუსეთში ინახება, ნახსენებია აგრეთვე მეორე უდიდესი რელიკვია ქრისტიანული სამყაროსი „ტურიზის მოსახსამი“ (სუდარა).

ჩვენ რამდენიმე წლის წინათ ვმუშაობდით აღნიშნულ საკითხზე ზემოთხსენებული ავტორისაგან იმ განსხვავებით, რომ ვეძიებდით და ვაანალიზებდით ზეპირ გადმოცემებს და წერილობით წყაროებს არა მხოლოდ რუსულ სინამდვილესთან დაკავშირებით, არამედ უფრო ფართოდ. გვაინ-

ტერესებდა საკითხთა მთელი კომპლექსი მთლიანობაში. კერძოდ, ჩვენამდე მოღწეული ქართული, სომხური, სირიული ლეგენდები და წერილობითი წყაროები ხელთუქმნელი კვართის შესახებ, გამოცემები და წერილობითი მასალების წარმოშობის, ერთმანეთთან მიმართება დამოკიდებულებისა თუ თარიღის შესახებ, ეპოქა და იდეოლოგია, რა სინამდვილეშიც ყალიბდებოდა არსებული ვერსიები, უძველესი შრეების გამოვლენა, ურთიერთმსგავსება-განსხვავების საკითხები, მემკვიდრე ისტორიკოსთა თუ გასული საუკუნისა და თანამედროვე მეცნიერთა შეხედულებები, ევროპული ვერსიები და ბევრიც სხვა. რა თქმა უნდა, უპირველესად გვინტერესებდა არსებული მონაცემების ურთიერთშეჯერებიდან გამომდინარე ხელთუქმნელი კვართის ისტორიის და მისი დღევანდელი ადგილსამყოფელის (დასვენებულია სვეტიცხოველში) კიდევ ერთხელ (მეცნიერულ დონეზე, სამეცნიერო წყაროების მოშველიებით) დაკონკრეტება! აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიუხედავად ძნელად მოსაპოვებელი აქაიქ გაბნეული შედარებით მწირი ზეპირი და წერილობითი ცნობებისა, ხანგრძლივმა ძიებამ საკმაოდ სოლიდური ფაქტობრივი მასალა დაგვიგროვა, რომელთა დიდი ნაწილი ჯერაც შეუსწავლელია. აქვე წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად რუსულ და ევროპულ დოკუმენტებში არსებული მონაცემებისა, სწორუპოვარი კვართის მცხეთიდან გატაცების შესახებ, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით იგი არ დასტურდება. სხვათა შორის, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, 1892 წელს „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში საკმაოდ ვრცელი მიმოხილვითი წერილია თავისი არგუმენტებით ამ საკითხთან დაკავშირებით დაბეჭდილი...

მოპოვებული მასალიდან ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო ის ძირითადი მიმართულებები, რომელზეც ავაგებდით კვლევას. კერძოდ: ა) რელიკვიე-

ბის მნიშვნელობა საერთოდ ქრისტიანულ ეკლესიაში და კერძოდ ქართული ეკლესიისათვის, რომელსაც სჭირდება ავტოკეფალიის მოპოვება და შენარჩუნება; ბ) ქართული ცნობები კვართის შესახებ და მისი ვერსიები, შინაარსი, რომელ თხზულებებშია შემონახული, მათი თარიღი და განსხვავებები; გ) ლეგენდები და წერილობითი წყაროები დაცული სომხურ, სირიულ, ევროპულ მასალებსა და ზეპირ გადმოცემებში. მათი ვერსიები, დათარიღება; დ) როგორ იქმნება მსოფლიო ქრისტიანულ სამყაროში ერთი დასრულებული თავგადასავალი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი რელიკვიისა და სხვა.

საქართველოს ეკლესიას თავისი მდიდარი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ხშირად უხდებოდა თავის დაცვა სხვა ეკლესიათა მხრიდან ბრალდებათა ასაცილებლად, მედგრად იბრძოდა ავტოკეფალიის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის, წელმაგრობისა და ერის ზნეობრივი წარმართვისათვის. ამისათვის კი იგი ეყრდნობოდა, იყენებდა როგორც თავის მდიდარ ტრადიციებს, მრავალფეროვან, მხატვრულად დახვეწილ მწერლობას, დიდი ავტორიტეტის სასულიერო მოღვაწეებს, ასევე მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის (და არა მხოლოდ ქრისტიანული) ფასეულ რელიკვიებს. სწორუპოვარი კვართის გარდა საქართველო ითვლება მთელი რიგი რელიკვიების მფლობელად: ნინოს ჯვარი, მარიამის სარტყელი, ანყურის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი, ჯვრის ნაწილი, რომელზეც უფალი აწამეს და მისი ლურსმნები, მაგრამ უფლის კვართი, მათ შორის სამართლიანად უმნიშვნელოვანესია. როდესაც ქვეყანას, მის ეკლესიას გააჩნია ეგზომ ფასდაუდებელი რელიქვია, ბუნებრივია იგი ამით სამართლიანად ამაყობს და წელმაგარია.

აღბათ ყოველივე ამან, გარდა თვით ფაქტისა მცხეთაში უფლის კვართის დასვენების შესახებ, განაპირობა მისადმი ჩვენს წერილობით წყაროებ-

სა თუ ზეპირ გადმოცემებში ასეთი ცხოველი ყურადღება.

საქართველოში კვართის ჩამოტანის შესახებ არსებობს უძველესი ლეგენდა, რომელიც რამდენიმე ვერსიის სახით შესულია ძველ ქართულ წერილობით წყაროებში. მართალია ყველა მათგანი ერთმანეთისაგან გარკვეულად განსხვავებულია, მაგრამ სიუჟეტი ერთმანეთს ემთხვევა. რადგან სიუჟეტი წერილის დასაწყისში მოხსენებულ ავტორს (ა. შამარო) გადმოცემული აქვს, თუმცა გარკვეული მცირე უზუსტობით, მას აღარ ვუბრუნდებით. მასალები უფლის კვართის შესახებ შემდეგ წყაროებში გვაქვს დაცული. კერძოდ: („წმინდა ნინოს ცხოვრებაში“), რომელიც დაცულია შატბერდულ (X საუკუნე) და ჭელიშურ კრებულებში, ლეონტი მროველის (XI ს.) და არსენ ბერისეული (XII ს.) „ნინოს ცხოვრების“ რედაქციები, მეთოთხმეტე საუკუნის მოღვაწის ნიკოლოზ გულაბერიძის ა) „გალობანი სუეტიისა ცხოველისანი“, ბ) „საკითხავი სუეტიისა-ცხოველისა, კუართისა საუფლოისა და კათოლიკე ეკლესიისაი“ და არსენ ბულმაისიძის ძის „გალობაი წმიდისა მოციქულისა ნინოისი“ (XIII ს.). ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე ადრინდელად არაუგვიანეს მეცხრე საუკუნეში დანერილად სამართლიანად მიიჩნევენ „წმინდა ნინოს ცხოვრებასა“ და „მოქცევაი ქართლისაის“ მათიანეს, რომლებიც დაცულია ერთმანეთის გვერდით შატბერდის კრებულის X საუკუნის ხელნაწერებში. ჩვენს ხელთ არსებული ქართული წყაროების ურთიერთშეჯერებამ შემდეგ შედეგებამდე მიგვიყვანა: 1. არსენ ბერისეულ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ რედაქციაში კვართი ხვდა წილად რაბინ ელიოზს, განათლებულსა და ყველასაგან პატივცემულ პიროვნებას, 2. ბულმაისიძის ძის მიხედვით („გალობაი წმინდა მოციქულისა ნინოისი“) — მცხეთელ ებრაელებს. 3. ზოგიერთ რედაქციაში თქმულება კვართზე გადმოიცემა სიდონიას სიტყვებით, სხვებში აბია-

თარის. 4. ამავე დროს აბიათარისეულ მატრიანეში ამბები ადერკი მეფის დროს ხდება, მაშინ როდესაც სიდონიასეულში — ამაზიერი მეფობს. 5. აბიათარის მატრიანეში ელიოზთან ერთად იერუსალიმში მიეშურება ლონგინოზ კარსნელი, ცნობილი მცხეთელი მეომარი, რაც არ არის რედაქციებში (ეს ის ლონგინოზია, რომლის ცხოვრებაც დაუნერიათ ჯერ ბერძნულ, შემდეგ სირიულსა და სომხურ ენებზე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ჯვარცმის დროს). 6. თაყაიშვილის მიერ გამოცემული „ნინოს ცხოვრების“ (XIII ს.) ახალი რედაქცია გამდიდრებულია ისეთი ცნობებით რაც საერთოდ არ გვხვდება ჩვენთვის ცნობილ არცერთ ხელნაწერსა თუ რედაქციაში (მაგ., პილატე პონტოელის მეუღლის, ნმინდა ლუკას, ნმინდა პეტრესა და იმ სუდარის შესახებ, რომლითაც იქნა ქრისტე წამების შემდეგ შემოსილი).

როგორც ვხედავთ, ზემოთჩამოთვლილი ვერსიები, მიუხედავად ერთი მთლიანი საერო სიუჟეტისა, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, განსხვავების მიზეზი კი შეიძლება ისიც იყოს, რომ ყველა ამ ვერსიის შემკრებ-ჩამწერი, შესაძლებელია წერის დროს სხვადასხვა დედნებს იყენებს.

ალბათ არც ის უნდა იყოს გასაკვირი, თუ რატომ გამოიკვეთა განსაკუთრებით მე-9-10, 11-12 საუკუნეების ქართულ წყაროებში საკითხები ხელთუქმნელ კვართთან დაკავშირებით.

მას შემდეგ, რაც ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მოხდა ოფიციალური განხეთქილება, იქიდან მოყოლებული თითქმის მე-13 საუკუნის დამდეგამდე ქართველებს და სომხებს შორის დავა და პაექრობა არ შეწყვეტილა. როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, პაექრობამ ორი უმთავრესი საკითხი წამოაყენა: ერთი იყო ქართულ-სომხური ეკლესიების განხეთქილების შესახებ, თუ როგორ მოხდა და ვინ იყო დამნაშავე, მეორე საკითხი კი საქართველოში ქრისტიანობის პირველ ქადაგებას და გავრცელებას შეეხებოდა... თუ

VII-VIII საუკუნეებში მიუხედავად საეკლესიო განხეთქილებისა, დასაშვები იყო ქართველთა განმანათლებლად გრიგოლ პართელი ჩაგვეთვალა, მე-9 საუკუნიდან დღის წესრიგში დგება საკითხი, გახსენებას მიეცეს საკუთარი განმანათლებელი. ასეთი კი იყო წმინდა ნინო. საქართველოში წმინდა ნინოს მოღვაწეობის, მის მიერ ქართლის მოქცევის შესახებ ყოველთვის იცოდნენ და ამაყოფიერებდნენ კიდევ, თვით ბიზანტიელი ისტორიკოსი რუფინუსი (მე-4 საუკ.) წერს — ქართლის მოქცევა ტყვე ქალმა ნინომ შეძლო, მაგრამ მაშინ სომხებთან საეკლესიო განხეთქილებამდე, არავის მიუქცევია ამისათვის სპეციალური ყურადღება, რადგან აუცილებელ საჭიროებას არ მოითხოვდა, ჩვენ, სომხებთან ერთად საერთო განმანათლებელი გრიგოლი გვყავდა. მართებულად შენიშნავს მარიამ ლორთქიფანიძე, — რომ შესაძლოა ქრისტიანობის მქადაგებელი (იგულისხმება წმინდა ნინო) სხვაც იყო საქართველოში, მაგალითად ანდრია მოციქული და პოლიტიკური ვითარების შესაბამისად ხდებოდა შესაფერისი მოღვაწის ღვაწლის წინ წამოწევა. ასეთ პოლიტიკურ ვითარებასთანაა დაკავშირებული გარკვეულ დროს გრიგოლ განმანათლებლის წინ წამოწევა, ხოლო შემდეგ წმინდა ნინოს კულტის შექმნაც...

მაშასადამე, როგორც ზემოთნახსენები წერილობითი ძეგლებიც ადასტურებენ, საქართველოში უკვე მე-9 საუკუნიდან იწყება წმინდა ნინოს კულტის გავრცელება. და სწორედ ამ დროს, ასეთ სიტუაციაში, ასეთი პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით ქართულ ეკლესიის ტრადიციული ავტორიტეტისა და არგუმენტაციების გამყარებისათვის ხდება, ისევე როგორც წმინდა ნინოზე, უძველესი გადმოცემის, საქართველოში უფლის ხელთუქმნელი კვარტის ჩამოტანის და დასვენების ცოტა არ იყოს მივიწყებული სინამდვილის წინ წამოწევა, წერილობით წყაროებში აღწერა. მატთანებში შემონახულია თვით იმ ისტორიულ პირთა

ვინაობაც, რომელთა ინიციატივით და ზედამხედველობით მოხატულ, მოპირკეთებულ იქნა ადგილი, სადაც დაიკრძალა უფლის კვართი. ამით ქართული ეკლესია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ იგი სხვა ღირსებებთან ერთად მსოფლიო მნიშვნელობის რელიკვიის მფლობელია. ეს კი, როგორც ჩანს, იმდენად დამაჯერებლად ჟღერდა, რომ თვით ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილებისა და გაცხოველებული პოლემიკის ჟამს, „მოწინააღმდეგე მხარეს“ საცილოდ არ გაუხდია, ამასვე ადასტურებს სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზეცი, რომელიც სავსებით იზიარებს მცხეთაში უკერავი კვართის ჩამოტანის ამბავს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ შემდგომში შაჰაბაზის დროს იგი გატანილ იქნა საქართველოდანო...

მართლაც, მე-17 საუკუნეში, შაჰი თავისი ელჩის ურუსან-ბეგის (წარმოშობით ქართველი) ხელით, რუსეთის მეფეს მიხეილ თევდორესძეს, მეგობრობის ნიშნად მიართმევს უძვირფასეს კოლოფს, რომელშიც იდო კავრთის ნაწილები ლათინური წარწერით (!). ამ ამბავმა დიდი მიწერ-მოწერა გამოიწვია რუსეთისა და საქართველოს სასულიერო პირებს შორის, დაინტერესდნენ მეფენიც, ჩაერივნენ იერუსალიმისა და საბერძნეთის ეპისკოპოსები იონიკე და ნექტარიუსი. ეს უკანასკნელნი თავიანთ ეპისტოლეებში ადასტურებენ, რომ საქართველო ჭეშმარიტად კვართის ქვეყანაა, მაგრამ ახლა გატანილია იგი იქიდან თუ არა, ვერაფერს ვიტყვითო. საქართველოს მხარე თავის მხრივ მკაცრად მოითხოვდა შაჰისეული ნაყალბევი საჩუქრის უარყოფას. ჩვენს ხელთ არსებული მასალების არაერთგზისმა კრიტიკულმა შეჯერებამ უფრო მეტად დაგვარწმუნა უფლის კვართის ადგილის ხელუხლებლობაში, ვიდრე საპირისპირო დასაბუთებებში. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. მარის შეხედულებები, განსაკუთრებით ყურადსაღებია მეცნიერ ნატროევის რუ-

სულ ენაზე გამოქვეყნებული საკმაოდ სოლიდური ნაშრომი — „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტი ცხოველი“, რომლის არგუმენტებს უფლის კვართთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრებებითაც ვეხმაურებით. კერძოდ: ა) ისტორიულად ცნობილია, რომ „ცხოველმყოფელი სვეტი“, რომელიც ელიოზის დის საფლავზე იქნა აღმართული, აგრეთვე ის ქვიანი შემოღობილი, რომელიც ტაძარში მირიან მეფის ვაჟმა რევმა, ხოლო შემდეგ ვახტანგ გორგასალმა შემოავლო არ ყოფილა დანგრეული ან შერყვნილი. არც თამერლანის, არც შაჰ-თამაზის და არც შაჰ-აბაზის დროს. ბ) თურმე შაჰ-აბაზის მიერ რუსეთში გაგზავნილ კვართს ლათინური წარწერები და ნახატები უფლის ვნებების შესახებ ჰქონია. როგორც წმინდა სახარებიდან არის ცნობილი, უკერავ კვართზე არანაირი წარწერები და მითუმეტეს ნახატები არ ყოფილა. გ) მე-18 საუკუნეში დაბეჭდილ ვახტანგ მეფისეულ წიგნებს, ასევე ათანასე სამთავნელის მიერ რუსეთში 1763-69 წლებში დაბეჭდილსა და გამოცემულ წიგნებს პირველ გვერდზე დახატული აქვს ქართველ მეფეთა სამეფო გერბი, რომლის ცენტრში გამოსახულია უფლის კვართი ქვეშ მინერაილი ქართული ასომთავრული წარწერით. კვართი რომ საქართველოდან გაეტანათ ალბათ უხერხული იქნებოდა ქართველ მეფეებს სალოცავ გერბზე კვართი ასე აშკარად გამოესახათ. და მრავალი სხვა არგუმენტი...

მიუხედავად აღნიშნულისა, იმ დროის პოლიტიკურ სიტუაციიდან გამომდინარე, რაც რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, საჩუქარი მადლობით იქნა მიღებული და როგორც რელიკვია, შენახულ იქნა მიძინების ტაძარში, ნაწილი კი პეტრე-პავლეს ციხესა და ალექსადრე ნეველის ლავრაში. ზემოთ ჩვენ ვწერდით თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეკლესიის ავტორიტეტისათვის მსოფლიო მნიშვნელობის რელიკვიის არსებო-

ბას... და როდესაც 1811 წელს, რუსეთის მეფის ალექსანდრე მეორის ბრძანებით მოხდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმება, ამ პერიოდიდან დაწყებული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენამდე, რუსეთის მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს მხრიდან უფლის კვართის „დაკარგვას“ გაჩაღებულ პაექრობებში „ჩვენდა საზიანოდ“, „მყარ“ არგუმენტად იყენებდა...

ძალზე საინტერესოა სომხური და სირიული წერილობითი წყაროები უფლის კვართის შესახებ, რომელთა ღრმა ანალიზს არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა ნიკო მარმა. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ აღნიშნული წყაროები და შევუჯერეთ ერთმანეთს, ამავე დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს ხელთ არსებული ბევრი მასალა ჯერ კიდევ ხელუხლებელი და დასამუშავებელია. თუ ქართულ წერილობით წყაროებსა და ლეგენდებში გადმოცემულია ისტორია კვართისა მაცხოვრის სიკვდილით დასჯის შემდეგ, სირიულსა და სომხურ წყაროებში მოთხრობილია ისტორია, თუ რა გზით და როგორ მოაღწია ხელთუქმნელმა კვართმა მის მფლობელამდე.

სომხურში ლეგენდა კვართის შესახებ ცნობილია ორი, მოკლე და ვრცელი რედაქციით, ხოლო სირიულში ერთი რედაქციით, რომლის ავტორი XI-XII საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწე სოლომონ ეპისკოპოსია, წარმოშობით ხლათიდან. სიუჟეტი, როგორც სომხურში, ასევე სირიულში თითქმის საერთოა, იმ განსხვავებით, რომ სომხურ ვერსიებში დამატებულია რამდენიმე წერილი მეფე აბგარისა ქრისტესთან. კერძოდ, სომხურში 4 წერილია, სირიულში კი 1, რომელშიც ძირითადად საუბარია რელიგიურ საკითხებზე. სათაური სომხური ვრცელი რედაქციისა („ამჯერად მოკლეს არ ვიხილავთ, მითუმეტეს, რომ იგი ფრიად დეფექტური და ნაკლულია). ასეთია — „თხზულება იოანე ოქროპირისა უკერავ კვართზე ზეციდან

ჩამოტანილზე და ისტორია აბგარისა მეფისა სომეხთა" (იწყება ქრისტეს დაბადებით, მისი ეგვიპტეში, შემდეგ ნაზარეთში წასვლით, ურთიერთობა მონაფეებთან, მათი გაგზავნა სამოღვაწეოდ, შემდეგ ვრცლად გადმოცემულია აბგარ მეფის მიმონერა იესო ქრისტესთან. დეტალურად არის აღწერილი კვართის ისტორია ქრისტეს ჯვარცმამდე, კერძოდ: როგორ მიიღეს მწყემსებმა ზეციდან ანგელოზებისაგან უკერავი კვართი, როგორ იყიდეს ვაჭრებმა ის მწყემსებისაგან ვერცხლის საფასურად. სხვათა შორის, ეს ის 30 ვერცხლია, რომლითაც ახალ აღთქმაში მოისყიდიან იუდას. სწორედ ეს ვერცხლი ფიგურირებს ძველ აღთქმაში, მოსეს ხუთ წიგნში, აბრაამის მამის თარას მიერ მოპოვებული, შემდეგ ვაჭრებს მიაქვთ აღნიშნული კვართი აბგართან, რომელიც კვართს ქრისტესთან ატანს ვინმე ანანიას და თან აბარებს მისი ხატება ჩამომიტანეო. შემდეგ მოთხრობილია მაცხოვრის ჯვარცმა. თადეოზის მიერ ედესელთა მოქცევა, აბგარის განკურნება, მისი იერსულიმში ლაშქრობა და დასასრულ, დიალოგი გამოცხადებულ უფალთან) ასე სრულდება ეს საკმაოდ დიდი მოცულობის ლეგენდა.

საინტერესოა, რა ურთიერთმიმართებაში არიან სომხური და სირიული ტექსტები, რომელია მათში უფრო ადრინდელი. სირიული ვერსიის დამამუშავებელ-ჩამწერი ეპისკოპოსი სოლომონი რასაც თვით ამ ტექსტიდან ვგებულობთ, ცხოვრობდა მე-12-13 საუკუნეებში, ხოლო სომხურ ვარიანტს სათაურშივე აქვს აღნიშნული რომ იგი ეკუთვნის მე-4 საუკუნის მოღვაწეს, ეკლესიის მამას, ერთ დროს ანტიოქიის ეპისკოპოს იოანეს, შემდგომში ოქროპირად ცნობილს. ერთი შეხედვით, თითქოს ნათელი უნდა იყოს ორივე ვერსიის დაწერის თარიღი, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

სირიულ წერილობით ძეგლებში ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში ძირითადად უკვე

ჩამოყალიბებული იყო მეტი წილი ლეგენდებისა აბგარ მეფისა, და უფლის კვართის შესახებ, რასაც თავიანთ ნაშრომებში არაერთგზის ადასტურებენ მეცნიერები: ლიპსიუსი („Die Edessenische Abgar Sage“, 1889), ტიქსერონი („Les origines de l'église et la Lagende d'Abgar“), ჰარნაკი („Geschichte der Altchristlichen Litteratur“), საყოველთაოდ ცნობილი „ედესის აქტი“ („Acta Edessana“), ლაბუზნას, გუთშმიდტის, კრიუგერის ნაშრომებიც... დაუშვავთ იმას, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლილ სირიულ ტექსტებში, უნაკლოდ შეტანილია ყველა ის ლეგენდა, რაც სირიულ სამყაროში იყო ცნობილი კვართის, აბგარ მეფისა და მაცხოვრის შესახებ. ხოლო როდესაც აღნიშნულ ლეგენდებს შეძლებისდაგვარად შევუდარეთ სოლომონისეული ვერსია აბგარისა და კვართის შესახებ, აღმოჩნდა, რომ მიუხედავად მათი დანერის ძალზე დიდი დროითი სხვაობისა, სიუჟეტი თითქმის თანხვედრია და ფაქტობრივი მასალაც სოლომონის წიგნში დაუმახინჯებლად არის შემონახული. ე.ი. სოლომონ ეპისკოპოსი ჯერ კიდევ IV საუკუნეში შექმნილ ქრისტიანულ ლეგენდებს იცნობს, ეყრდნობა, არ უცვლის სახეს და არც მაინცდამაინც შემოქმედებითად ავრცობს, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ სოლომონის წიგნში დაცული ვერსიები, თუ პირვანდელი სახით არა, ძალზე ძველი წარმომავლობისაა.

რაც შეეხება სომხურ ვარიანტს, მართალია, ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ მისი დანერის ან გადმოთარგმნის დაახლოებითი თარიღი დავადგინოთ, მაგრამ ის, რომ იგი არ ეკუთვნის იოანე ოქროპირის კალამს, რომ აქ გადმოცემული ამბები არ არის პირვანდელი სახით ჩანერილი, როგორც ეს რედაქციაში რამდენჯერმე აღინიშნება, დავას არ ინვეს. თუ სოლომონის ლეგენდაში და იმ წყაროებში, რომელსაც იგი იყენებდა მოკლედ, რეალისტურად, ჭარბი მიკერძოების გარეშეა გადმოცემული აბგარ მეფის შესახებ, სომხურ რე-

დაქციაში საერთო ქრისტიანული სიუჟეტი ჩადგმულია ვიწრო ისტორიულ ჩარჩოში, ხოლო ედესელი მეფე, როგორც ნიკო მარი აღნიშნავს, სომხურ ლიტერატურაში ძალზე ადრე არის არმენიზირებული. როგორც ცნობილია, ედესაში ანუ ურჰაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნის პირველ ნახევრამდე მეფობდნენ ოსროენთა დინასტიის წარმომადგენელნი. და აბგარიც, რომელსაც სომხური ლეგენდის ავტორი სომეხთა მეფედ თვლის, როგორც მეფე მანუს კანონიერი ვაჟი, ამ დინასტიას განეკუთვნებოდა („Der König der an Christus geschrieben von ihm ein Antwortschreiben eharhalten haben... heiBt Abgaros Uchama..., König Abgar sohn der Königs Manu“ — ალფრედ გუთშმიდტი).

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც სომეხი, ასევე ევროპელი მეცნიერების მიერ, გარკვეული გამოწკნისების გარდა, არაერთხელ აღნიშნულა ოსროენ მეფეთა დინასტიის არასომხური წარმოშობის შესახებ. მაგ. სომეხი მკვლევარი ხალათიანცი თავის წიგნში — „სომეხი არშაკიდები მოსე ხორენაცის სომეხთა ისტორიაში“, აღნიშნავს, რომ საფუძვლს მოკლებულია იმ მეცნიერთა არასწორი შეხედულებები, რომლებიც აბგარს თვლიან არა არაბული დინასტიის მეფედო. ამდენად, უნდა ითქვას, რომ სომხურ ლეგენდის ავტორი ან განგებ ამახინჯებს ზოგიერთ ისტორიულ ფაქტს, კერძოდ აბგარ მეფის ეროვნული წარმომავლობის შესახებ, ან თვით უნებურად, სხვა რომელიმე, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობ წყაროებზე დაყრდნობით შედის შეცდომაში.

რაც შეეხება იოანე ოქროპირს, როგორც „ავტორს“ სომხური ვარიანტისა, ვფიქრობ ძნელად ასახსნელი ხდება დაენერა მას ისეთი თხზულება, რომელიც ძალზედ სცილდება ისტორიულ რეალურ ფაქტებს და ამავე დროს შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ სომხური სასულიერო წრეებისათვის

საკმაოდ ტენდენციურ ცნობებს. იოანეს ოქროპირი არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭისა და მჭევრმეტყველობის გამო შეარქვეს, რაც სრულიად არ იგრძნობა მისი სახელით ჩანერილი სომხური ლეგენდის მონოტონურ, მხატვრულად ხშირად გაუმართავი სიუჟეტის ტექსტში. ამავე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ ადრეულ და შუა საუკუნეების სომხურ ლიტერატურაში ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ესა თუ ის ნაწარმოები ეკლესიის ამ მეტად ავტორიტეტულ მამას, — იოანე ოქროპირს, მიეწერება და თუ ისევ ნიკო მარს დავესესხებით, არც ის არის გამორიცხული, რომ შესაძლებელია სომხური ლეგენდის ჭეშმარიტ ავტორს გაგონილი ჰქონდა როგორც ფაქტი, რომ იმპერატორისაგან დევნილი იოანე რამდენიმე თვე ამიერკავკასიაში, სხვადასხვა ადგილას და მათ შორის სომხეთშიც, სოფ. კუკუზში იმალებოდა. გამორიცხული არ არის, რომ მას ამ ავტორიტეტული პირის სომხეთში სტუმრობა თავისებურად გაეაზრებინა. ამავე დროს სომხურ ტექსტში ზოგიერთი საკუთარი სახელი პირდაპირ სირიული ფორმით არის გადმოტანილი. მაგალითად — მოციქული სვიმონის სახელი გვხვდება ასეთი ფორმით — შვამონ. და სხვა მრავალი. როგორც ჩანს, სომხური ლეგენდის უცნობ ავტორს მთლიანობაში კარგად სცოდნია სირიულ ტექსტებში დაცული ცნობები, ფაქტობრივი მასალა, რითაც უსარგებელია და შეძლებისდაგვარად შემოქმედებითად განუვრცია...

იმდენად დიდია უფლის კვართის მნიშვნელობა მსოფლიო რელიგიურ ცხოვრებაში, რომ მისი ისტორიის თავისებური ინტერპრეტაციით დამკვიდრებას ცდილობენ კათოლიკურ სამყაროშიც. 1891 და 1894 წლებში ევროპაში იბეჭდება მეცნიერ ვ. უილიამსის წიგნები. პირველი — „ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წმ. კვართი ტრევში“ („La Santa Robe de N-S Jesus-Christ a Treves“), მეორე — „ტრევის წმინდა კვართი და არჟანტოის რე-

ლიქვია" („La Santa Robe de Treves et la Relique d'Argenteuil").

ორივე წიგნში მოხმობილი მასალებიდან ავტორი ცდილობს დაადასტუროს უფლის კვართის მფლობელად ქალაქი ტრევი, უკვე IV საუკუნეში (!), რის გასამყარებლადაც მოიხმობს ცნობებს, რომლის მიხედვითაც, თითქოს დასტურდება, რომ კვართი ტრევეში IV საუკუნიდან იყო.

აღნიშნული მეცნიერის გამოკვლევა საკმაოდ კრიტიკულად აქვს შეფასებული ჩვენს სახელოვან მოღვაწეს მიხეილ თამარაშვილს („ქართული ეკლესიის ისტორია"), რომელიც დამაჯერებელი ფაქტების მონოდებით აბათილებს ევროპელი მეცნიერის მტკიცებას და არკვევს, რომ მის მიერ მოტანილი ცნობები შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ არაუადრეს XI საუკუნის და შემდგომი პერიოდით დათარიღდეს. ხელთუქმნელ კვართთან დაკავშირებით „ორიგინალური" მოსაზრებები აქვს გამოთქმული აბატი ჟაკმოსაც, რომლის ვერსიები უფრო „შორს" მიდის, ამტკიცებს რა, ორი კვართის, შიგნითა და გარეთას არსებობას (!). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიხეილ თამარაშვილი არ უარყოფს შესაძლებლობას ვიმეორებთ მხოლოდ შესაძლებლობას, და ისიც მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე, კვართის საქართველოდან გატანის შესახებ, ოღონდ არა რუსეთში, არამედ კათოლიკურ დასავლეთში. თუმცა იგი ამას განიხილავს არა მტკიცების, არამედ ზოგადი შესაძლებლობის მასშტაბში. ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხს რაიმე მყარი დამაჯერებელი არგუმენტების მოშველიებით ვერც საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერი მოგზაურებიც — პიეტრო დე ლავალე, დონ ქრისტეფორო დე კასტელი, ავიტაბილე, ჟან შარდენი, პავლე ალეპოელი, მაკარიოს ანტიოქელი, და სხვანიც, ვერ ფენენ ნათელს. ასე რომ, ჰიპოთეზა დამადასტურებელი ფაქტებისა და წყაროების უქონლობის გამო, მხოლოდ და მხოლოდ სურვილის დონეზე შეიძლება იქნას გა-

აზრებული. ანგარიშგასანეცია ისიც, რომ კათო-
ლიკური წრეები გასაგები მიზეზების გამო ბევ-
რად უფრო სარწმუნოდ მიიჩნევდნენ უფლის
კვართის კათოლიკურ ტაძარში არსებობას, ვიდ-
რე მტკიცებას უკერავი კვართის მართლმადიდებ-
ლური ტაძრიდან (სვეტიცხოველი) არგატანის შე-
სახებ. მაგრამ, რადგან მათ ხელმოსაკიდი ძლიერი
არგუმენტები არ გააჩნიათ, ვერაფრით აყენებენ
თუნდაც ეჭვქვეშ რეალობას. რეალობა კი ასეთია
— უკერავი კვართი დღესაც სვეტიცხოველშია
დასვენებული!

როგორც ვხედავთ, წყაროებს და გადმოცე-
მებს უფლის ხელთუქმნელი კვართის შესახებ
ქრისტიანული ეკლესიები თავისებურად იაზრე-
ბენ, ზოგან საჭიროების შემთხვევაში ეროვნულ
ელფერსაც კი აძლევენ, ამავე დროს აშკარად
ჩანს, მსოფლის საერთო ქრისტიანული სამყაროს
სურვილი და მცდელობა, აღადგინოს დასრულე-
ბული სიუჟეტის მქონე ისტორია ამ უდიდესი ზო-
გადსაკაცობრიო რელიკვიის შესახებ, მისი წარ-
მოშობიდან (სომხურ-სირიული წყაროებით კვარ-
თის წარმოშობა, მისი გზა ქრისტემდე) დღევან-
დელ ადგილმდებარეობამდე (ქართული წყაროე-
ბით ჯვარცმა, კვართის მცხეთაში ჩამოტანა დას-
ვენება, მისი სასწაულები, კვართის გზას გამოყო-
ლილი წმინდა ნინოს საქართველოში ჩამოსვლა და
სხვა). ერთი სიტყვით, მთლიანობაში ვღებულობთ
თანმიმდევრულად დალაგებულ, მძაფრ, ცოც-
ხლად და საკმაოდ საინტერესოდ აგებული სიუჟე-
ტის მქონე მოთხრობას.

ჩვენი ნაშრომის დასაწყისში მოხსენებული
რუსი ავტორი უფლის კვართის შესახებ დაწერილ
თავის მიმოხილვით სტატიაში ორჯერ გაკვრით
ახსენებს ქრისტიანული სამყაროს მეორე უმნიშ-
ვნელოვანეს რელიქვიას — ტურიინის მოსასხამს
(ტურიინის სუდარას), რომლითაც გადმოცემით
ჯვარცმული უფალი იქნა შემოსილი და იმ მეცნი-
ერულ ექსპერტიზებს, რომელიც აღნიშნულ მო-

სასხამს ჩაუტარდა. ალბათ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს თუ მოკლედ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შევეხებით ტურიზის მოსასხამის ისტორიას და მასზე ჩატარებული მეცნიერული ანალიზების სენსაციურ შედეგს, რომელიც სამართლიანად არის XX საუკუნის ერთ-ერთ საკვირველ აღმოჩენად მონათლული.

როგორც სახარებიდან არის ცნობილი, უფალი ჯვარცმის შემდეგ შემოსილი იქნა გრძელი მოსასხამით. გადმოცემებით და ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით სწორედ ეს მოსასხამი ინახება ტურიზის ტაძარში და ცნობილია როგორც „ტურიზის მოსასხამი“. იგი დაახლოებით ორი კაცის სიმაღლის მშვენიერი სელის უძველესი ნაჭერია, რომელზეც აღბეჭდილია მკრთალად ოქროსფერ-ყავისფერი გამოსახულება ადამიანის სხეულისა მთელს სიმაღლეზე. ერთი ანაბეჭდი აღბეჭდავს სხეულს წინიდან, მეორე უკნიდან. ორივე ანაბეჭდი ერთმანეთის იდენტურია და ემთხვევა ორივე მხრიდან. ქსოვილზე მეცნიერების მიერ შემჩნეულია ჭრილობებიდან გამოყოფილი სისხლის ლაქები და სხვა საბუთები იმისა (რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი), რომ ანაბეჭდები ეკუთვნის ადამიანს, რომელიც სასტიკად იქნა წამებული, შემდეგ კი ჯვარზე გაკრული. პირველ ქრისტიანთა გადმოცემით, სწორედ ამ მოსასხამით იყო ჯვარცმული იესო შემოსილი. ისტორიული მტკიცება გარდა სახარებისა აღნიშნულ მოსასხამთან დაკავშირებით, არაერთ წყაროებშია მოცემული (მაგ. წმინდა ეფრემ სირიელი, წმინდა ნინო და მრავალი სხვა). არსებობს რამდენიმე განსხვავებული ვერსია იმისა, თუ სად ინახებოდა V საუკუნემდე მოსასხამი. V საუკუნეში იგი ქრისტიანების მიერ მიტანილ იქნა კონსტანტინოპოლში, სადაც 436 წელს მის საპატივცემულოდ ააშენეს წმინდა ღვთისმშობლის ეკლესია, შემდეგ გადააქვთ იერუსალიმში. აბრუნებენ ხელმეორედ კონსტანტინოპოლში, სადაც ყოველ პარასკეობით,

მოსასხამს გამოასვენებდნენ ტაძრიდან. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ მოსასხამი გააქვთ ევროპაში, ხოლო 1578 წლიდან დღემდე იგი ინახება ტურინის ტაძარში. აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი დეტალიც, როგორც ვთქვით, მოსასხამზე აღბეჭდილია მამაკაცის სხეული მთელ სიმაღლეზე, რომელსაც ერთი ფეხი ოდნავ მოხრილი აქვს მუხლში. ზოგნი ვარაუდობენ, რომ მათრღმადიდებლურ ხატებზე გამოსახულ ჯვარცმის ქვედა მცირე ძელის დახრილობაც, შესაძლებელია ამის სიმბოლური გამოხატულებაც იყოს. სწორედ ამ ფაქტის არასწორ ინტერპრეტაციის გამო ბიზანტიაში წარმოიშვა ლოცვანი, სადაც ლაპარაკია ქრისტეს სიკოჭლეზე...

მიუხედავად იმისა, რომ ტურინის მოსასხამის ფოტოგრაფირება მკაცრად იყო აკრძალული, 1898 წლის 28 მაისს იტალიელმა არქეოლოგმა და მოყვარულმა ფოტოგრაფმა სეკონტო პიამ მაინც მოახერხა მოსასხამზე გამოსახული ფიგურის ფოტოგრაფირება. ფოტოგრაფირების შედეგი განსაცვიფრებელი იყო, გამოსამჟღავნებელი ხსნარიდან ფირფიტაზე, გაოგნებული ფოტომოყვარულის თვალწინ ნელ-ნელა გამოიკვეთა ღვთაებრივი სილამაზის მამაკაცის პორტრეტი, რომლის სახე არამინიერ კეთილშობილებას, ტანჯვასა და პატიებას გამოხატავდა. ფირფიტაზე გამომჟღავნებული გამოსახულება აღმოჩნდა არა ნეგატივი, როგორც ეს ფოტოგრაფირების წესებიდან იყო მოსალოდნელი, არამედ მზა პოზიტივი პორტრეტისა. გამოირკვა, რომ მოსასხამზე აღბეჭდილი მკრთალი ფერები სხეულისა და სახის მოყვანილობისა აღმოჩნდა მსოფლიოში პირველი ფოტოგრაფიული ნეგატივი, რომელიც 2 ათასი წლით ადრე იქნა გაკეთებული თვით ფოტოგრაფიის გამოგონებამდე. სწორედ ამ ნეგატივმა, ნეგატივ ფირზე აღბეჭდა პოზიტიური გამოსახულება... ყოველივე აღნიშნული იმდენად სენსაციური იყო, რომ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ გადაწყდა

მსოფლიოს ცნობილი ექსპერტების მონაწილეობით (შეერთებული შტატები, იაპონია, გერმანია, კანადა, იტალია და სხვ.) ნება დაერთოთ ჩაეტარებინათ ქსოვილის ყოველმხრივი, მათ შორის ქიმიური ანალიზი. იმ მრავალტომიანი სამეცნიერო დასკვნებიდან მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმეს.

დადგინდა, რომ ქსოვილი დამზადებულ იქნა ჩვენი წ. აღ-ის პირველ საუკუნეში. ქსოვილი გაჯერებულია ნივთიერებით, რომლის შემადგენლობა დღემდე უცნობია. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ ნივთიერების ძალით მოხდა სხეულის ანაბეჭდების გადატანა და დღემდე შენახვა მოსასხამზე. ქსოვილში სხეული ყოფილა არაუმეტეს 40 საათისა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ანაბეჭდები გაქრებოდა (უნდა ითქვას, რომ მეცნიერები ყოველ თავიანთ დასკვნის ანალოგს ეძიებდნენ სახარებაში და ნახულობდნენ კიდეც). ძალზედ საინტერესოა სასამართლო ექსპერტებისა და ქირურგების დასკვნები. კერძოდ, მოსასხამში აღბეჭდილი ადამიანი სასტიკად იყო ნაცემი სხვადასხვა სიმაღლის ორი ჯალათის მიერ, რომლებიც წამებულისაგან მარცხნივ და მარჯვნივ იდგნენ. მას შუბლზე ძალით ჩამოცმული ჰქონდა ეკლის გვირგვინი, რომლის წვეტიან ქაცვებს დაუზიანებიათ ვენები, არტერიები და თავის ქალის ძვლები. ცხვირი გადატეხილი ჰქონია სქელი ჯოხის დარტყმით, მხარი გვემული და დაბეუილი ჰქონია მძიმე ძელის ხანგრძლივი თრევის გამო, რომლის დროსაც იგი არაერთხელ დაცემულა, რაზეც მეტყველებს დაბეუილობანი მუხლებზე და სხეულის სხვადასხვა ნაწილზე ძელის ხეთქებისაგან მიყენებული დაზიანებები... ლურსმნებისაგან მიყენებული ჭრილობები ხელებსა და ფეხის ტერფებზე მეტყველებს იმაზე, რომ იგი ჯვარცმული იქნა, იგი იღვრებოდა დიდი რაოდენობით სიმწრის ოფლში და ბოლოს გარდაიცვალა გაგუდვით, რითაც ძირითადად ილუპებიან ჯვარზე გაკრულნი. მისი გული განგმირული იყო შუბით, ხოლო მკერდიდან

გამონადენ სისხლსა და წყლის მაგვარ სითხეს მოსასხამი ვარდისფრად შეუღებავს.

მოსასხამს თითქოს თაობათა სამახსოვროდ აღუბეჭდავს წამების, ტანჯვისა და სიკვდილის საშინელი დეტალური სურათი, რომელიც თვით უმცირეს ნიუანსებამდედაც კი ემთხვევა სახარებაში აღწერილი ჩვენი უფლის ჯვარცმას. ექსპერტიზამ აგრეთვე დაადგინა ის იარაღები (ოთხკუთხა ლურსმნები, შვიდპირიანი სპილენძისბოლოებიანი რომაული მათრახი), რომელსაც ჯვარცმის დროს იყენებდნენ. განსაზღვრეს თვით იმ ქაცვიანი მცენარის სახეობა, რომლიდანაც დაიწნა ეკლიანი გვირგვინი...

ტურინის მოსასხამის საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერული ექსპერტიზის უტყუარობაში ჩვენ ვერანაირ კატეგორიულობას ვერ დავიჩემებთ. დავსძენთ მხოლოდ იმას, რომ უფლის ხელთუქმნელი კვართის ქართული, სომხური, სირიული თუ ევროპული წყაროების ჩვენს მიერ შეჯერება-კვლევაძიების და ამავე წყაროების ურთიერთმიმართებისა და ერთმანეთთან დამოკიდებულებაში მიღებული შედეგებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში (ვგულისხმობთ ტურინის მოსასხამს) გადმოვეცით ის მიმოხილვითი მასალა, რომლებზეც მიგვიწვდა ხელი საზღვარგარეთ გამოცემული ნაშრომების გაცნობისას.

ივანე ჯავახიშვილი — სომხეთის ისტორიისა და კულტურის მკვლევარი

ქართული მეცნიერების მესაძირკვლეს ივანე ჯავახიშვილს მეტად დიდი წვლილი აქვს შეტანილი სომხეთის ისტორიისა და კულტურის კვლევის საქმეში. ღრმა ერუდიციისა და ფართო გაქანების მეცნიერი ჭირისუფლის თანაგრძნობითა და სიცხადით იაზრებდა მეზობელი მოძმე ერის მძიმე ისტორიას და ცდილობდა მზის სინათლეზე გამოეტანა ჩვენსავით მრავალტანჯული სომხეთის ისტორიის ბუნდოვანი და ნაკლებადშესწავლილი პრობლემები.

ივანე ჯავახიშვილის არმენოლოგიური ძიებების შესახებ თავის დროზე საინტერესო გამოკვლევა დაწერა პროფესორმა ლეონ მელიქსეთბეგმა („ივანე ჯავახიშვილი და არმენოლოგია“, ისტორიის ინსტიტუტის შრომები. 1958 წ. №3), რომელმაც გამოავლინა ივანე ჯავახიშვილის დიდი წვლილი არმენოლოგიის დარგში, ხოლო ბატონმა გურამ მაისურაძემ მართებულად შენიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილმა „სომხეთის ისტორიის ქომაგის საპატიო მოვალეობა იტვირთა და ევროპის ისტორიკოსთა ხელყოფისაგან დაიცვა მეზობელი ხალხის კულტურული მონაპოვარი“ (საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის,

* ნაკითხულია მოხსენებად ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე, 1996 წლის 16 მაისს.

ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1976 წ. №2). ჩვენც სწორედ ამ ასპექტებზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება და ხაზგასმით გამოვკვეთოთ თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა მეცნიერმა სომხური კულტურის კვლევის სფეროში.

ივანე ჯავახიშვილს შინაგანად სწამდა, რომ ქართველოლოგიის საკითხების სიღრმისეული შესწავლა შეუძლებელია, თუ სათანადოდ არ გავითვალისწინებთ მეზობელი ქვეყნებისა და მათ შორის სომხეთის ისტორიის მონაცემებს. ამიტომ იგი დაბეჯითებით მოძღვრავდა თავის კოლეგებს: „ყოველ განათლებულ ქართველს ჰმარტებს თავისი მეზობელი მოძმე ერის, სომხეთის მრავალტანჯული, მაგრამ მეტად საინტერესო თავგადასავალი იცოდესო“.

ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დარწმუნდა, რომ საქართველოს ისტორიის ყოველმხრივი და ღრმა შესწავლისათვის აუცილებელი იყო სომხური მატრიანეებისა და საბუთების გათვალისწინება. თვით ბატონი ივანე აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტში დატოვებიდან მოყოლებული ქართული და სომხური ისტორიის შესწავლას პარალელურად მივსდევდი და ვანარმოებდიო. იგი ქართულ-სომხური ფილოლოგიის შექმნის აქტიური მონაწილე ხდება. ივანე ჯავახიშვილის სიყრმის მეგობარი ივანე ნიჟარაძე იგონებს, რომ სომეხ სტუდენტებს, შემდეგში დიდ მეცნიერებს ნ. ადონცსა და ს. ავეტისიანს ძალიან მოსწონდათ ივანე ჯავახიშვილის სომხური საუბრებიო. ხოლო იოსებ ორბელი იგონებდა, რომ ივანე ჯავახიშვილის ლექციები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა სანკტ-პეტერბურგის სომეხ სტუდენტებზეო. მისი ლექციები ყოველთვის აღსავსე იყო კულტურის ისტორიის ყველა საკითხი-

სადმი ღრმა ინტერესით. იმავე იოსებ ორბელის სიტყვებით, ივანე ჯავახიშვილს სრულიად საოცარი თვისება ჰქონდა. ეს იყო ფრიად გამჭრიახი, ძალზე ფრთხილი თავის დასკვნებში, ძალზე დაკვირვებული, ძველი ქართულისა და ძველი სომხურის, სირიულის და ბერძნულის ბრწყინვალე მცოდნეო.

სხვა საგნებთან ერთად ივანე ჯავახიშვილმა შეისწავლა სომხური აგიოგრაფია და საერთოდ ძველი სომხური ლიტერატურა; მას გარკვეული აქვს ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები და, რაც მთავარია, ქართულ ტექსტებზე დაყრდნობით სომხურ ძეგლებში შეაქვს კორექტივები და დაზუსტებები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ივანე ჯავახიშვილს სომხეთის ისტორიისა და მწერლობის შესახებ მიმოხილვითი ხასიათის გამოკვლევები კი არა აქვს, იგი მხოლოდ იმას კი არ ისახავს მიზნად, რომ ქართველებს გააცნოს სომხების ისტორია და ლიტერატურა, არამედ ეწევა მაღალი მეცნიერულ-პროფესიული დონის კვლევა-ძიებას და, რაც ხაზგასასმელია, ქართული მასალების დახმარებით (თარგმანები, რედაქციები) ცდილობს არმენოლოგიური საკითხების შესწავლას.

მართებულად შენიშნავს პროფესორი სერგო ჯორბენაძე: „როცა ივანე ჯავახიშვილის როლზე ვლაპარაკობთ არმენისტიკაში, შეცდომაა, იგი მხოლოდ იმ ნაშრომებით შემოვზღუდოთ, რომელშიც მხოლოდ სომხეთის კულტურისა და ისტორიის საკითხებია განხილული. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: ძნელია ივანე ჯავახიშვილის რომელიმე მთავარი ნაშრომი დაასახელო, რომ მასში არ იყოს გამოყენებული მონაცემები სომხური კულტურისა და საისტორიო მწერლობის შესახებ“.

ივანე ჯავახიშვილი არა მარტო აცნობდა ქართველ საზოგადოებას სომხეთის ისტორიას, არა მარტო გვაზიარებდა სომხურ კულტურას, არამედ სომხურ პირველწყაროებსა და საარქივო თუ არქეოლოგიური მასალების გამოწვლილვით თვით სომხეთის ისტორიას იკვლევდა. ნათელს ჰფენდა სომეხ მეცნიერთათვის გაურკვეველსა თუ ბუნდოვან საკითხებს და სრულიად ბუნებრივია, რომ მისმა დასკვნებმა და დაკვირვებებმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა არმენისტიკაში. ამ ფაქტს მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ თანამედროვე ავტორიტეტული სპეციალისტები, კერძოდ, ისინი დაბეჯითებით ამკვიდრებენ აზრს, რომ ივანე ჯავახიშვილის მთელმა რიგმა დასკვნებმა სომხური ისტორიოგრაფიის განვითარების შესახებ გაუძლო დროთა გამოცდას და დღესაც შეინარჩუნა თავისი ღრმა მეცნიერული ღირებულება და დამაჯერებლობა.

ივანე ჯავახიშვილი გლობალურად იაზრებდა საკვლევ პრობლემებს. ინტერესთა ფართო თვალსაწიერი და მასშტაბურობა საშუალებას აძლევდა ერთ მთლიანობაში აღექვა ქრისტიანული ცივილიზაცია, რომლის გააზრებაში მდიდარ მასალას პოულობდა ქართულ-სომხური მწერლობის ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ქართველი მეცნიერისაგან არმენოლოგიაში ესოდენ დიდი წვლილის შეტანა განპირობებულია არა მარტო მისი ფენომენალური ერუდიციით, ნიჭიერებითა და მეცნიერული ძიების დიდი უნარით, არამედ სომეხი ხალხისადმი დიდი სიყვარულითა და თანადგომის იმ შინაგანი განწყობით, რომლითაც გამსჭვალული იყო მთელი მისი ბუნება.

როგორც აღვნიშნე, ივანე ჯავახიშვილის არმენოლოგიურ ძიებებში გამოვლენილი მე-

თოდის ერთ-ერთი ნიშანდობლივი მხარე ის იყო, რომ იგი არმენოლოგიურ პრობლემებს იძიებდა არა მარტო სომხური წყაროების გამოწვლილვითი შესწავლით, არამედ ამ ძიებაში ქართული მასალების მონაცემებსაც ითვალისწინებდა. ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს, რომელთაგან ზოგიერთს შეგახსენებთ. მაგალითად, სომხური ძეგლის „გრიგოლ-მანაგიჰრის“ დათარიღების მყარი საფუძველი აღმოჩნდა ქართული აგიოგრაფიული ძეგლის „ევესტათი მცხეთელის წამების“ ქრონოლოგიური მონაცემები. ივანე ჯავახიშვილი ახალი მასალების მოპოვებისა და მკაცრი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ხშირად აზუსტებს და არკვევს ზოგიერთი არმენოლოგის მცდარ და მიუღებელ დაკვირვებებს. მაგალითად, გალუსტ ტერ-მკრტიჩიანმა მთელი რიგი უზუსტობანი დაუშვა სომხური ტექსტების ანალიზისას, რაც გამოასწორა ივანე ჯავახიშვილმა და სარწმუნო გახადა ფაქტი, რომ გრიგოლ მანაგიჰრისა და ფირან გუშნასპის მარტვილობები არამცთუ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან, არამედ მათ საერთოც კი არაფერი აქვთ. ასევე მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომ ივანე ჯავახიშვილმა დაადგინა სომხური ძეგლის „დავითისა და ტირიჭანის წამების“ თარიღი და მანვე გამოიკვლია ამ ძეგლის შექმნის თარიღი.

ივანე ჯავახიშვილმა არმენოლოგია იმითაც გაამდიდრა, რომ მან შეისწავლა ნესტორიანობის გაჩენა სომხეთში, გაარკვია სომეხთათვის ამ არაეროვნული სექტის აღორძინების და განადგურების მიზეზები; მანვე გამოიკვლია, რომ გრიგოლ მანაგიჰრს სომეხები წმინდანად არ აღიარებდნენ. „იზიდ-ბოზიდის“ სომხური ტექსტი დამახინჯებულია, მაგრამ ივანე ჯავახიშვილი ქართულად თარგმნილი

რედაქციის წყალობით ასწორებს და ათარი-
ლებს ამ ძეგლის რეალიებს.

ცნობილია, თუ როგორ დაინტერესებას
იჩენდნენ არმენოლოგები უხტანესის ეპისტო-
ლების მიმართ, მაგრამ კვლევის არასათანა-
დო დონის გამო მრავალი საკითხი მცდარად ან
ბუნდოვნად იყო წარმოჩენილი. ივანე ჯავახიშ-
ვილი ერთადერთი მეცნიერია, რომელმაც სომ-
ხური ტექსტი პირველმა შეისწავლა კრიტიკუ-
ლად, რის გამოც პროფესორი ზაზა ალექსიძე
მართებულად ასკვნის: „ივანე ჯავახიშვილმა
უაღრესად ზუსტად შეაფასა „ეპისტოლეთა
ნიგნი“, როგორც ტენდენციურად შედგენილი
კრებული“.

ასევე დიდი წვლილი აქვს შეტანილი ივანე
ჯავახიშვილს ქართული და სომხური ეკლესიე-
ბის ისტორიის საკვანძო საკითხების გარკვე-
ვაში. მისეულმა დაკვირვებებმა საერთაშორი-
სო აღიარება დაიმსახურა.

ივანე ჯავახიშვილის კვლევის საგანგებო
სფერო იყო მესროპ მაშტოცისა და ქართული
ანბანის იტორიის საკითხები. ამ საკითხთა
კვლევასთან დაკავშირებით ორი ასპექტია სა-
ყურადღებო: ერთის მხრივ, ივანე ჯავახიშვილ-
მა ნათელჰყო მაშტოცის ტექსტის ადრეულ
მკვლევართა მიერ დაშვებული შეცდომები და
მეორეს მხრივ, ჩამოაყალიბა საკუთარი თეო-
რია ქართული ანბანის წარმოშობისა, რომლის
მიხედვით სარწმუნო გახდა, რომ ქართული ან-
ბანი ჯერ კიდევ წარმართულ ეპოქაშია შექმნი-
ლი. იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორ-
ბოს აღმოჩენამ კიდევ უფრო სარწმუნო გახა-
და ივანე ჯავახიშვილისეული პოზიციები.

ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ივანე
ჯავახიშვილმა სომხური განმანათლებლობის
საკითხის გარკვევისა და სომხური დამწერლო-
ბის შესწავლის რთულ პრობლემატიკაში. ხოლო

გრიგოლ პართელის ქართული ტექსტის დეტალურმა ანალიზმა და ამ ტექსტის აგებულების გამოკვეთამ ბევრი სიახლე წარმოაჩინა. კერძოდ, აშკარა გახდა, რომ ქართული ტექსტი უფრო ძველია, დედანთან სიახლოვეს ამჟღავნებს და გრიგოლის „ცხოვრების“ ბერძნულ-სომხურ-არაბულ ტექსტებთან მიმართებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.

იშვიათად ნახავთ ივანე ჯავახიშვილის როგორც ქართველოლოგიურ, ისე არმენოლოგიურ გამოკვლევას, რომელშიც იგი არ ეხებოდეს სომხეთის კულტურის საკითხებს, არ იყენებდეს სომხურ წყაროებს და არ იკვლევდეს სომხეთის ისტორიის ამა თუ იმ საკითხს, ყველა ამ დაკვირვებათა დიდი მეცნიერული ღირებულება უდავო გახლავთ, მაგრამ ისინი მაინც რომელიღაც კერძო საკითხთან დაკავშირებული ძიებებია, მაგრამ მისი კაპიტალური სახის მონოგრაფია — „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ ეს ის განძთა განძია, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ერუდიციით, სიღრმისეული ძიებათა და სომხეთის ისტორიისადმი დიდი სიყვარულით შექმნილი ფუნდამენტური გამოკვლევაა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის სომხეთის ისტორიის ვერცერთი მკვლევარი. იგი სამაგიდო წიგნია არმენოლოგიაში და სავსებით მართებულად წერს ბატონი ზაზა ალექსიძე, რომ ამ წიგნში „მისაბადი გამოწვლილვით და ობიექტურობითაა განხილული ძველი სომხური წყაროები“.

სომეხი ხალხისადმი გულწრფელმა და საქმიანმა სიყვარულმა განაპირობა ის ფაქტი, რომ მან, როგორც შენიშნავს სერგო ჯორბენაძე, ჩამოაყალიბა კურსები სომხეთის ისტორიიდან: 1. საზოგადოებრივი წყობილება V საუკუნის სომხეთში; 2. ქართულ-სომხური ისტორიულ-იურიდიული ძეგლები; 3. ანისის სამოქა-

ლაქო ორგანიზაცია წარწერების მიხედვით; 4. საქართველოს და სომხეთის სამოქალაქო ისტორია.

ივანე ჯავახიშვილს იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა არმენისტიკაში, რომ მას სთხოვდნენ ყოფილიყო სომეხ მეცნიერთა სადოქტორო და სამაგისტრო დისერტაციების ოპონენტი. მან აკურთხა და მეცნიერებაში გზა დაულოცა ისეთ სახელოვან სომეხ სწავლულებს, როგორებიც იყვნენ: ბ. ტერმოვსესიანი, გ. ხალათიანცი, ნ. ადონცი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ა. ლარიბიანი.

ივანე ჯავახიშვილის არმენოლოგიურ გამოკვლევებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ სომეხი და უცხოელი ისტორიკოსები. მისი ფუნდამენტური გამოკვლევის „Государственный строй древней Грузии и древней Армении“-ის შესახებ აღტაცებითი რეცენზიები დაწერა აკადემიკოსმა ნიკო მარმა, ხოლო მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ელიშე მურადიანმა ეჩმიანინის ჟურნალ „არარატის“ სამ ნომერში დაბეჭდა ვრცელი რეცენზია, რომელშიც ასკნის: ბატონი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი ახალი, ძვირფასი წვლილია ჩვენი ისტორიისა და საერთოდ წარსულის შესწავლის საქმეშიო“.

სწორედ სომეხი ხალხისადმი თანადგომამ და მაღალმა მოქალაქეობრივმა და მეცნიერულმა პრინციპებმა განაპირობა, რომ თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე შექმნა არმენოლოგიური კათედრა: ძველ სომხურ ენას აკადემიკოსი აკაკი შანიძე კითხულობდა, ხოლო სომხურ საისტორიო მწერლობას — აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილი რომ მუდამ განსაკუთრებული სითბოთი და ზრუნვით იყო გამსჭვალული სომეხი ხალხისა და მათი კულტურისადმი, ამის კიდევ ერთ ნათელ დამადასტურე-

ბელ ფაქტს გავიხსენებ. როდესაც ერევანში უნივერსიტეტი გაიხსნა და დადგა საკითხი იქ გადაეტანათ თბილისში დაცული სომხური ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური საზოგადოების ძვირფასი მასალები (გადატანის წინააღმდეგი ბევრი იყო), ივანე ჯავახიშვილმა მისთვის ჩვეული მოქალაქეობრივი და ეროვნული პრინციპებით განაცხადა — ყველას აქვს უფლება მიიღოს თავისი ეროვნული კულტურის ფასეულობანი, თუნდაც იგი სხვის ქვეყანაში იყოს თავმოყრილი და სწორედ მისი წყალობით ეს ძვირფასი კოლექციები დღეს ერევნის სამუზეუმო ფონდების მშვენებაა.

ივანე ჯავახიშვილის მიერ საფუძველჩაყრილი ტრადიციის ძალით დღევანდელი ქართველი არმენოლოგებიც ბატონ ივანესული სიყვარულით, თანაგრძნობითა და ინტერესით სწავლობენ და იკვლევენ სომხეთის ისტორიას, მის კულტურას. ამის დადასტურებაა დღევანდელი თავყრილობაც, როდესაც ქართველი და სომეხი სწავლულები მოკრძალებით, მადლიერების გრძნობითა და სიამაყით აღვნიშნავთ ჩვენი დიდი თანამემამულის ნათელი ხსოვნის საამაყო დღეს.

პემლიცისცია

ავტორის მრავალი პოლიტიკურ-პუბლიცისტური სტატიიდან თუ ინტერვიუდან ამ კრებულისათვის შეირჩა მხოლოდ ის ორიოდ ნიმუში, რაც უშუალოდ აგრძელებს თუ ეხმაურება მის სამეცნიერო ძიებათა თემატიკას.

ეს ორი განყოფილება წიგნისა ავსებს ერთმანეთს.

საერთოდ კი, ამ ორიოდ ნიმუშშიც მკაფიოდ ამოიკითხება ის პრინციპები, ის ეროვნული პროგრამა, რითაც ხელმძღვანელობდა ავტორი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისას.

„უფოთი ილტვის ბრძენთაგან“

მერჩულეს ეს მართლაც ბრძნული შეგონება მარადიული ჭეშმარიტებისა და სახელმძღვანელო პრინციპის გამოვლენაა. ეს, ერთის მხრივ, გულისხმობს დიდი და არსებითი საკითხების დინჯად, განონასწორებითა და შორს განჭვრეტით გადანყვეტას და, მეორეს მხრივ — გამორიცხავს გაქსუებული, თვითკმაყოფილებითა და თვითდაჯერებით მცხოვრები ფილისტერის ოცნებას, რომელიც თავისი კეთილმდგომარეობის გაფეტიშების გამო შიშობს აზრთა სხვადასხვაობის, დაპირისპირებისა და საშური სიახლეების წინაშე დგომას. ასეთ უბადრუკ ობივატელს ეშინია ყოველი ნათელი და ჯანსაღი აზრისა, რამეთუ არ დაკარგოს საეჭვო და ბევრჯერ სამარცხვინო გზით მიღწეული უზრუნველი ყოფა. ამ უკანასკნელთა კატეგორიაზე მსჯელობა უკვე არასერიოზულიცაა და დროა, ასეთი ფსიქიკის მქონე პიროვნებათაგან, სოციალურად და ეროვნულად დეგრადირებულთაგან გავთავისუფლდეთ და მაღალი კვალიფიკაციისა და ასევე მაღალი ზნეობრივ-მოქალაქეობრივი პრინციპების პიროვნებებს მივანდოთ ქვეყნის, თანამემამულეების ბედი. ამ დიდ ძვრაში იმასაც უნდა დავუკვირდეთ, რომ სიახლეების ძიებისა და მოპოვების უამს არ ამოტივტივდნენ ისეთი „განმაახლებელნი“, რომელნიც ხელმოცარულობის, უწიგნურობის და უშრომლობის შენიღბვით წამოჭრიან ჰუმანურ, ყველასათვის აშკარად მისაღებ ღოზუნგებს და ამ ღოზუნგებს ამოფარებულნი, ძალაუფლების ხელში ჩაგდებათ ისეთივე საშიშროებას შეუქმნიან საზოგადოებას, როგორის მომსწრეც ჩვენი ტანჯული ხალხი არაერთგზის გამხდარა ოციან და ოცდაათიან წლებში.

დღეს მთავარია არა ის, ვინ რას ამბობს, არამედ ის, ვინ რას აკეთებს და რისი გაკეთება შეუძლიათ, საქმის მაღალ დონეზე გაკეთება კი მაღალპროფესიონალებსა და მაღალი ზნეობის (შინაგანი და არა სიტყვიერი) ხალხს შეუძლია. ამის დადასტურებაა თუნდაც დღევანდელი დღე, როდესაც ყველაზე მძაფრ სიტუაციაში ბატონმა თამაზ გამყრელიძემ, რევაზ თაბუკაშვილმა, რეზო ჩხეიძემ და მათი რანგის მამულიშვილებმა გადადგეს ის კარდინალური ნაბიჯი, რასაც სხვა ვერავინ შეძლებდა, სხვას არც ავტორიტეტი ეყოფოდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად.

დიახ, განსწავლულობა და პროფესიონალიზმია ერთ-ერთი ძირითადი პირობა ერის წაძლოლისა. მეორე, არანაკლებ არსებითი ერთიანობა, „ერთ-სულ“, „ერთ-ხორცად“ სიცოცხლე. დასამალი არაა, რომ გარდაქმნის დიდი სიახლე ზოგჯერ ვლინდება როგორც შურისძიებისა და ნგრევის პრინციპი, მაშინ როდესაც ჩვენთვის სასიცოცხლოა შენებისა და თანადგომის პრინციპი; როდესაც მთლიანი საქართველოს იდეას ვიზიარებთ, უნდა გავაფართოოთ ეს ცნება, მასში უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული მთლიანობა, არამედ ამავე დროს სოციალური, ასაკობრივი ერთიანობა. გაერთიანებას თავისი ჯანსაღი პრინციპი უნდა ჰქონდეს. მე არ მწამს პარტიული და უპარტიო, ახალგაზრდა და ძველგაზრდა, მე სხვა პრინციპი მწამს: წიგნიერი და უვინი, ბეჯითი და ზარმაცი, მაღალი მოქალაქეობრივ-ეროვნული ზნეობით მცხოვრები და ამორალური, ყოველგვარი საზოგადოებრივისაგან გამოფიტული, გაცხოველების მიჯნასთან მისული ეგოისტ-კარიერისტი ფილისტერი. დიახ, ზნეობა და საქმე უნდა გვაერთიანებდეს და არა სიტყვიერი პოზა. ჯერ კიდევ ადრეული საუკუნიდან გვიანდერძა ბრძენმა წინაპარმა, რომ ქართველი „შეუცვალებლად საქმით ჰყოფდეს და არა სიტყვით ვაჭრობდეს“ და არ უნ-

და ვემსგავსოთ მათ, რომელნიც არიან „სიტყვით ძლიერნი, მოქმედებით მცირენი“. დღეს კი ყველაზე უფრო „საქმით სიძლიერე“ გვჭირდება. საქმის სიძლიერე დიდ ცოდნას, სიბეჯითეს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და მაღალ მორალურ-მოქალაქეობრივ პრინციპებთან ერთად „ერთ სულ და ერთ ხორც“ არსებობას მოითხოვს, რაც უდავოდ ითვისებისწინებს ერთიანი საქართველოს იდეის დამკვიდრებას, და სწორედ ისეთი ერთიანობისა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის თავკაცმა ფარნავაზ მეფემ მთლიანი საქართველოს იდეის საფუძვლად სავსებით მართებულად ენის ფენომენი გაიაზრა და მემატრიანეც ალტაცებით აღნიშნავს: „არა იზრახებოდა ქართლსა შინა სხვა ენა თვინიერ ქართულისაო“. დიახ, ერის ხერხემალი სწორედ ენაა და ამაზე იმიტომ აქვს აქცენტირებული ყურადღება. იმავე მემატრიანეს მთლიანი საქართველოს რეალურ გამოხატულებად მიაჩნია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემჭიდროება და ამიტომაც ფარნავაზისა და ქუჯის თანამოღვაწეობაში ხედავს ერთიანი საქართველოს სიმბოლურ გამოხატულებას. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ქართულ მწერლობას გამჭოლავად გასდევს სწორედ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთ მთლიანობად გააზრება და ამიტომ შემთხვევით არაა, რომ საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი მებაირაღე ნერსე ერისთავი ქართლის და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ერთიანობის აქცენტირებას ახდენს გამუდმებით. სწორედ საქართველოს ორი უკიდურესი კუთხის ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის ერთიანობის იდეის დამამკვიდრებელია გიორგი მერჩულე, რომელიც მთლიანი საქართველოს გამოვლენად მიიჩნევს იმ უცილობელ ფაქტორს, რომ „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი

აღესრულების“, ეს ფარნავაზის მემატიანის მიერ წამოჭრილი პრობლემა — ენა ერის გამამთლიანებელ-გამაერთიანებელი ფაქტორი, სხვა ასპექტითაც აქვს გაძლიერებული მერჩულეს, კერძოდ აფხაზეთსა და ტაო-კლარჯეთში აგზნებული ერთიანობის ცეცხლი სწორედ ჩვენი ქვეყნის მთლიანობის კიდევ ერთი სიმბოლური გამოხატულებაა.

უაღრესად საყურადღებოა, რომ ჩვენი ერის დიდი წინაპრები ერის სიძლიერეს სწორედ ერთიანობაში ხედავდნენ და გამუდმებით ამახვილებენ ამაზე ყურადღებას. განსაკუთრებით საგულისხმო კიდევ ის არის, რომ ეთნიკურ-გეოგრაფიულ კონსოლიდაციას უშუალო პიროვნულ, ადამიანურ ურთიერთობათა სიმჭიდროვეში იზიარებდნენ. დაბეჯითებით ოდითგანვე გვმოძღვრავენ შინაგათიშულობისა და ერთმანეთთან დაპირისპირების საშიშროების გამო. ყველა ერისთვის, და განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ერისთვის, მომავლდინებელია ადამიანთა ურთიერთსიძულვილი და ურთიერთგანირვა, სწორედ ამან მიგვიყვანა ჩვენ კატასტროფამდე და სწორედ ამ სენისგან განკურნება უაღრესად საშურია და საფიქრალი. ეს აქტიურად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ყველა ქართველს, რადგანაც ჯერ კიდევ გორგასალის მემატიანემ შეგვნიშნა „ურთიერთა კვლითა შემცირდა ქართველი ერი“-ო. აი ჩვენი სასიცოცხლო ენერგიის გამომფიტავი სენი, სენი, რომლისგან განკურნებაა ერთადერთი წინაპირობა წელმაგრობისა და განმტკიცებისა. დროა საბოლოოდ ჩავინერგოთ სულსა და გულში, რომ შენი სისხლხორცი რამდენადაც არ უნდა ეთანხმებოდე, იგი უპირველესად შენი თანამემამულეა და ურთიერთთანადგომაა საჭირო, რათა გათიშულობამ სხვის ნისქვილზე არ დაასხას წყალი, ავადმზვერავმა სხვა ტომმა არ წაგვკიდოს ერთურთს და, როგორც ბრძენი გურამიშვილი გვაფრთხილებდა, „რა ორივე დაღალული ძაღლმა გვნახოს, პირი გვკიდოს“.

ურთიერთგამთიშველი და დამაძაბუნებელი ეს თვისება, თითქმის ქართული ხასიათის ნიშანდობლივ რანგში აჰყავს ჟამთააღმწერელს და ორი მოქიშპე ქართული ბანაკის შემყურე მონღოლს ათქმევინებს: „თქვენ ქართუელნი არას კეთილს უყოფთ მხნედ მებრძოლთა წყობათა შინა“. მომაკვდინებელი მხილებაა, რომ ჩვენ, ქართველნი ვერ ვიგუებთ ჩვენს შორის გამორჩეულსა და იმდენად ვუპირისპირდებით ერთურთს, რომ ურთიერთკვლით გზას ვუკაფავთ მომხდურთ. და ამის გამო არ გოდებს გურამიშვილიდან მოყოლებული ილიათი დამთავრებული ყველა ბრძენი მამულიშვილი და განა ამ სენისგან განკურნებისკენ არ იღვნიან ისინი. სწორედ ეს ანუხებს და აფიქრებს უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, რომელიც გამაფრთხილებლად და შორს განჭვრეტილად გვაფრთხილებს „შური და გაუტანლობა გვთიშავდაო“. დიახ, ამ გათიშულობამ დაგვაძაბუნა და განა დრო არ არის ავმაღლდეთ პირად გულზვიადობასა და ამპარტავნობაზე, ნაცვლად ურთიერთმოსპობისა თუ გარიყვის ჟინის დაძლევიტ ერთმანეთში ვეძიოთ ის საერთო კეთილი საწყისი, რომელიც ერთ არსებად გვაქცევს და ერთ დიდ საქმეს გაგვაკეთებინებს; რასაკვირველია, ჩვენი შეცდომები უნდა ვაღიაროთ და დავძლიოთ, მაგრამ შეცდომებმა კი არ უნდა დაგვაშოროს და შეგვაჯავროს, გაგვანირინოს ერთმანეთი, არამედ ამ უთანხმოების იქით დავაფასოთ ის საკუთარი პოზიცია, რომელსაც მივყავართ ტაძრამდე.

რა წინასწარმეტყველურად და მისთვის ჩვეულებრივ სიბრძნით გვმოძღვრავს გრიგოლ ხანძთელი: „ნება ურთიერთს შევაზავნეთ, რამეთუ შფოთი ილტვის ბრძენთაგან და ერთობით უმჯობესი დავამტკიცეთ“. ეს აფორისტული შეგონება, თეზისად ჩამოყალიბებული ეთიკური და პოლიტიკური ტრაქტატის ტოლფასოვანია. იგი მარად სახელმძღვანელო და დაუვინყარი პრინციპია, რადგანაც მასში ჩვენი სისუსტეცაა ხაზგასმული და ამ

სისუსტის დაძლევის პერსპექტივაცაა წარმოჩენილი. მასში გამოკვეთილადაა ნათქვამი, შფოთით და ემოციით ვერაფერი დიდი და არსებითი, მით უფრო ეროვნული საქმე, ვერ გადაწყდება, ამ უკანასკნელის მოგვაგრებისათვის დაუნჯებული და გაწონასწორებული განსჯა და მოქმედებაა საჭირო და ამ პრინციპებზე მდგომებმა გამოვძებნოთ ოპტიმალური ვარიანტი, ანდა, კვლავ ამ ბრძენთაბრძენს რომ დავესესხო, „ერთობით უმჯობესი დაამტკიცეთ“ და ეს სიბრძნე მოსასმენი კი არაა მხოლოდ, არამედ შესამეცნებელი და სახელმძღვანელოა.

1989 წ.

„გირჩევ ნუ აქცევ ზღუდებსა, შენს ზურბის მისაყუდებსა“...

„არ დაიჯერეს, არა ქნეს
სარწმუნო დასაჯერები:
დაჯრუდნენ, ბრმანი შეიქმნენ,
საქმე ქნეს გასაშტერები“.

„რაგინდ რომე კაცმა პმალოს
ჭირი თავსა არ დამალავს“.

დავით გურამიშვილს შემთხვევით არ დავესესხე, რადგან ისე არასდროს ჰგვანებია გურამიშვილის ეპოქას საქართველოს დღევანდელი დღე, ისევ ისე გაგლეჯილები, დათითოკაცებულები, მტერთაგან გარშემოწობილნი, მომხვეჭელობის, ლიქნის, ლალატის, ამპარტავნობის, უზნეობის მორევში ჩაფლობილნი... ისტორიის გაკვეთილიც ხომ ის არის, რომ მისგან გაკვეთილს არავინ არ სწავლობს. მაშ რაღა ჩვენ უნდა ვიყოთ გამონაკლისნი? მაგრამ ამავე დროს, არასოდეს ასე ახლოს არ ეყოფილვართ ყოველი ქართველის საუკუნეებ-გამოვლილ ნალვან-ნაოცნებართან, როგორც დღეს...

სანამ ჩემს ნაფიქრალ-სატკივარზე შევჩერდებოდე, წინასწარ მინდა ვთქვა – ჩემი პრინციპი – მოყვარეს პირში უძრახეს პრინციპია. დღეს ჩვენი მოქალაქეების დამოკიდებულება რესპუბლიკის ოფიციალობის მიმართ ჭრელი და არაერთფეროვანია. სოციალურ სიდუხჭირესთან ერთად, სიმძაფრეც მატულობს, მაგრამ როგორი კრიტიკულიც არ უნდა იყოს ჩვენი განწყობა, განუხრელად მრწამსისა, სამთავრობო სტრუქტურებს პროფესიონალიზმით, საქმის კეთების სურვილით ხელის შეწყობა სჭირდება. ჯერ უნდა უხვად, მონდომებუ-

ლად გავიღოთ და მხოლოდ შემდეგ მოვთხოვოთ, თანაც მისხალ-მისხალ მკაცრად. უამი მოსულია, ათვლის წამზომი კი ჩართული...

„დემოკრატია მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა, თუ არ ჩავთვლით ყველა დანარჩენ ფორმებს, რომლებიც კიდევ უარესია“ – უინსტონ ჩერჩილის ამ საკმაოდ მახვილ ნათქვამში მართლაც თავისებურად არის დანახული მმართველობის აღნიშნული ფორმა, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ათენის დემოკრატიიდან მოყოლებული დღემდე, კაცობრიობამ უკეთესი ფორმა ვერ გამოიმუშავა, ალბათ ამიტომაც არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი 11 ოქტომბერი, როგორც ახალი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ცხოვრებისაკენ გადებული ხიდი, მაგრამ ბენვის, ჯერაც საშიშად მოქანავე და არამყარი.

„კადრები წყვეტენ ყველაფერს“...

ვფიქრობ, არა აქვს მნიშვნელობა როდის ან ვის მიერ ითქვა ეს ყველასათვის ცნობილი ფრაზა, მთავარი ის არის, რომ ძირითადად მართლდება მისი ცხოვრებისეულობა. დღეს, როდესაც სრულყოფილებისა და პროფესიონალიზმის ეპოქა მოვიდა, ღირსეული კადრების პრობლემა, რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთი უმთავრესია. შეცდომები არის, საორჭოფო დანიშვნები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ამავე დროს იგრძნობა ტენდენციები უკეთესობისაკენ, რაც წინსვლის ორიენტირი უნდა გახდეს.

თანამდებობაზე მოსვლა, მთავრობის სამსახურში ჩადგომა, თუნდაც პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლა უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ შინაგანი მოწოდების, სულიერი არჩევანის გამო და არა პირადი კეთილდღეობის მიზნით. მყარ დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც კანონი კანონობს და ეკონომიკაც წელმაგარია, პირადი კე-

თილდღეობის წყარო სულაც არ არის დამოკიდებული შენს თანამდებობაზე. იქ ნებისმიერი პროფესიის და ხელობის კაცს შეუძლია პატიოსანი შრომით მატერიალური დოვლათის დაგროვება. პოლიტიკურ სარბიელზე თუ თანამდებობაზე მოსული კაცი მატერიალურად უკვე უზრუნველყოფილია და ახალ ამბლუაში უკვე მონოდების გამოიღვნის, თუმცა გამონაკლისები იქაც გვხვდება. მაშინ როდესაც ჩვენში შედარებით წელმაგრად ცხოვრების ორი გზა არსებობდა. კანონდარღვევით, მისი გვერდის ავლით „საქმოსნების“ (ამ სიტყვის არათანამედროვე საბჭოური გაგებით) სფეროში საქმიანობა და მეორე – თანამდებობაზე მოკალათება, როდესაც შენს მიერ ჩადენილ უსამართლობას კანონი ვერაფერს აკლებს, რადგან კანონს შენ თავად წარმოადგენ. ეს მანკიერი მხარე, სამწუხაროდ, გამონაკლისი არ იყო (უფრო სწორედ, მცირე პროცენტი იყო), პირიქით სისტემაში ადიოდა, რაც სახელმწიფოზე ეკონომიურად დამლუპველად, ხოლო მორალურად გამხრწნელად მოქმედებდა. სამწუხაროდ ტოტალიტარული სისტემის ეს საძრახისი მოდელი, ვერც ხალხის არჩეულმა პარლამენტმა და მთავრობამ აიცილა თავიდან. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს კადრების შერჩევა – სელექციის, დანინაურების არანაირი მწყობრი სახელმწიფოებრივი სისტემა არ არსებობს. ხშირად აშკარად იკვეთება ისიც, რომ ამა თუ იმ თანამდებობაზე ესა თუ ის პიროვნება ინიშნება ნაუცბადევად, სახელდახელოდ, რომელიღაცა ჯგუფის, თუ პარტიის პრეტენზიების დროებით დასაკმაყოფილებლად. მე არ გამოვრიცხავ საკადრო პოლიტიკაში სიტუაციის განმუხტვისათვის აუცილებელ, ხშირად გამართლებულ ტაქტიკურ სვლებსა და მანევრებს მარჯვნივ, ცენტრში თუ მარცხნივ, მაგრამ ეს გამონაკლისი უნდა იყოს. ყოველთვის როდია მიზანშეწონილი დეპუტატებისათვის უფლებამოსილების მოხსნის ხარჯზე მათი სხვა თანამდებობაზე გა-

დაადგილება. იყო ხალხის რჩეულ პარლამენტში, ვფიქრობ, ნებისმიერ თანამდებობაზე უფრო მნიშვნელოვანია და როდესაც მასზე უარს ამბობს სხვა სამუშაოზე გადასვლით ეს გაუგებარია, ზოგჯერ არაჯანსაღ მითქმა-მოთქმას იწვევს თვით ამომრჩეველებში. პარლამენტს ნუ გავხდით საპასუხისმგებლო სამთავრობო თანამდებობაზე მისვლის აუცილებელ წინაპირობად. ასე რომ, ნურც არადეპუტატი, პროფესიონალებს ჩავუკეტავთ გზას და ნურც პარლამენტარობას გავაუფასურებთ. ამავე დროს, უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგჯერ არის ცხოვრებიდან ნაკარნახევი გამონაკლისები, როდესაც უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე ან რეგიონში სწორედ დეპუტატი უნდა გაიგზავნოს, მაგრამ ეს უნდა იყოს იშვიათობა, გამომდინარე საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან.

ალბათ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პასუხისმგებელი კადრების ზნეობრივ, მოქალაქეობრივ სახეს, რადგან გარკვეულად ჩვენი საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების დადებითი თუ უარყოფითი გამოძახილია სწორედ ტელევიზორში, პრესაში, ცხოვრებაში დანახული სახელმწიფო თანამდებობაზე მყოფი პიროვნების ნათქვამ-საქციელ-ნაღვანის, სიხარბის, საჯაროდ სიტყვის გატეხის, გამსუყების, კანონის იგნორირების, მედიდურობის, თვალთმაქცობის საპირისპიროდ იცხოვრო ქვეშარიტი ზნეკეთილი მოქალაქის ჩვეულებრივი ცხოვრებით, აი ის მისაბადი, რომელმაც ვფიქრობ, ყველასაგან უნდა გამოარჩიოს პასუხისმგებელი პირი.

ასე რომ, თითოეული ჩვენთაგანი ამაოდ არ უნდა დაშვრეს იმ საოცნებო დროის დაჩქარებაში, როდესაც მხოლოდ პროფესიონალიზმი იქნება ნებისმიერი ჩვენი მოქალაქის ადამიანური ცხოვრების გარანტი და არა ტოტალური სწრაფვა თანამდებობისაკენ. თორემ ისევ აგვიხდება ჯერ კიდევ XIV საუკუნეში ნათქვამი ჟამთააღმწერლის სიტ-

ყვები – „რამეთუ განძღეს და იშუებდეს, უნესობად მიდრკეს სიძვათა და მთვრალობათა შინა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არაყოფის ღირსნი და ან კარსა ზედა მყოფნი“.

**„ახალგაზრდობის დაძაბუნება
იმასვე ნიშნავს,
რასაც წლის დროთაგან
გაზაფხულის გაძრობა...“**

ამ მშვენიერი პოეტური შედარებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რომ საცსებით უპერსპექტივოდ იკვეთება სახელმწიფოს წელმაგრობა დაუნჯებული ახალგაზრდული პოლიტიკის გარეშე, ეს ცხადზე ცხადია. იგი იმ ქვაკუთხედად მესახება, რომელიც სახელმწიფოს მშენებლობის დიდ შენობაში უნდა ჩაიკიროს. გამოთქმა „ახალგაზრდული პოლიტიკა“ ნურც დაგვაფრთხობს, ნურც ძველ დროს გაგვახსენებს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს ზრუნვას შენი ქვეყნის ახალგაზრდებზე ერთიან სახელმწიფო-სამთავრობო დონეზე, ხოლო თუ ევროპარლამენტის დოკუმენტებს გამოვიყენებთ – კანონების, პროექტების, რეფორმების პაკეტების მიღებას, ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

გაუგებარია, რატომ ბრკოლდება აღნიშნული საკითხი ჩვენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ სტრუქტურებში. ამ კუთხით ჩვენ უმნიშვნელოვანესი პროექტი გვაქვს შესამუშავებელი, რომელმაც უნდა განსაზღვროს უახლოესი წლების ახალგაზრდული პრობლემების და შეძლებისდაგვარად მისი გადაჭრის ტენდენციები. საქართველოში, მარტო ბოლო ორ წელიწადში გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა ახალგაზრდობის სხვადასხვა სოციალური ფენა, განსხვავებული ფსიქიკით, ცხოვრების წესითა და ფილოსოფიით. ეს ის ხალ-

ხია, რომლებიც განურჩევლად იმისა, დაინტერესდებიან თუ არა შემდგომში პოლიტიკით, ნებით თუ უნებლიეთ, როგორც საზოგადოების წევრები, მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის განვითარებაში უკვე დაგროვილი ცხოვრებისეული დადებითი და ამავე დროს უარყოფითი გამოცდილებებით. ამდენად სახელმწიფომ აუცილებელია სცნოს აღნიშნული ცვლილებები ახალგაზრდულ სამყაროში, ხოლო რომ სცნოს უნდა იცნობდეს ყველა იმ ფენას და რაც მთავარია, უნდა შემუშავებული ჰქონდეს მათთან თანამშრომლობის (პოლიტიკურ ასპექტს არ ვგულისხმობ) გარკვეული პროგრამული საფუძვლები. სამწუხაროდ, იკვეთება, ახალგაზრდობასთან ახლებურად ურთიერთობის არ ცოდნის ან ვერ მოცლის ტენდენციები, რომელიც ფრიად სავალალო შედეგს მოიტანს. იმედისმომცემია რესპუბლიკის მეთაურის ამასწინანდელი შეხვედრა ჩვენი ახალგაზრდების გარკვეულ ჯგუფთან და ამის შედეგად საკმაოდ რეკლამირებით საერთაშორისო ახალგაზრდული ფონდის დაფუძნება, მაგრამ რატომღაც მაინც უკმარისობის გრძნობა მეუფლება.

ერთი სიტყვით, სპეციალისტების მოხმობით პარლამენტში განხილვამდე შესაქმნელია დოკუმენტი ან წინადადებათა პაკეტი საქართველოს რესპუბლიკის ახალგაზრდობის შესახებ კანონის მიღებისათვის, რომელშიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად სასურველია ყურადღება მიექცეს შემდეგსაც:

ა) ახალგაზრდობის უფლება და არა ვალდებულება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე.

ბ) ღია ბაზრის პირობებში ახალგაზრდობის სოციალური დაცვის მექანიზმი (უმუშევრობის პრობლემების გათვალისწინებით).

გ) ბიზნესი და ახალგაზრდობა (მენარმეობისათვის ხელის შეწყობა, სახელმწიფო დაბეგვრიდან დროებითი განთავისუფლება ან მინიმალური დაბეგვრები).

დ) ახალგაზრდული ოჯახები (გათვალისწინებული იქნას ბოლო პერიოდის ორი გამოკვეთილი ტენდენცია: შუალედური რგოლის გამოტოვებით მიდრეკილება ან ძალზედ ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნისა ან მიდრეკილება მხოლოდ კრიტიკულ ასაკში დაოჯახებისა).

ე) ახალგაზრდობის ახალი სოციალური ფენისა და ტიპის ფორმირება (მსოფლმხედველობრივი ცვლილებები, ფასეულობათა გადაფასება, მკვეთრი მატერიალური დიფერენციაცია).

ვ) ახალგაზრდობა და უცხოეთი (ეკონომიკური მოსაზრებით ახალგაზრდობის საგრძნობი პროცენტის ლტოლვა და სამწუხაროდ, არა დროებით, უცხოეთში სამუდამოდ დაფუძნებისათვის... საქართველოში პირობების შექმნა იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც სხვადასხვა დროს, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაფუძნდნენ, განსაკუთრებით რუსეთში, და დღეს სურვილი აქვთ ხელისშეწყობის პირობებში საქართველოში დაბრუნებისა).

ზ) მეცენეტობა (სამთავრობოსთან ერთად კერძო სტრუქტურების მიერ თავიანთ ხარჯზე უცხოური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში ნიჭიერი, მაგრამ ნაკლებადუზრუნველყოფილი ოჯახებიდან ახალგაზრდების გაგზავნა).

თ) ახალგაზრდული მეცნიერება (ლია ბაზრის სანყისი ეტაპისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი მეცნიერების ავტორიტეტის შემცირების პირობებში ახალგაზრდული მეცნიერებისა და გამომგონებლობის განსაკუთრებული ეკონომიკური მხარდაჭერა).

ი) სკოლა და უმაღლესი (ტრადიციული დამოკიდებულების რღვევა).

კ) მასობრივი სპორტი (რომელიც სულს ღაფავს).

ლ) დანაშაულის სამყარო და ახლადფორმირებული ახალგაზრდული სტრუქტურების მასთან კავშირი (თეორიულ ასპექტში დანაშაულის ახლე-

ბურად გაგების მიმართულებები, ამ მიმართულებით პროფესიონალიზმის ზრდა).

მ) სახელმწიფოს მორალი, ზნეობა როგორც ახალგაზრდულ ყოფასა და აზროვნებაზე გავლენის მომხდენი.

**ჩარლი-ლაკი ლუჩიანო, ალკაპონე ან
ძართული მაფიის შესაძლო
„პერსპექტიული ვარიანტი
ოჯახურ ინტარიერში“?**

ზემოთდასახელებულნი მხოლოდ გახმაურებული ამერიკული ფილმების მთელს მსოფლიოში პოპულარული კინოპერსონაჟები როდი არიან. ისინი მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის საქვეყნოდ ცნობილი ისტორიული პირები იყვნენ. პროფესიით განგსტერები, უფრო ზუსტად მაფიოზურ განგსტერული სინდიკატ-სახელმწიფოების ბატონ-პატრონნი. მკითხველებთან ცოდნით კოკეტკობის სურვილმა არ გამახსენა მათი თავი და ნაავკაცარი. უბრალოდ ბუნებრივი პარალელების შეგრძნების განცდამ. ის, რაც თავის დროზე ევროპის, შეერთებული შტატების, სამხრეთ ამერიკის და აზიის რამდენიმე ქვეყანაში დანაშაულებრივ სამყაროს ჩასახვისა და განვითარების, სამართალდამცავი ორგანოების მათთან დაპირისპირების კუთხით განვლილ იქნა, დღეს იგი ყოფილი სსრკ-ს სახელმწიფოების სინამდვილეში მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაში სხვადასხვა მასშტაბით, გარკვეული სახეცვლილებით უდავოდ აისახება. გარდა ამისა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები მის საერთაშორისო ანალოგების ზოგადი მოტივებიდანაც უნდა იქნას დანახული. ამერიკელმა იურისტმა ჯექსონმა ფაშიზმის საერთაშორისო გასამართლებისას განსაზღვრა ჯერ დანაშაულის პრინციპები, რაობა, წარმოშობის წინაპირობა და მხოლოდ შემდეგ მიადგა უშუალოდ

გასამართლების საგანს. ეს მეთოდი შედეგის მიღწევისათვის რთული, მაგრამ ყველაზე ეფექტურია. ამდენად თუკი გვსურს ჩვენში ავბედით მეტასტაზებად მოდებულ ორგანიზებულ დანაშაულს გარკვეული პროცენტით მაინც წინ აღვუდგეთ, აუცილებელია მისი ფესვების სანყისის გამოწვლილვითი ძიება.

მაინც როდიდან იწყება დანაშაულებრივი სამყაროს ორგანიზებული ძალად ჩამოყალიბება, მე-20 საუკუნის გარიჟრაჟიდან, როდესაც იტალიურმა მაფიამ აპენინის ნახევარკუნძულიდან ექსპორტირება ამერიკის კონტინენტზეც მოახდინა თუ გაცილებით ადრე? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთი საინტერესო გამოკვლევა დაიწერა, რომელიც დანაშაულის გამოწვევის მიზეზებზე, მის ნაირსახეობაზე, სოციალურ მოტივებზე, ორგანიზებულ ფორმირებებზე, მომავლის პერსპექტივებზე, პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრუქტურებში კავშირებზე სხვადასხვანაირ შეხედულებებს გვანვდიან, მაგრამ რომელთაც ერთ ძირითად საერთოს მაინც შევნიშნავთ. ორგანიზებული დანაშაული (იტალო-ამერიკული განგსტერული სინდიკატები, სამხრეთ ამერიკული კარტელები, ჩინური და ტაილანდური მაფია, იაპონელი იაკუძები, რეკეტი) დედამიწის სხვადასხვა კუთხეში განვითარების სხვადასხვა მასშტაბით ჯერ კიდევ გვიან შუა საუკუნეებში ჩაისახა.

ამ თემაზე საუბარი ჩვენს ისედაც არეულ დროში მისი პოპულარობის ცდა როდია, პირიქით დუმილი ყოველ მხრივ საზიანოა. პირადად მე ამ ხუთი, ექვსი წლის წინათ არაერთხელ აღმინიშნავს პრესითა თუ ტელევიზიით, რომ ტოტალიტარული რეჟიმის რღვევასა და ღია ეკონომიკური ბაზრის ფორმირებას აუცილებლად მოყვება დანაშაულებრივი სამყაროს (თავისი იერარქიით) მოდერნიზება, ორგანიზაციული მრავალფეროვნება, მისი წევრების საგრძნობლად გაახალგაზრდავება, ეკონომიურ-ტექნიკურად მომძლავრე-

ბა, თვით თეორიულ ასპექტში ცვლილება და ყოველივე ამის გათვალისწინებით საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე (არა მხოლოდ ახალგაზრდებზე) გავლენის სფეროების გაზრდა. სამწუხაროდ ჩვენი საზოგადოება, ისევე როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, აღნიშნულ ურთულეს სოციალურ მოვლენას (ისევე როგორც თავის დროზე ნარკომანიას, პროსტიტუციას, ადრეულ სექსუალურ კავშირებს) ზედაპირულობით მოექცა (რასაც ასევე თავისი მიზეზები აქვს) და შედეგმაც არ დააყოვნა. შედეგში არ ვგულისხმობ აღნიშნული საკითხის ასპროცენტო გადჭრას, რადგან დანაშაული იარსებებს მანამ, სანამ არსებობს ადამიანი, ლაპარაკია მის მაქსიმალურ ლოკალიზაციაზე, შეძლებისდაგვარად მართვაზე...

თუ ჩვენში ორგანიზებულ დამნაშავეობას შეექმნა დაახლოებით ისეთივე წინაპირობები როგორც მათ ევროპელ, აზიელ თუ ოკეანისგალმელ „კოლეგებს“ (არადა, საქმეს ჯერჯერობით ასეთი პირი უჩანს), მიუხედავად ქვეყნების მასშტაბისა თუ განსხვავებული ეროვნული თავისთავადობისა, მეტნაკლები მსგავსებით დღეს და უფრო მომავლის პერსპექტივაში მათ შემოსავლის დაახლოებით შემდეგი წყაროები უნდა ჰქონდეთ: რეკეტიდან შემოსული თანხები, წილი წვრილი და მსხვილი კერძო სტრუქტურებიდან, აზარტული თამაშები, ნარკოტიკები, „გასართობი“ სახლები, იარაღით ვაჭრობა, ადამიანებით ვაჭრობა, შეკვეთით მკვლელობა, ბანკებში სხვადასხვა ოპერაციები, სოლიდარული თანხების „გასუფთავება“... აქედან გამომდინარე კი ათწლეულების მანძილზე განვითარების სტადიები, ჩანასახიდან ურთულეს კონგლომერატამდე... ახლა კი სტადიებიც ვნახოთ (იქნებ გვეცნოს!). **პირველი სტადია** – ქუჩა, მერე ორგანიზებულ ჯგუფებად გაერთიანება, მესამე – შეიარაღება, მეოთხე – ტერიტორიების დანაწილება, წილები, რეკეტი, მეხუთე – ერთმანეთში გავლენის სფეროების გაფართოებისათვის

ომი. მეექვსე – კონტაქტების დამყარება. მეშვიდე – მსხვილ ბიზნესით დაინტერესება და საჩვენებელი ქველმოქმედება. მერვე – პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით დაინტერესება. მეცხრე – დაახლოებით უკანასკნელი სტადია. – ცდები მსხვილ კანონიერ ბიზნესში შერწყმისა, როდესაც თავად რესპექტაბელურ ბიზნესმენებს ემსგავსებიან და სულ უფრო ძნელი ხდება ჩანვდომა სად გადის მათ არაკანონიერ და კანონიერ საქმიანობას შორის ზღვარი.

საქართველოში განსაკუთრებით ბოლო პერიოდის განუკითხაობამ, დანაშაულებრივ სამყაროს ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა, ამდენად მათ ათწლეულობით გასავლელი სტადიების რამდენიმე ეტაპი ორ-სამ წელიწადში „აითვისეს“. ისევ შედარებებს თუ მოვუბრუნდებით (რომელიც კიდევ ვიმეორებ, პროცესების ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარეა ჩვენს მიერ საილუსტრაციოდ მიახლოებით შერჩეული) „ჩვენები“ გარკვეული სახეცვლილებით, განვითარების მეექვსე სტადიაში უნდა იყვნენ. ღმერთმა ნუ ქნას, მიეცეთ მათ იმ მონასტრად გადაქცევის საშუალება, რაც ზოგიერთ ქვეყანაში მოხდა. მაშ რა გზას დავადგეთ, რა დავუპირისპიროთ, როგორ ვებრძოლოთ? მხოლოდ რეიდების გააქტიურებით? რა თქმა უნდა საჭიროა, მაგრამ მის ამარა ყოფნა წამგებიანია, შტატიანი თუ უშტატო აგენტურის ქსელის გაფართოებით? ხელმძღვანელი კადრების გაუთავებელი ცვლილებებით და სხვა? უპირველეს ყოვლისა, პროფესიონალიზმით, პროფესიონალიზმით და კიდევ ერთხელ პროფესიონალიზმით, რაც ითვალისწინებს ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც იქცევა მყარ გზად დანაშაულის, როგორც ურთულესი სოციალური ფენომენის წარმოშობის მიზეზების კვლევის, ფიქსაციის, კონტრმეთოდების წამოყენების, შემდეგ კონტროლისა და ლოკალიზების. და მხოლოდ ამის შემდეგ მონოდებით ჭეშმარიტი მუშაკების

მოზიდვით, ტექნიკური აღჭურვილობის გამრავალფეროვნებით, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებით, სტრუქტურული რეორგანიზაციით, ინტერპოლის გამოცდილების გაზიარებით, უცხოეთის ძლიერ ცენტრებში ახალგაზრდა სპეციალისტების გაგზავნით და სხვა მრავალზე მრავალი.

დაბოლოს, იქნებ დადგა დრო განხილული იქნას ჩვენში ნარკომანიის ნაწილობრივი ლეგალიზაციის საკითხი, ისე როგორც ეს უკვე ათწლეულობით საკმაოდ წარმატებით ხორციელდება ძლიერ კაპიტალისტურ ქვეყნებში (სადაც პროცენტულად გარკვეული კლებაა, ზოგან ზრდის ტენდენცია არ ინიშნება).

წერავის ეგონება, რომ სიტყვა „ლეგალიზაცია“, ნიშნავს ქუჩებში ან მაღაზიებში მარჯვნივ და მარცხნივ ნარკოტიკების ყიდვას... პირიქით, ამ შემთხვევაში ხორციელდება ფართომასშტაბიანი პროგრამა. პირველი – შესაძლებელი ხდება დიფერენცირება ნამდვილი ნარკომანისა მოხალისისაგან, მეორე – ხდება ნარკომანების ზუსტი აღნუსხვა და კონტროლი (კონტროლი არა დაჭერის, არამედ დროული სამედიცინო ჩარევის კუთხით). მესამე – მინიმუმამდე მცირდება სისხლის სამართლის დანაშაული ნარკოტიკის მოპოვების მიზნით ან მისი შეძენისათვის მოპოვებული ფულის მიზნით. მეოთხე – რადგან საქართველოში ნარკოტიკები ძირითადად შემოაქვთ რესპუბლიკის ფარგლებს გარედან, მინიმუმამდე შემცირდება ამ მიზნისათვის ჩვენგან ყოველდღიურობით გასული ათეული მილიონობით თანხა. მეხუთე – მაქსიმალურად ეკეტება გამდიდრების წყარო იმ არაკეთილსინდისიერ მუშაკებს ოფიციალური ორგანოებიდან, რომლებიც თვალის დახუჭვის მიზნით ხელს ითბობენ, რაც თავისთავად კორუფციის წყაროა. მეექვსე – დრომ მოიტანა ჩვენშიც შეიქმნას თანამედროვე ლაბორატორიები იატაკქვეშ მიღებული ნარკოტიკების ახალი სახეობის

შემონებებისა... მოსაფიქრებელია „გასართობი სახლების“, ეგრეთწოდებული საროსკიპოების საკითხის დროული მოწესრიგების პრობლემაც. ხომ ფაქტია, რომ თბილისში არსებობს მსგავსი დაწესებულებები, თავისი საფასურით, მასში დაკავებული პროფესიონალი მუშაკებით და როგორ მოწესრიგდეს ეს საკითხი განსაკუთრებით მახინჯი ფორმები რომ არ მიიღოს, ესეც გადაუდებელია.

„სჯობს საქმე უხმოი სიტყუასა უსაქმოსა“...

მინდა კონკრეტული მოსაზრებები გამოვთქვა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებზეც ჩვენს თანამოქალაქეებს, პარლამენტის თითოეულ წევრს, მთლიანად პარლამენტს, თავისი დამოკიდებულება გააჩნია.

დავდოთ თუ არა რუსეთთან ხელშეკრულება? თავად გამოთქმა „მეგობრული ხელშეკრულება“, რომელიც კომპეტენტურ პირთა მხრიდან, პერიოდულად გაისმის პრესასა თუ ტელევიზორში უხერხულობის ელემენტს შეიცავს, რადგან კაცობრიობის დასაბამიდან მსოფლიო პოლიტიკურმა ტერმინოლოგიამ მსგავსი ტერმინი არ იცის (თუმცა სხვათათვის არც „კარვის ქალების“ არსი უნდა იყოს გასაგები). რადგან ორ სახელმწიფოს შორი ხელშეკრულება თანაბარპარტნიორული პრინციპების გათვალისწინებით იდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ერთმანეთთან მეგობრული, სტაბილური ურთიერთობა ან აქვთ ან სურთ რომ ჰქონდეთ და გამოყოფა იმისა, რომ ეს მეგობრული ხელშეკრულებაა სრულიად გაუგებარი და ზედმეტია. ხელშეკრულების დადების ან მისთვის მზადების ეტაპები თავის თავში უკვე გულისხმობს კეთილი დამოკიდებულების ფაქტს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დგას რუსეთის სამხედრო ძალები, მიუხედავად იმისა,

რომ დარღვეულია 3 სექტემბრის უმნიშვნელოვანესი შეთანხმების ძირითადი პუნქტები, რომ აშკარაა აფხაზეთის საკითხებში „ველიკორუსული შოვინიზმის“ აგრესია, რომ თავად რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური კატაკლიზმების გამო გაურკვეველია შესძლებს თუ არა იგი თავის ვალდებულებების შესრულებას და მრავალი მრავალთავანი რომელთა ჩამოთვლა ერთი სტატიის მასშტაბებს სცილდება, მიუხედავად ყოველივე ამისა, ხელშეკრულება გვინდა თუ არ გვინდა, უნდა დაიდოს, რადგან „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს“... დროს მოგება სჭირდება, რადგან ნუ ვეცდებით უკვე მერამდენედ, სამყაროს პოლიტიკური პროცესებიდან ურჩად ამოხტომას, რადგან არც ევროპის, არც ამერიკის და არც აზია-აღმოსავლეთის დიპლომატია დღეს რუსეთს თავს არ გვანაცვალებს, რადგან ჯერ კიდევ არ გამქრალა „რუსული ჩექმის“ სინდრომი და ჩვენ გეოპოლიტიკური მდგომარეობით თავს რომ ვინონებთ, მაშინ რუსულ მასშტაბებსაც (სამხედრო ტერიტორიული, ცოცხალი რესურსების და სხვა) ნუ დავივიწყებთ, რადგან სასაზღვრო ჯარი არ გაგვაჩნია მტრის შემოტევაზე რომ არაფერი ვთქვათ, დედაშვილიანად აყრილი არაქართული ორიენტაციის თურქეთელი მესხების მოქალაქეებს რომ გავუმკლავდეთ, რადგან თუ უფრო გავაპროზავებთ, ფულის ნიშნებიც კი არ გაგვაჩნია, რის გარეშეც შეუძლებელია ფულად-საკრედიტო ან საემისიო პოლიტიკის გატარება, რის გარეშეც შეუძლებელია ვალუტისათვის საკუთარი ოქროს მარაგი არა გვაქვს და ბევრი სხვაც...

ვფიქრობ დღეს დრო, ცოდნა და ენერგია იმაზე კი არ უნდა ვხარჯოთ, დავდოთ თუ არა ხელშეკრულება (რადგან მრავალ მიზეზთა გამო გვინდა ეს თუ არ გვინდა, ამ რეალურ პოლიტიკურ ფაქტს ურჩი ბუტიაობით ხელი არ უნდა ვკრათ), არამედ იმაზე, შევიმუშაოთ ისეთი პროექტი, რომელშიც ჩვენთვის სასიცოცხლო საკითხებთან ერ-

თად საერთაშორისო დონეზე დამცავი მექანიზმებიც იქნება ჩადებული. სავსებით შესაძლებელია ხელშეკრულების დოკუმენტების განხილვისას და თავად პროცესის დროს მიწვეულ იქნან გაეროს ექსპერტები. აუცილებლად მიმაჩნია დოკუმენტების ხელმოწერამდე აფხაზეთიდან უპირობოდ გაყვანილ იქნან რუსული შენაერთები და აღდგენილი იქნას დარღვეული საქართველო-რუსეთის საზღვარი ლესელიძეში. ამ იურიდიულად, აგრეთვე მორალურად სამართლიანი მოთხოვნის შემდეგ უნდა მიეცეს სახელშეკრულებო პროცესებს მწვანე გზა. უმნიშვნელოვანეს პუნქტებად დოკუმენტში სამაჩაბლოს პრობლემა და რამდენიმე წლის მანძილზე, ჩვენი ტერიტორიიდან უცხოტომელთა ჯარების გაყვანა უნდა აისახოს...

შევიარაღდეთ თუ განვიარაღდეთ, იარაღი ავისხათ თუ ვარდები ვაჩუქოთ ერთმანეთს?

ამ საკითხთან დაკავშირებით ციებ-ცხელებამ ზოგჯერ ანეკდოტური ელფერიც კი მიიღო. ვფიქრობ არც პარლამენტარებმა და არც მის გარეთ დარჩენილებმა ამ საკითხზე ჭოჭმანით ოქროს დრო არ უნდა ვკარგოთ. არსებობს ცალსახა პასუხი. დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანს სხვა უფლება-ვალდებულებებთან ერთად აქვს უფლება, ჰქონდეს თავდაცვის საშუალებად გარკვეულ კალიბრამდე, იარაღი. მაგრამ რადგან, ჩვენ სურვილით კი გვსურს და პერსპექტივაში მივემართებით დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისაკენ, მაგრამ დღეს ვერ დავიკვეხნით ჩვენში ამ კუთხით სტაბილურობას და მიღებულ ეფექტს, მოდით ამ კანონის ცხოვრებაში გატარებამდე გარკვეული დროით (თუნდაც მცირედით) მოვითმინოთ. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩნდება პრობლემები, რომელთა გადაჭრა, ვფიქრობ, ჯერ არ ხელგვეწიფება. კერძოდ: ა) როდესაც ასე ძნელად მიდის განიარაღების პროცესი კანონის იარაღის დაკანონებაზე მეტ სირთულეებს შექმნის. ბ) იარაღის დაკანონ-

ნების შემთხვევაში იმ მოქალაქეებმა რა ჰქნან, ვისაც იარაღი სულ არა აქვს და სურვილის შემთხვევაში უნდა შეიძინოს? სად? თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს იარაღი (თუნდაც მცირე კალიბრის) თავადაც არ ჰყოფნის ე.ი. უნდა იყიდოს, საიდან, ვისგან ან როგორ? ჩვენ იარაღს ჯერ არ ვაწარმოებთ. ე.ი. უნდა შექმნას სახელმწიფომ სტრუქტურები, რომლის კომპეტენციაში შევა უცხოეთში იარაღის ყიდვის, რესპუბლიკაში შემოტანის და რაც ყველაზე ძნელად მეჩვენება, მყიდველთან მისი მიწოდება.

მაშინ როდესაც, უცხოეთს თავი დავანებოთ, სამტრედიიდან თბილისამდე ბენზინის, ზეთის, კარაქის და სხვა მრავალის ჩამოტანის არდანიავების გარანტია არა გვაქვს იარაღის კონტეინერებს როგორღა დავიცავთ, ან ხომ არ იქცევა იარაღით კანონიერი ვაჭრობა მაფიოზური კლანების ხელში დანაშაულებრივი ბიზნესის წყაროდ, ისევე როგორც თავის დროზე, მაგალითად, ბენზინი და სხვა რამ? ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ იარაღის მწარმოებელი ძირითადი ქვეყნები უცხოეთში არასამხედრო დანიშნულებისათვის რეგულაციებსა და პისტოლეტებს ძირითადად 38 კალიბრის ზევით არ ჰყიდიან. არის მრავალი სხვა ტექნიკური ნიუანსიც. ამდენად, ვფიქრობ ნუ ვიჩქარებთ ამ საკითხში (თუმც იგი მომავლის პერსპექტივაში ისე უნდა გადაწყდეს, როგორც ცივილიზებული ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი) და ჩვენი და ჩვენი ოჯახების უსაფრთხოება ისევ პოლიციას მივანდოთ. ღმერთმა ქნას, იმედი გაგვიმართლონ.

„გამარჯობა ჩემო თბილის ძალაქო“...

საქართველოში დემოკრატიული წესრიგი, საბაზრო ეკონომიკის აღორძინება მისი გულიდან, თბილისიდან უნდა დაიწყოს. ამ კუთხით კატას-

ტროფული მდგომარეობა ბოლო პერიოდის ერთგვარმა სასიკეთო ძვრებმა შეცვალა, რამდენად სტაბილური იქნება ეს დღეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ თბილისის იერსახის აღდგენა თავისი კოლორიტით, ტრადიციით, მოქალაქეობრივი პრინციპებით, ეკონომიკური სიჯანსაღით, არა მხოლოდ ჩვენი თანამოქალაქეების, მთელი საქართველოს საოცნებო უნდა იყოს. ამას, მერწმუნეთ ვინრო „ქალაქური პატრიოტიზმი“ არ მალაპარაკებს. თბილისელობა უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებლობა, მძიმე ტვირთია, მისი ზიდვა ყველას როდი ხელენიფება. დედაქალაქი ყოველთვის იყო ჩვენი საყვარელი კუთხეების ყოველივე კარგის შემსრუტავი, თავისებურად გადამხარშავი, ეს ის წყარო იყო, რომლითაც იკვებებოდა თბილისური სილალე, სიხალისე, გულითადობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველოს უმშვენიერესი კუთხეებიდან მოდენილი სულიერი ენერგიით ივსებოდა ჩვენი დედაქალაქი. სამაგიეროდ კი თავისებურ სითბოს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გულითადობით უბრუნებდა უკან. დღეს ეს ციკლი დარღვეულია. აღარ გეცნობათ ჩვენი ქუჩები, რადგან იქ მოსიარულე ადამიანებს ვერ იცნობთ. და ეს არ არის იშვიათი გამონაკლისი. გესმის ქართული, მაგრამ ეს არც თბილისურია და არც თბილისში ჩამოსული სხვა კუთხის ქართველის, აჭარელის, გურულის, მეგრელის, კახელის, სვანის, მესხის, აფხაზის, იმერელის ქართული. რალაც გაურკვეველი ქართულია, არათბილისური, არც კილო-კავიანი, რალაც უნიადაგო, უფესვო მდაბიური ქართული და გამოხედვაც ასეთი. თავის დროზე თბილისის ინტელიგენცია აქ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულთა შვილებმა შეადგინეს, ხოლო თბილისურმა ცხოვრების წესმა სანაცვლოდ გარკვეული დადებითი გავლენა იქონია მათზე. ამ ურთიერთგამანოყიერებელმა ციკლის სხვადასხვა ჩვენთვის გასაგები მიზეზების გამო მოშლამ მეტად მახინჯი სახე მიიღო. ჩვენ სახე დავკარგეთ,

ის სახე, რომლითაც ჩვენს თანამოქალაქეების მიხვრა, მოხვრით, საუბრით, სიცილით თუნდაც მაპატიეთ და გინებით ასიათასისაგან გამოარჩევიდი. საუბრით კი არა და ფეხბურთის თამაშით მიხვდებოდი, მოთამაშე ვერელი იყო თუ ვაკელი, საბურთალოელი თუ სოლოლაკელი, დიდუბელი თუ სვანეთის უბნელი ან პლესანოველი. ახლა, როდესაც თბილისელში ოჯახიშვილობის ნაცვლად მოჭარბებულმა სიმსუყნემ, უკიდევანო ლტოლვამ ნებისმიერი გზით გამდიდრებისაკენ, სხვისადმი აგდებულმა დამოკიდებულებამ იმძლავრა, დროა ყველამ, უპირველესად თბილისელმა და არა მხოლოდ თბილისელმა (თელაველმა, ქუთაისელმა, ზესტაფონელმა, ზუგდიდელმა, ბათუმელმა, სოხუმელმა) ზარი შემოვკრათ ტრადიციების არდაკარგვისათვის; რადგან ეს სენი გადამდებია, მასში ცხოვრების გაუკუღმართებასთან ერთად თითოეული ჩვენთაგანიც დამნაშავეა. ამიტომ დავძლიოთ ჩვენში შეპარული პატარა ემბაკები... ჩვენს საფიცარ თბილის-ქალაქს შველა სჭირდება. და კიდევ, აუცილებელია რეალური პროგრამის შემუშავება, სადაც თბილისთან დაკავშირებულ გადამწყვეტ ეკონომიკურ-სოციალურ პრობლემებთან ერთად გათვალისწინებული იქნება თბილისური ტრადიციების აღდგენის აკითხებიც...

„თქვენი შეხედულებანი ჩემთვის ღრმად მტრულია, მაგრამ მათ მოსასმენად მზად ვარ სიცოცხლე გავწირო“. აღნიშნული, ვფიქრობ დღესაც მეტად სიმბოლურია ჩვენი პოლიტიკოსების საქმიანობისათვის. ხშირად გვესმის ოპოზიციის თავისებური დაყოფა – ჯანსაღად და არაჯანსაღად, კონსტრუქციულად და დესტრუქციულად. და აქედან გამომდინარე, მათთან დამოკიდებულებაში ტონის ცვალებადობაც. ზოგჯერ მკაცრი, მაგრამ კორექტული, ზოგჯერ მკაცრიც, მკვახეც და აგდებულიც. ალბათ გვახსოვს 21 თებერვალს ფილარმონიაში გამართულ შეკრებასთან დამოკიდებულებაში ოფიციალური პრესისა თუ ტელევი-

ზიის რეაგირებაც. იმ შეკრების ჩატარება-არჩატარების შესახებ არ ვწერ. უბრალოდ კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ რაიმეს შეფასება-გაანალიზებისას მოჭარბებულ გრძნობებს აყოლილნი ნუ გავხდებით ისეთივე გადაჭრით კატეგორიულნი, როგორც წინა ორი ხელისუფლება. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ვამართლებთ თუ არ ვამართლებთ, შეფასებისას დავიცვათ პოლიტიკური სიმშვიდე, ზემომოხმობილი ციტატის არ იყოს „სიცოცხლის განირვა“ არავის მოეთხოვება, მხოლოდ ვიყოთ დინჯად მომთმენნი. ნუ მივცემთ სალაპარაკო მასალას ისევ ჩვენი მთლიანობის მტრებს. დღეს, როდესაც ჩვენ ყველანი პოლიტიკური აზროვნების სულ სხვა სიმაღლეებზე ეტაპობრივად ვცდილობთ აღწევას, ჩვენი სიფიცხით, თავშეუკავებლობით ნუ ვექაჩებით მას პროვინციული გაკაპასების მორევში.

„საქართველო გამოდის კარდჰუდან“... ანუ ევრონული ორიენტაცია აღმოსავლური ფონის გათვალისწინებით.

რთული და თავისებურია ქართული გენის განვითარების ისტორია უხსოვარი დროიდან დღემდე. ამას აუცილებლად სჭირდება ღრმა ფილოსოფიური კვლევა: „საქართველო გამოდის კარდჰუდან, ლაშარში მხილდება მითიურად, დავით აღმაშენებელი მყარდება ისტორიულად. ამ სახიერებაშია მოქცეული მთელი მისი ყოფა“. გრიგოლ რობაქიძისეული ასეთი ხედვა ვფიქრობ იძლევა კვლევის სწორ მიმართულებას.

მართლაც თუ დავუკვირდებით კაცობრიობის არსებობის მანძილზე, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში თითქმის არ ყოფილა ზოგადსაკაცობრიო მოვლენა, ქართული სამყარო (ქართული გენიც!) რომ არ იყოს მასთან შეხებაში. კერძოდ: – ამირან პრომეთეს მითი, ოქროს საწმისი და არგონავტები, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და მცხეთაში უფლის კვართის დასვენება, დიონისე არეოპაგელის სამყარო, ადრეული აღორძინების

ხანა, მე-20 საუკუნეში მსოფლიოს ორად გაყოფის, შემდეგ კი სულ ჩვენ თვალწინ მისი შეერთების ეტაპები...

საქართველო განმედიის გზით მიდის, სწორედ ამიტომაც იღვრება ამდენი ქართველის სისხლი. ჩვენი გზა ლაზარეს გზაა. ღვთისმშობლის წილხედომილ ქვეყანას, სხვებთან შედარებით მეტი განსაცდელის გადალახვა მოუწევს ნარ-ეკლიან გზაზე...

ჩვენში მიმდინარე პროცესები მსოფლიო ისტორიული კანონზომიერებისა და განვითარების მდინარებიდან გამოცალკევებულად არ უნდა განვიხილოთ. ჩვენში მომხდარი და მოსახდენი ზოგადსაკაცობრიო პრობლემების მასშტაბს უნდა გავუტოლოთ.

სამწუხაროდ, ახდა პრესაში ჩვენს მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება რუსეთში პროცესების რადიკალური გამწვავების შესახებ. მის პრეზიდენტს (ელცინი) სულ უფრო უჭირს აღმშენებლობით საქმიანობის გაჩაღება, თან მართვა. ვერც ევროპა-ამერიკიდან მიღებული დახმარება განვდება რუსეთის ტრამალებს... უახლესი ათწლეული სულიერი, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნიკური კრიზისებისა და კონფლიქტების პერიოდი იქნება, რომელიც რა თქმა უნდა გამოძახილს გარკვეულწილად ჩვენთანაც ჰპოვებს (თუმცა განსხვავებული მასშტებით).

საქართველო ოდითგან და დღესაც ევროპული ორიენტაციის ქვეყნად ითვლებოდა. მაგრამ ეს როდი გამორიცხავდა მისი დიპლომატიური არსენალის სიღარიბეს აღმოსავლური სამყაროსადმი. მეტიც, ჩვენს მოღვაწეებს ევროპის ქვეყნებიდან დახმარება უარყოფილებს აზია-აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან (აგრესორებთან თუ შედარებით ნეიტრალურებთან) პოლიტიკური ურთიერთობის გამჭრიახი, მოქნილი და ცხოვრებისეული მექანიზმი რომ არ შეემუშავებინა, საქმე ძალზედ ცუდად წაგვივიდოდა. აღნიშნული მექანიზმი პო-

ლიტიკურის გარდა მეცნიერულ, კულტურულ ასპექტებსაც ითვალისწინებდა, ხოლო საუკუნეობრივმა მჭიდრო კონტაქტებმა (ნებით თუ უნებლიეთ) გარკვეული ხასიათური მსგავსებებიც ჩამოვიყალიბა. ასე რომ, როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფო მშენებლობის ევროპულ მოდელზე, უნდა გავითვალისწინოთ აღმოსავლეთთან ჩვენი ტრადიციული ურთიერთობის შუქ-ჩრდილები, ცხოვრებისეული აუცილებლობა, აგრეთვე ისიც, რომ თითოეული ქართველის ბუნებაში ევროპულთან ერთად აღმოსავლურ წყობას საკმაოდ მყარად დაუდგამს ფეხი. მოდით, ამას ნურც უარვეყოფთ და ნურც გვერცხვინება, რადგან როდესაც ვამბობთ აზიური, აღმოსავლური, ვგულისხმობთ არა ველურ აზიურ ინსტინქტებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისლამურმა სამყარომ თავისი ენერგიით შესაძლო ახალ საერთაშორისო დაპირისპირებებს ჩაუყაროს საფუძველი, მით უფრო, როდესაც ევროპა თითქოს მოდუნებულია, ხოლო წარმატებებით გაღაღებულია შეერთებულმა შტატებმა შესაძლოა შეცდომები დაუშვას.

დიდი პერსპექტივები და აქედან გამომდინარე, მსოფლიო პოლიტიკურ სპექტრში ავტორიტეტის ამაღლება მოელის ატომურ, თითქმის მილიარდნახევრიან ჩინეთს.

ყოველივე აღნიშნულისა და აგრეთვე ჩვენი არაორდინალური გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა შევიმუშაოთ საგარეო დიპლომატიის კუთხით ისეთი ფორმა, რომელიც ასახავს ევროპის, აზია-აღმოსავლეთის და ჩვენს გარშემო მყოფი განსაკუთრებით არაერთმორწმუნე ქვეყნებთან კორექტული თანაბარუფლებიანობის პრინციპებს. უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია, ყველა სხვისგან განსხვავებით, ურთიერთკონტაქტის განსაკუთრებული ფორმის შემუშავება ჩვენსავით ისტორიულად მსგავს სომხეთთან.

ვფიქრობ, სულ მალე საქართველო უფრო მჭიდროდ უნდა დაუახლოვდეს (პოლიტიკური თვალსაზრისით) ისრაელს...

უახლოესი დღეებისა და წლების საერთაშორისო სახელმწიფოებრივ, ერთაშორის პრობლემად ისევ ეთნოკონფლიქტები იკვეთება. შესაძლოა მას ნაციონალი რეგიონალიზმის პრობლემაც დაუუკავშიროთ, რადგან ცოტა რთულია იმის ზღვრის გავლება თუ სად იწყება ერთი და მთავრდება მეორე. ყოფილი კავშირის სახელმწიფოებსა და იუგოსლავიას რომ თავი დავანებოთ, ანალოგიური სირთულეები სხვაგანაც გვხვდება აფრიკა, კანადა, ევროპა, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია (მაგალითად: მისი რეგიონი ალტო-ადიჯე, რომელიც ეკუთვნის იტალიას, მაგრამ სახლობენ ავსტრიელები, ან ტრიესტა, სადაც სახლობენ სლოვენები), ბელგია (დაპირისპირებები ვალონებსა და ფლამანდიელებს შორის, ბასკები), აფრიკისა და არაბეთის ქვეყნები. ერთი სიტყვით, ნაციონალ-რეგიონალიზმის სინდრომი „დადის“ მსოფლიოში. მაგრამ მოდით, ისევ ჩვენი ქვეყნის სატკივარს დავუბრუნდეთ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, 1921 წლიდან დღემდე (გასული პერიოდის უმძიმეს ტერიტორიულ დანაკარგებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) „საქართველომ დაკარგა საინგილო, ქვემო ყარაია, იორ-ალაზნის შესართავი, ახპატ-სანაინი, სოჭის მხარე, შავშეთი, კლარჯეთი, ჭანეთი“, – უმძიმესი მდგომარეობაა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. ასე თუ გასტანა ვერა-ვაკის ამარა დავრჩებით. საზღვრების გამაგრებისა და ქვეყნის შიგნით წესრიგისათვის ორგანიზებული, ჯანსაღი ჯარი გვჭირდება. ჩვენ, ქვეყნის ხელმძღვანელმა, პარლამენტმა, ხალხმა ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა გადაწყდეს არა დროებით მიჩუმათებით (თუმცა არ გამოვრიცხავ საბოლოო მიზნისათვის გარკვეულ ტაქტიკურ ზიგ-ზაგებს) არა-

მედ სამუდამოდ, რათა ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს მაინც არ მოუწიოს ჩვენი გასაკეთებელი სათვის თავიანთი სისხლის ღვრა.

იმედის მომცემად სჩანს ყოველივე ზემოთქმულიდან დაკავშირებით სახელმწიფო მეთაურის პოლიტიკური ნაბიჯები, მაგრამ მას მხარში მდგომელებიც (და არა მეხოტბენი) სჭირდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიმეცნოთ და ჩავიბეჭდოთ, რომ ერს არც კერპი, არც მეფე, არც მესია არ სჭირდება. დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისას ერს სჭირდება ლიდერი, მაგრამ ნუ ავკიდებთ ყველა ჩვენგანის გასაკეთებელს მას, რადგან ეს მარცხის გარდა არაფერს მოიტანს.

როგორც ღმერთი უნდა ჰპოვო კაცმა შენს თავში, ისე უნდა აღმოვაჩინოთ ჩვენს თავში ჩვენი წილი ფუნქცია და გასაკეთებელი ამ ქვეყნად და უპრეტენზიო შრომით ვზიდოთ საერთო ჭაპანი, რადგან – „არაფერია ფუფუნებაზე უფრო მონური და შრომაზე უფრო მეფური“... (ალექსანდრე ბაკედონელი).

„ძარი ძრის და აზრა აზლით, ვარ ხომალდი ზღვას შერთული“...

თანამემამულენო! კარზე მოგვიკაკუნა ჩვენი სამშობლოს ნანატრ სინათლეში გასვლის ჟამმა, რისთვისაც ამდენი სისხლი და ცრემლი დაღვრილა. საქართველო მესახება იმ ტალღებშეჭიდებულ ხომალდად, რომელიც სადაცაა ნავსაყუდელს უნდა მიადგეს. ნუ ჩავძირავთ მას ნავსაყუდელში შესვლამდე...

1993 წ. მარტი.

საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქს,
უწმიდესსა
და
უნეტარესს
ილია II-ს

უწმიდესო და უნეტარესო,
უდიდესი მოწინებით მოგმართავთ ქრისტიანული მადლიერების გამოსახატავად იმ ღვანლისათვის, რაც თქვენ, საქართველოს სულიერ მამას, მიგიძღვით ჩვენი ერის სულიერი, ზნეობრივი ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

დღეს, XXI საუკუნის მიჯნაზე, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს განახლების და, ამავე დროს, რთული პროცესები, როდესაც მივალწიეთ სანუკვარ თავისუფლებას და ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, ურთულესი პრობლემების გადალახვისას თვალწინ ჩვენი წარსული გვიცოცხლდება.

ქართველი ხალხის ისტორია სამშობლოს თავგანწირული სიყვარულის ისტორიაა, რომელსაც ქრისტიანული რწმენა ასაზრდოებდა და აძლიერებდა.

დღესაც, საქართველოს ეროვნული ნიადაგის სიმყარეს და მის სულიერ აღზევებას ეკლესიის სიმტკიცე განაპირობებს. ქრისტიანული სარწმუნოება ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყა-

ლიბების, მისი ისტორიული ბედ-იღბლის განმსაზღვრელი ფაქტორია.

ამ ხუთიოდე წლის წინათ, როცა დავიწყეთ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის პრობლემების შესწავლა-გადანყვეტა, უმთავრეს ორიენტირად მივიჩნიეთ ეკლესიასთან თანამშრომლობა, რადგან თავისთავად არაფერს ნიშნავს მატერიალური სიკეთე, თუ ის სულიერებით არ არის ნიშანდებული.

დღეს, ალბათ საჭიროა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, თუ როგორ ეფინებოდა სრულიად საქართველოს სამცხე-ჯავახეთის ქრისტიანულ სავესტებში ანთებული სულიერების ჩირაღდნები, რომლებიც ქმნიდნენ წინაპირობებს გრიგოლ ხანძთელის ეპოქისა თუ შალვა და ივანე ახალციხელების საბრძოლო შემართებისათვის, ბექა და ბეშქენ ოპიზარების ხელოვნებისა თუ რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისათვის“...

და რა გასაკვირია, სამცხე-ჯავახეთში, საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, ასე ძალუმად, ხელშესახებად რომ იგრძნობა ისტორიის სუნთქვა.

მაგრამ არა მარტო ბრწყინვალე წარსულისათვის, დღევანდელი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, ამ ძირძველი კუთხის აღორძინება სრულიად საქართველოს, ყოველთა ქართველთა ვალაია.

ხუთი წლის წინათ დაიწყო სპეციალური პროგრამების რეალიზაცია, რომელთა განხორციელებამ ბევრ სასიკეთო პროცესს დაუდო სათავე. სხვადასხვა ეროვნული და კონფესიური ჯგუფებით დასახლებული რეგიონისათვის ყველაზე დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს პოლიტიკური სტაბილურობა, რამაც შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

კომუნიტური რეჟიმის გამიზნული პოლიტიკით საერთო-ეროვნულ სივრცეს მოწ-

ყვეტილ მხარეში აღდგა ეროვნული სიმბო-
ლიკა, ქართულმა ჯარმა დაიკავა სახელმნი-
ფო საზღვარი.

მწყობრში შევიდა 132 ახალი ობიექტი:
სკოლები, ხიდები, გზები, მინი ჰიდროელექ-
ტროსადგურები, წყალსადენები...

მხარეს დაუბრუნდა ისტორიული სატრან-
ზიტო ფუნქცია, კერძოდ: ფუნქციონირებს სა-
ბაჟო-გამშვები პუნქტები სომხეთთან, თურ-
ქეთთან. დაიწყო სამუშაოები თურქეთთან მე-
ორე საბაჟო პუნქტის (ახალქალაქ-კარნახი)
გახსნისათვის. მხარეზე გაივლის ბაქო-თბი-
ლისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, პერსპექტივა-
შია ტრანსკასპიური გაზსადენის გაყვანაც,
გამოცხადებულია ტენდერი ყარსი-ახალქა-
ლაქის რკინიგზის მშენებლობისათვის.....

ყოველივე ეს კი უნდა განხორციელდეს
ჩვენს მხარეში საეკლესიო ცხოვრების აღორ-
ძინების პარალელურად.

უნმიდესო და უნეტარესო,

თქვენი მოღვაწეობა უდიდეს როლს თამა-
შობს სამცხე-ჯავახეთის საეკლესიო ცხოვრე-
ბის აღმავლობაში. თქვენი აღსაყდრების 20
წლისთავისადმი მიძღვნილი მასშტაბური ლო-
ნისძიებები, რომლებიც მხარეში ჩატარდა,
ცხადყოფს მხარის მოსახლეობის უდიდეს სიყ-
ვარულსა და პატივისცემას თქვენდამი.

არ არის შემთხვევითი, რომ თქვენი ხელ-
დასხმული ეპისკოპოსები თეოდორე და სერა-
ფიმე, ისევე, როგორც მეუფე თეოდორეს წინა-
მორბედი მეუფე ნიკოლოზი, სამცხე-ჯავახე-
თის მოსახლეობაში დიდი სიყვარულითა და ავ-
ტორიტეტით სარგებლობენ.

საერო და საეკლესიო ხელისუფლების
მჭიდრო კონტაქტებმა შესაძლებელი გახადა
უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ ჩადებუ-
ლი ურწმუნოების სინდრომის დაძლევა. ხალ-

ხი, უმეტესად ახალგაზრდობა შემობრუნდა ეკლესიისაკენ.

მხარის მმართველობის ორგანოებს განსაკუთრებული მჭიდრო კავშირი აქვთ ახალციხისა და ბორჯომ-ახალქალაქის ეპარქიებთან.

ამ ურთიერთთანამშრომლობის შედეგად სამცხე-ჯავახეთში უკვე ფუნქციონირებს 22 ეკლესია. მხარის ადმინისტრაციის ძალისხმევით ეკლესიებს გამოეყო მიწები ადიგენის, ასპინძის, ნინოწმინდის რაიონებში, ხოლო ახალციხის რაიონში მინაძის მეურნეობა მთლიანად გადაეცა ეპარქიას (573,67 ჰა). ეპარქიები მარაგდებიან კვების პროდუქტებით, საწვავით. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფოკის დედათა და მამათა მონასტრებს, აგრეთვე ახალქალაქში გახსნილ ბორჯომ-ახალქალაქის ეპარქიის რეზიდენციას.

გვახარებს ისიც, რომ თქვენს რეზიდენციას აბასთუმნის ისტორიული სასახლეც გადაეცა, მიმდინარეობს რესტავრაცია საფარის ტერიტორიაზეც.

შესაძლებლობის ფარგლებში სხვადასხვა კუთხით ვეხმარებით თბილისის ეკლესია-ტაძრებს, სასულიერო აკადემიას, სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას.

მხარეში არნახული ტემპით მიმდინარეობს საეკლესიო მშენებლობანი. ბოლო ორი წლის განმავლობაში აშენდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ადიგენის რაიონის სოფელ ბოლაჯურში, წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია ბორჯომში, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისში, წმ. სამების სახელობის ეკლესია ახალციხის რაიონის სოფელ მუსხში და ევსტათი მცხეთელის სახელობის ეკლესია სოფელ ვალეში. ამოქმედდა ადიგენის რაიონის სოფელ ჭულე-

ვის ტაძარი. მოიხატა სოფელ საყუნეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, მიმდინარეობს ქ. ახალციხის წმ. მარინეს სახელობის ეკლესიის მოხატვა. ახალი ეკლესიების მშენებლობები მიმდინარეობს ამავე რაიონის სოფლებში — ზიკილიასა და კლდეში.

ზედა ვარძიაში მიმდინარეობს სარემონტო კომპლექსის მშენებლობა.

დამთავრდა შორეთის მონასტრის რესტავრაციის I ეტაპი: გაინმინდა მონასტრის პირველი სართული, რომელიც მთლიანად მიწაში იყო ჩამარხული.

ვმუშაობთ კუმურდოს ეკლესიის (ახალქალაქის რაიონი) რესტავრაციის პროექტზე...

ქალაქ ახალციხეში განახლდება მაცხოვრის ამალლების სახელობის ეკლესიის მშენებლობა. აღნიშნული ეკლესია საქველმოქმედო თანხებით აშენდება.

სამცხე-ჯავახეთში აღორძინებული საერო და საეკლესიო ცხოვრების გვირგვინად იქცა გასულ წელს წმინდანი მეფეთა-მეფის თამარის ძეგლის დადგმა ქ. ახალციხეში. ეს ზეიმი სრულიად საქართველომ აღნიშნა. ძეგლის გახსნის დროსაც აღვნიშნე და ახლაც მინდა გავიმეორო — თქვენმა სტუმრობამ და ღოცვა-კურთხევამ განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა მისცა ამ ზეიმს.

ასევე ზეიმად იქცა ახალციხეში, უნივერსიტეტის ეზოში, ისევ და ისევ შემოწირულობების მეშვეობით წმ. გრიგოლ ხანძთელის ძეგლის აღმართვა.

მინდა ყურადღება გავამახვილო სასწაველო საგნის „რელიგიისა და კულტურის“ სწავლებაზე. მხარეში 260 სკოლაა. ქართულ ენაზე სწავლება მიმდინარეობს 141 სკოლაში, სომხურ ენაზე — 107, რუსულ ენაზე — 12 სკოლაში. საქართველოს განათლების სამი-

ნისტროს კოლეგიის 1993 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებისა და განათლების მინისტრის 1994 წლის 16 მაისის ბრძანების თანახმად, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემოღებულია ახალი საგნის — „რელიგიისა და კულტურის“ სწავლება. დღეისათვის 63 სკოლაში ისწავლება აღნიშნული საგანი. საგნის მასწავლებლებმა გაიარეს საქართველოს კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტის კურსები. საგნის მასწავლებელთაგან 11 სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულია, რომლებიც ამავე დროს, სასულიერო პირებიც არიან. „რელიგიისა და კულტურის“ სწავლება მიმდინარეობს III, IV, V, VI და VII კლასებში. აღნიშნულ კლასებში კვირაში თითო საათი გამოყოფილია საგნის სწავლებისათვის სასწავლო გეგმის ვარიანტული ბლოკიდან. საგნის სწავლებამ სასურველი შედეგი გამოიღო. მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ ყველა სკოლაში ისწავლებოდეს ზემოთ აღნიშნული საგანი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად ჩვენს მხარეში იწყება წმ. ნინოს ნაკვალევზე მომლოცველთა სვლა სოფელ ფოკიდან (ნინოწმინდის რაიონი). ისინი 25 დღის განმავლობაში მოგზაურობენ მხარეში და თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში შედიან. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა მიმდინარე წლის მომლოცველთა სვლა, რადგან იგი ეძღვნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000, ქრისტიანობის 2000, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 1700 და საქართველოს ავტოკეფალიის 1500 წლისთავს. მიმდინარე წლის 17 ივნისს ქ. ახალციხეში, ისტორიულ გზაჯვარედინზე ერთმანეთს შეხვდნენ ფოკიდან ნინოს ნაკვალევზე წამო-

სულ მომლოცველთა და წმ. ანდრია პირველ-
წოდებულის ნაკვალევზე სოფელ გონიოდან
(აჭარის ა.რ.) წამოსული მომლოცველთა ჯგუ-
ფი. 17-20 ივნისს ახალციხე იყო მათი მასპინძე-
ლი და მრავალი რელიგიური საზეიმო რიტუა-
ლის ცენტრი. საქართველოს კამერული მუსი-
კის ორკესტრმა მრევლისთვის გამართა კონ-
ცერტი, კინომსახიობთა თეატრის მსახიობებ-
მა კი მაყურებელს წარუდგინეს ლიტერატუ-
რული კომპოზიცია წმ. ნინოს ცხოვრებიდან,
მესხეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატ-
რმა დადგა სპექტაკლი „წამებაი დედოფლი-
საი“. ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა დანიელ-
მა, შემოქმედელმა ეპისკოპოსმა იოსებმა,
ბოდბელმა ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა, ახალცი-
ხელმა ეპისკოპოსმა თეოდორემ წმ. მარინეს
სახელობის ეკლესიაში აღავლინეს საზეიმო
წირვა-ლოცვა...

ზემოთ აღვნიშნე და კიდევ ერთხელ მინდა
შევეხო სხვადასხვა კონფესიურ ჯგუფებთან
ურთიერთობის საკითხებს.

მხარეში მართლმადიდებელ ქრისტიანებ-
თან ერთად ცხოვრობენ რუსი „დუხაბორები“,
კათოლიკე სომხები და ქართველები, გრიგო-
რიანელი სომხები, იუდეველი ებრაელები.
ჩვენ ამ უაღრესად რთულ, სათუთ თემას მაქ-
სიმალური ტაქტიკითა და სიფრთხილით ვუდგე-
ბით. ამავე დროს, ყველა ოფიციალურ შეკრე-
ბასა თუ ღონისძიებაზე, მოსახლეობასთან
შეხვედრაზე, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ
ქართული სახელმწიფოებრიობის ხერხემალი
იყო, არის და იქნება მართლმადიდებლობა!

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვერევიტ
საეკლესიო საკითხებში, პრაქტიკულად, სარ-
წმუნოების თემაზე არსებულ ყველა საკითხს
ეპარქიები ჩვენთან მჭიდრო თანამშრომლო-
ბით იხილავენ. ვფიქრობთ, ერთობლივი ძა-

ლისხმევით ზარზმის პრობლემასაც მშვიდობიანად გადაწყვეტთ.

ნლების განმავლობაში რელიგიური აზროვნების გაუცხოებამ, ქვეყანაში არსებულმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ფონმა აქტიური ასპარეზი მისცა სექტების მომრავლებას, რომელთა ცენტრები უცხო ქვეყნებშია განლაგებული, ისინი აქტიურად ქადაგებენ და ავრცელებენ თავიანთ იდეებს, რასაც ალბათ სხვა ძალებიც უწყობენ ხელს.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ სექტანტიზმი მხოლოდ ეკლესიის პრობლემაა. როცა სექტები ანტიეროვნულ მოძღვრებას ავრცელებენ, მოუწოდებენ ადამიანებს უარი თქვან სამხედრო-სავალდებულო სამსახურზე, არჩევნებში მონაწილეობაზე, საფრთხეს უქმნიან ადამიანთა ჯანმრთელობას (სისხლის გადასხმაზე უარის თქმა), უკვე საფრთხე სახელმწიფოებრიობას ექმნება, იმ სახელმწიფოებრიობას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ასაზრდოვა ჭეშმარიტმა სარწმუნოებამ — მართლმადიდებლობამ.

მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთში შედარებით ნაკლებად არიან სექტანტები, არ არის გამორიცხული, რომ ამ მოძრაობამ უფრო საშიში მიმართულება სწორედ აქ მიიღოს.

ვფიქრობ, სახელმწიფომ უნდა შექმნას უფრო ქმედითი სამართლებრივი საფუძვლები მათთან მიმართებაში, თუნდაც ეს ზოგიერთებმა ადამიანთა უფლებების დარღვევად მიიჩნიონ.

ამ და სხვა პრობლემების გადაჭრის რეალურ გზად მესახება საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონკორდატის დადება. კონკორდატმა უნდა აღიაროს სამო-

ციქულო ეკლესიის პრიორიტეტი საქართველოს ტერიტორიაზე და განსაზღვროს მისი, როგორც უზენაესი მსაჯულის როლი. სამოციქულო ეკლესიის ადგილის განსაზღვრა ხელს შეუწყობს ერის გამთლიანებასა და ზნეობრივ გაჯანსაღებას, აგრეთვე საქართველოში არსებული კონფესიების თავისუფალ და მშვიდობიან თანაცხოვრებასაც.

ჩვენი ქვეყნის გადარჩენის თავი და თავი მართლმადიდებლობაზე დაფუძნებული ერთიანი ეროვნული ცნობიერება იყო ყოველთვის და ამ ცნობიერების შენარჩუნება-განმტკიცება საერო და სასულიერო ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა.

უნმიდესო და უნეტარესო,

სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე მოვლენების თქვენთვის გაცნობის სურვილი განაპირობა იმ დიდმა ყურადღებამ და თანადგომამ, რასაც ჩვენი მხარისადმი იჩენთ.

გამოვითხოვთ თქვენს ლოცვა-კურთხევას.

უღრმესი პატივისცემით

გიგლა ბარამიძე

2000 წ. ოქტომბერი

თაღგმანი

ერთი იმ ნიგნთაგანი, რომლის ამეც-
ყველებაც ქართულ ენაზე აუცილებლად
ესახება ყოველ ნიგნიერ ქართველს, უდა-
ვოდ არის იოჰან პეტერ ეკერმანის მემუა-
რულ-დოკუმენტური თხზულებაც "საუბ-
რები გოეთესთან". კრებულის ავტორი
თავის დროზე აღტაცებული იყო ამ
თხზულებით და ლამის ზეპირად წარმოთ-
ქვამდა მთელს პასაუებს გერმანულ ენა-
ზე. მაშინ დაიბადა იდეა, ხელი მოეკიდა ამ
რთული და მეტად საპატიო საქმისათვის
— ჩვენს მშობლიურ ენაზე გადმოეტანა
გოეთეს საუბრების თითქმის სტენოგრა-
ფიული ჩანაწერები.

იდეა იდეად დარჩება, მხოლოდ ამ ერ-
თი ფრაგმენტის გადმოღება მოხერხდება,
რადგანაც მთარგმნელს ხელს შეუშლის
სხვა საქმიანობაში ჩაბმა. ამის მიუხედა-
ვად, დასაწანი იქნებოდა, რომ ამ ნაწყვე-
ტის თარგმანი თბილისის უნივერსიტე-
ტის გაზეთის ფურცლებზე ჩარჩენილიყო.
ამ კრებულისათვის ის ხელახლა შეუდარ-
და ორიგინალს და ჩასწორდა.

იქნებ განმეორებითმა პუბლიკაციამ
შეაგულიანოს მთარგმნელი, საქმიანობა
ამ მიმართულებითაც გააგრძელოს.

იოჰან პეტერ ეკერმანი

საუბარი გოეთესთან

ზღვა ლიტერატურა არსებობს გოეთეს, როგორც მწერლის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, პიროვნების შესახებ, მაგრამ იოჰან პეტერ ეკერმანის წიგნი — „საუბრები გოეთესთან მისი სიცოცხლის ბოლო წლებში“ — მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნის გარეშე კაცობრიობა ჯეროვნად ვერ გაითავისებდა ვაიმარელ ბრძენკაცს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველი გამოქვეყნებისას „საუბრების“ ორი ტომი საზოგადოებამ არცთუ ხალისით მიიღო, ხოლო როცა 1849 წელს ვაიმარში ოფიციალურად აღნიშნეს გოეთეს დაბადების ასი წლისთავი, არავის გახსენებია სადღესასწაულო ზეიმზე დიდიპოეტის ერთგული თანაშემწისა და მეგობრის მინვევა... ყველასაგან მივიწყებული ეკერმანი 1854 წელს გარდაიცვალა...

„ეკერმანი რომ არა, ჩემს ფაუსტს ვერასოდეს დავამთავრებდიო“, — წერდა ერთგან მადლიერი გოეთე. მართლაცდა ის, რომ გოე-

თეს ბევრი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ნაშრომ-ნააზრევი ჩანერილი და ჩვენთვის მისანდომია, სწორედ ეკერმანის დამსახურებაა. უფრო მეტიც, გოეთეს ზოგიერთი ნაწარმოების შექმნას ეკერმანთან საუბრებმა შეუწყობ ხელი.

„საუბრებში“ ეკერმანის ნიჭი მარტო იმითაც ჩანს, თუ როგორ დეტალურად და შეუცდომლად აქვს გოეთეს საუბრები გააზრებული და გადმოცემული. ეკერმანის გონებამახვილ ლიტერატურულ ანალიზს, დაკვირვებებსა და მეცნიერულ ალღოს თვით გოეთე მოჰყავდა აღტაცებაში.

ამ ნიგნით მკითხველი ეცნობა გოეთეს, როგორც მწერალს, მეცნიერს, ხელოვნებათმცოდნეს, ლიტერატურისმცოდნეს.

მკითხველს საშუალება აქვს დაინახოს, გაიცნოს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ევროპის კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრება ეპოქის გამოჩენილ ადამიანთა (გოეთე, შილერი, შელინგი, ჰუმბოლდტი, ნაპოლეონი) თვალით.

წიგნი „საუბრები გოეთესთან“ მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. წიგნიდან მკითხველს ვთაუვობთ იმ ნაწყვეტებს, სადაც გოეთე მსჯელობს ბაირონის პიროვნებასა და შემოქმედებაზე.

მთარგმნელი

კვირა, 19 ოქტომბერი, 1823 წ.

დღეს პირველად ვისადილე გოეთესთან. მის გარდა მაგიდას უსხდნენ ქალბატონი ფონ გოეთე, ფროილან ულრიკე და პატარა ვალტერი, ასე რომ თავს ლალად ვგრძნობდით... გოეთე შესანიშნავად ფლობდა ოჯახის მამის როლს, გვიმასპინძლდებოდა კერძებით, არაჩვეულებრივი სიმარჯვით დაჭრა შემწვარი ქათამი. თან შიგადაშიგ ჭიქებსაც გვივსებდა სასმელით. ჩვენ მხიარულად ვმასლაობდით თეატრზე, ახალგაზრდა ინგლისელებზე და ბოლო დროის სხვა ამბებზე. შემდეგ საუბარი ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ ჩემთვის საჭიროა ინგლისურის სრულყოფა. განსაკუთრებით გოეთე მირჩევდა, ენა უნდა ისწავლოთ, თუნდაც ლორდ ბაირონის გამო, ეგეთი მნიშვნელოვანი პიროვნება ხომ ჯერ არ შეგვხვედრია და ალბათ არც შეგვხვდება.

სამშაბათი, 18 იანვარი, 1825 წ.

— სამყარო მუდამ უცვლელია, — შენიშნა გოეთემ. — მოვლენები მეორდება. ერთი ერი ცხოვრობს, უყვარს და გრძნობს ისევე, როგორც მეორე. მაშ რატომ არ უნდა წერდეს ერთი პოეტი ისე, როგორც მეორე? ცხოვრების სიტუაციები ძალზე ჩამოჰგავს ერთმანეთს: მაშ, რად არ შეიძლება, რომ ლექსთა სიტუაციებიც ერთმანეთს გავდნენ?

— მე მუდამ მიკვირს იმ სწავლულებისა, — ჩავერიე, — რომელთაც მიაჩნიათ, რომ ხელოვნების გზა მიემართება არა ცხოვრებიდან პოეზიისაკენ, არამედ წიგნიდან პოეზიისაკენ და მიწყობილას ამტკიცებენ, მწერალმა ეს აქედან აიღო და ეს იქიდანო. შექსპირთანაც კი თუ აღმოაჩენენ ისეთ მოტივებს, რომლებიც უკვე შეგვხვედრია ძველ წყაროებში, მიიჩნევენ, რომ ისინი შექსპირს ანტიკური ლიტერატურიდან უსესხებია. მაგალითად: შექსპირთან არის ერთი ადგილი, სადაც ლამაზი ქალის შემყურენი, ბედნიერად თვლიან მის მშობ-

ლებს და შენატრიან იმ ვაჟს, ვინც მას ცოლად შეირთავს. ხოლო ვინაიდან ჰომეროსთანაც გვხვდება მსგავსი სიტუაცია, სასწრაფოდ დაასკენიან, შექსპირი ჰომეროსს დაესესხაო. საოცარი არ არის? ამ მიგნებისათვის შორს ვინ წავა, როცა მსგავსი რამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება, მას ვგრძნობთ და თვითონ გამოვხატავთ.

— დიახ, — დამეთანხმა გოეთე, — ეს მართლაცდა ძალზედ სასაცილოა. სანყენია, რომ თვით ლორდ ბაირონიც ვერ იქცევა მთლად ჭკვიანურად, როცა თქვენს „ფაუსტს“ აქუცმაცებს და იმ აზრისაა, თითქოს ეს აქედან გქონდეთ ამოღებული, ის კი — იქიდანო.

— უნდა ვაღიარო, — მიპასუხა გოეთემ, — რომ ამ ბრწყინვალე ნაწარმოებების უმეტესობა, რომელთაც ბაირონი ასახელებს, არც კი წამიკითხავს, და მით უმეტეს, მათზე არც კი მიფიქრია „ფაუსტის“ წერისას, მაგრამ ლორდ ბაირონი დიდია მხოლოდ პოეზიაში და ბავშვია ანალიზისას. იგი ვერას გახდა საკუთარი ერის ასეთივე უგუნურ თავდასხმებთან; აჯობებდა ერთი გემოზე შეეხურებინა ისინი. უნდა ეთქვა, რაც დავწერე — ჩემია, რა მნიშვნელობა აქვს, წიგნიდან ავიღე თუ ცხოვრებიდან, რაც მთავარია, კარგად დავწერეო. უოლტერ სკოტმა ჩემი „ეგმონტიდან“ ერთი სცენა აიღო, რისი სრული უფლებაც მას ჰქონდა და რადგან გონივრულად გამოიყენა, მხოლოდ და მხოლოდ ქების ღირსია. მან თავის ერთ რომანში თითქმის გაიმეორა ჩემი მინიონის ხასიათი, მაგრამ რამდენად კარგად გამოუვიდა, ეს უკვე სხვა საკითხია.

ლორდ ბაირონის „მაქცია“ განგრძობილი მეფისტოფელია და ეს მშვენიერია! საკმარისია, იგი ორიგინალობის გამო დასცილებოდა თავის პროტოტიპს, ბევრად უარესი გამოვიდოდა. ჩემი მეფისტოფელი მღერის შექსპირის ერთ სიმღერას, განა რით არის ეს ცუდი?! რაღას მეჭყლიტა ტვინი ახლის ძიებაში, როცა შექსპირისეული ლექსი სა-

უცხოო და ზუსტი გამოხატულება იყო იმისა, რისი თქმაც მე მსურდა. თუ ჩემი „ფაუსტის“ ექსპოზიციაში არის რაღაც საერთო იობის წიგნთან, არც ეს არის დასაძრახი, ამისათვის გაკილვის ნაცვლად უნდა შემაქონ.

ხუთშაბათი, 24 თებერვალი, 1825 წ.

ჩვენ კვლავ განვაგრძეთ მასლაათი ლორდ ბაირონზე და მე აღვნიშნე, რომ ბაირონმა მედვინთან საუბრებში ასეთი რამ თქვა — თეატრისათვის წერა მეტად რთული და უმადური საქმეაო.

„ეს იმაზეა დამოკიდებული, — თქვა გოეთემ, — შეძლებს თუ არა მწერალი მიაგნოს იმ გზას, რომელსაც იგი მაყურებლის გემოვნებისა და ინტერესებისაკენ მიჰყავს. თუ ტალანტის მიმართულება მაყურებლისას ემთხვევა, მაშინ ყველაფერი კარგადაა. ჰოვალდმა იპოვა ეს გზა თავის „პორტრეტში“. ამიტომაც ხვდა წილად საყოველთაო აღიარება... ლორდ ბაირონს არ გაუმართლა იმდენად, რამდენადაც მისი გემოვნება არ ემთხვევა მაყურებლის გემოვნებას. ამ შემთხვევაში ნაკლებ მნიშვნელოვანია, მართლაც დიდია პოეტი თუ არა. წარმატება ხშირ შემთხვევაში იმის მხარეზეა, ვისი პიროვნებაც ნაკლებად მაღლდება საერთო დონეზე... ჩვენ განვაგრძობდით ბაირონზე საუბარს და გოეთე აღტაცებული იყო მისი განსაკუთრებული ტალანტით. — „მსოფლიოში არ მეგულება არც ერთი ადამიანი, — დასძინა გოეთემ, — ვისაც ბაირონივით უხვად ჰქონდა იმის უნარი, რასაც მე აღმოჩენას (განჭვრეტას) ვუწოდებ. მისეული დრამატული კვანძის გახსნა ყველა მოლოდინს აჭარბებს და ყოველთვის იმაზე უკეთესია, ვიდრე კაცმა შეიძლება წარმოიდგინოს.

მას თვით საკუთარი თავისაც არ ესმოდა. ვნებებს აყოლილი ატარებდა დროს, არ იცოდა და არ უფიქრდებოდა, რასაც აკეთებდა. რასაც მოისურვებდა, თავს ყველაფრის უფლებას აძლევდა, სხვებს კი არაფერს აპატიებდა. ამიტომ თვით იყო

თავისი აშლილი ცხოვრების მიზეზი და ამავე დროს მთელ სამყაროს იჯანყებდა. სატირით — „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები!“ — სასტიკად შეურაცხყო იმდროინდელი ყველაზე გამოჩენილი ლიტერატორები, მერე კი, როცა გაუჭირდა, უკან დახევა ამჯობინა, თუმცა შემდგომ ნაწარმოებებში ისევ დაადგა მძაფრი კრიტიკის გზას და არ დაინდო არც სახელმწიფო, არც ეკლესია. ამ უშელავათო პოზიციის გამო იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ინგლისი და მალე ევროპასაც გამომშვიდობებოდა. ყველგან სული ეხუთებოდა, უსაზღვრო პირადი თავისუფლების დროსაც კი თავს დათრგუნულად გრძნობდა; სამყარო მისთვის ციხედ ქცეულიყო. ბაირონი საბერძნეთში საკუთარი სურვილით არ წასულა, მას სამყაროსთან უთანხმოებამ უბიძგა ამისაკენ.

ეს შესანიშნავი ადამიანი დალუპა არამარტო ტრადიციებისა და პატრიოტიზმის უარყოფამ, არამედ მისმა მემამბოხე სულმა და დღემუდამ აღზნებულმა გონებამ, რამაც მისი დიდი ტალანტის ჯეროვანი განვითარებაც შეაფერხა. გარდა ამისა, მუდმივმა ოპოზიციამ და ქირდვამ დიდი ვნება მოუტანა მის მშვენიერ ნაწარმოებებს და არა იმიტომ, რომ იგი ყველა მწვავე და მტკივნეულ განცდას მკითხველს უზიარებდა, არამედ იმიტომ, რომ გაუთავებელი უკმაყოფილება უარყოფას ბადებს; უარყოფას კი არაფრისაკენ მიყვავართ. თუკი ცუდს ცუდი ვუნოდებთ, ამით ვერაფერს მოვიგებთ. კარგს რომ ცუდი ვუნოდოთ, ეგ კი ნამდვილი დანაშაულია. სწორედ იქცევა ის, ვინც დღენი-ადაგ სხვისი კილვის ნაცვლად, კეთილ საქმეებს სჩადის, დანგრევა ადვილია, საქმე ის არის, აშენო ისე, რომ კაცობრიობას სიხარული მოუტანო. — მე სულგანაბული ვუსმენდი გოეთეს სიტყვებს და ვხარობდი ამ სიბრძნის გამგონე.

გოეთემ გააგრძელა: — ლორდ ბაირონზე უნდა იმსჯელო, როგორც ადამიანზე, როგორც ინგლისელზე, როგორც უდიდეს ტალანტზე. პოეტის კარ-

გი თვისებები მისი ადამიანობის დამსახურებაა, ცუდი — იმის შედეგია, რომ ინგლისელი იყო და ინგლისის პერი. მისი ნიჭის საზომი კი არ არსებობს.

ინგლისელებს საერთოდ არ გააჩნიათ თვითანალიზის უნარი. გაფანტული ცხოვრება და პარტიული სული მათ წყნარი განვითარებისა და სრულყოფის საშუალებას არ აძლევთ. სამაგიეროდ — უბადლო პრაქტიკოსები არიან.

ასე რომ, არც ლორდ ბაირონს შეეძლო თავისი საქციელის ანალიზამდე მისულიყო. ამიტომაც მისი რეფლექსიები დიდი ვერაფერი შვილია, აი, თუნდაც ეს გამონათქვამი: „ბევრი ფული და არავითარი ძალაუფლება“.

მაგრამ, სამაგიეროდ, რასაც კი ჰქმნიდა, ყველაფერი გამოსდიოდა და თამამად შეიძლება ითქვას, შთაგონებას მასში რეფლექსიების ადგილი ეკავა. პოეტურ სულს მისთვის არასოდეს უღალატნია და განუმეორებელი იყო ყველაფერი, რაც მისგან, განსაკუთრებით კი, რაც მისი გულიდან მოდიოდა. მისი ნაწარმოებები იბადებოდნენ ისე, როგორც ქალები ბადებენ ხოლმე მშვენიერ შვილებს — უფიქრებლად და შეუცნობლად.

ბაირონი უდიდესი ტალანტია, დაბადებით ტალანტი, საკუთარივე პოეზიის ძალა ბაირონზე ძალუმად ვერავინ მაგრძნობინა. გარე სამყაროს აღქმითა თუ განვლილ მოვლენათა უბინო განჭვრეტით ის შექსპირს უტოლდება, მაგრამ შექსპირი უფრო დიდია როგორც პიროვნება. ბაირონი, რა თქმა უნდა, გრძნობს ამას, ამიტომაც ცოტას ლაპარაკობს შექსპირზე, თუმცა მისი შემოქმედებიდან მთელი მონაკვეთები იცის ზეპირად. იგი შექსპირს სიამოვნებით უარჰყოფდა, რადგან შექსპირისეული ცხოვრების ხალისი გზას უღობავს, მაგრამ იმასაც გრძნობს, რომ არ ძალუძს ამ ცხოვრების ძალას დაუპირისპირდეს. პოპეს (გერმანულად — Pope A.) — ინგლისელი პოეტი (1688-1744 წწ.)// არ ჰკიცხავს, რადგან საშიშად

არ მიაჩნია, პირიქით, ხშირად ახსენებს და აქებს კიდეც, კარგად იცის, რომ პოპე მის წინაშე აღმართული ერთი თხელი კედელია.

გოეთეს დაუსრულებლად შექმლო ბაირონზე საუბარი და მეც ვერ ვძლებოდი მისი სმენით. ხანმოკლე გადახვევის მერე, იგი კვლავ ბაირონს დაუბრუნდა: — ინგლისის პერის მაღალი მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებდა ბაირონზე. გარე სამყარო ყველა ტალანტზე დამთრგუნველად მოქმედებს, მეტადრე ისეთი წარმომავლობისა და სიმდიდრის პატრონს ავიწროებს, როგორიც ბაირონი იყო. ტალანტისათვის საშუალო მდგომარეობა ბევრად უფრო მოსახერხებელია, ალბათ, ამიტომაცაა, რომ ყველა დიდი ხელოვანი და პოეტი საშუალო ფენიდანაა. ბაირონი უფრო დაბალი წარმოშობისა და შედარებით ხელმოკლე ოჯახიდან რომ ყოფილიყო, არც მისი უსაზღვრო ლტოლვა იქნებოდა ესოდენ საშიში. ძალუძდა რა განეხორციელებინა ნებისმიერი თავისი სწრაფვა, იგი მუდამ უსიამოვნო ამბებში ეხვეოდა. ბუნებრივია, რომ ამგვარი წარმოშობის კაცს ვერ მოხიბლავდა სხვათა დიდკაცობა.

ბაირონი ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა, ეს კი ხდებოდა კაცობრიობასთან მისი გაუთავებელი კონფლიქტის მიზეზი.

— განა შეიძლება არ გაგიკვირდეს, — აგრძელებდა გოეთე, — რომ ამ მდიდარმა და კეთილშობილმა ინგლისელმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მოტაცებებსა და დუელებში გაატარა. ღორდ ბაირონი თვითონ ყვება, რომ მამამისმა სამი ქალი მოიტაცა, მაშინ, შენ მაინც მოუხმე ჭკუას! მუდამ თავის გუნებაზე მცხოვრები, იძულებული იყო, დუელისთვის ყოველთვის მზად ყოფილიყო.

სიმარტოვეს ვერ იტანდა, შეიძლება ამიტომაც ირჩევდა დაუდევრად საზოგადოებას. ერთ საღამოს, თავისი პატივცემული მეგობრებისათვის გენერალ მურის სიკვდილზე დაწერილი ლექ-

სიწაუკითხავს, მათ ამ ლექსის ვერაფერი გაუგიათ, ბაირონს არც სწყენია, ამდგარა და ლექსი ჯიბეში ჩაუკუჭია, როგორც პოეტი — ნამდვილი კრავი იყო, სხვა მის ადგილზე ერთ ამბავს ასტეხდა.

კვირა, 25 დეკემბერი, 1825 წ.

საუბარში კვლავ ბაირონს შევეხეთ, გოეთემ აღნიშნა, რომ ბაირონს აკლია შექსპირისეული გულწრფელი სილალე და რომ ხშირად მის მიერ ყველაფრის უარყოფა იწვევდა საზოგადოების წყრომას, რაც არცთუ უსაფუძვლო იყო.

მერე დასძინა: ბაირონს რომ მთელი თავისი ოპოზიციური გზნება მისთვის ჩვეული სიუხეშით პარლამენტში დაეხარჯა, მის პოეტურ დიდებას აღარაფერი შერყვნოდა. მაგრამ, რადგან პარლამენტში სიტყვით გამოსვლა არ მოუხდა, იძულებული იყო, მთელი ბოლმა, რაც თავის ერზე ჰქონდა, გულში ჩაეკლა. ამ ბოლმის მოშორების ერთადერთი გზა არსებობდა, კერძოდ, მისი პოეტურად გადამუშავება და ლექსად თქმა, ბაირონმაც ეს გზა აირჩია. ამიტომაც, ბაირონის „უარმყოფელ“ ნაწარმოებებს მე ვუნოდებდი „პარლამენტში წარმოუთქმელ სიტყვებს“ და ეს ყველაზე უპრიანი განსაზღვრება იქნებოდა.

ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 1826 წ.

გოეთე დღესაც აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ბაირონზე:

— ახლახან გადავიკითხე ბაირონის — „Deformed Transformed“ // „მაქცია“ ან „გარდასახული ჯოჯო“ //, — თქვა მან, — და უნდა ვაღიარო, რომ მართლაც უდიდესი ტალანტია. მისი ემპაქი ჩემი მეფისტოფელის პირმშოა, მაგრამ არამცდაარამც არ არის მიბაძვა, ის არის ახალი და ორიგინალური, მთელი ნაწარმოები კი საოცრად შეკრულია, გამიზნული და მახვილი. აქ ვერ ნახავთ სუსტ ან ცარიელ ადგილს, ნემსიც კი ვერსად

ჩავარდება, მთელი ნაწარმოები გონითა და მიგნებებითაა გაჟღენთილი. მისი იპოქონდრია და უარყოფა რომ არა, იგი შექსპირსა და ძველებს გაუცოდებოდა.

მე გავიკვირე.

— მენდეთ, — თქვა გოეთემ, — მე მის შესწავლას ხელმეორედ შევუდექი და სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები მის სიდიადეში.

ჩვენს ადრინდელ საუბარში გოეთემ აღნიშნა, ბაირონი მეტისმეტად ემპირიულიაო. მე მაინცდამაინც ვერ გავიგე, რას გულისხმობდა გოეთე, მაგრამ არაფერი მიკითხავს და გადავწყვიტე, ამ სიტყვებზე თვითონ მეფიქრა. მაგრამ არც ფიქრმა მომიტანა არაფერი, რა ჩარა მქონდა, უნდა მომეცადა, ვიდრე ჩემი აღმავალი კულტურა ან რაიმე ბედნიერი შემთხვევა არ ამომიხსნიდა ამ საიდუმლოს. მალე ასეთი შემთხვევაც მომეცა, ეს გახლდათ „მაკბეტის“ მშვენიერი დადგმა, რომელიც თეატრში ვნახე. მეორე დღეს ხელში ბაირონის თხზულებანი ავიღე, რათა მისი „ბეპო“ გადამეკითხა. „მაკბეტის“ შემდეგ ამ პოემამ ჩემზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა და რაც უფრო ვულრმავდებოდი, მით უფრო ნათელი ხდებოდა ჩემთვის გოეთეს სიტყვების აზრი.

„მაკბეტში“ თვით ტრაგედიის ამაღლებულმა სულმა შემძრა, მისმა გრანდიოზულობამ და სიძლიერემ. ასე მხოლოდ შექსპირი წერს. მე მივხვდი, რომ შექსპირს ყველასაგან განასხვავებს და დიდ მწერლად ხდის მისი თანდაყოლილი მაღალი და საოცრად ღრმა ნიჭის მქონე ბუნება. ის, რაც ამ პიესას გარე სამყარომ და გამოცდილებამ მისცა, პოეტურ სულს იყო დაქვემდებარებული და მხოლოდ ამ სულის მეტყველებას ემსახურებოდა, სრულად ბატონობდა დიდი პოეტი და ჩვენც ავყავდით თავისი შეხედულებების სიმაღლეებამდე.

„ბეპოს“ კითხვისას კი პირიქით, მდაბალი ემპირიული სამყაროს მოჭარბებას ვგრძნობდი. და თითქოს იგი იმ სულის ასოციაციას იწვევდა, რო-

მელმაც ეს სამყარო წარმოგვიჩინა. არა ოდენ დიდად ნიჭიერი პოეტის თანდაყოლილი მაღლი და წმინდა სული ჰგებდა ჩემს წინ, არამედ თითქოს სამყაროსთან განუწყვეტელ შეხებას პოეტის აზროვნებაზე თავისი ძლიერი კვალი დაეტოვებინა და ისიც თავისნაირი გაეხადა. თითქოს იგივე დონისა იყო, როგორც მისი ყველა წარჩინებული და განათლებული თანამედროვე, გამოსული კაცი ან პიროვნება, რომელთაგანაც მხოლოდ გადმოცემის უბადლო ოსტატობით გამოირჩეოდა და მათ სამეცყველო აპარატს წარმოადგენდა. „ბეპოს“ გადაკითხვისას ჩემთვის ნათელი გახდა: ბაირონი ზომაზე მეტად ემპირიულია არა იმიტომ, რომ იგი მოჭარბებულად გვაცნობს ნამდვილ ცხოვრებას, არამედ იმიტომ, რომ მისი მაღალი პოეტური ბუნება დუმს, მეტიც, მას გამოაძეევებს ემპირიული აზროვნება.

ხუთშაბათი, 5 ივლისი, 1827 წ.

გოეთე ამბობდა: ბაირონს რეალური ცხოვრება ზოგჯერ ისე მსუბუქად აქვს გადმოცემული, რომ იმპროვიზაცია გეგონება. „დონ ჟუანის“ რა მოგახსენოთ, სამაგიეროდ, სხვა ლექსებიდან უხვად დამამახსოვრდა მსგავსი ადგილები. განსაკუთრებით შეუდარებელია ზღვის სცენები, სადაც წამდაუნუმ აფრა გაიელვებს ხოლმე, და იმდენად კარგადაა ეს გაკეთებული, რომ გეჩვენება, თითქოს შენ თვითონ ისუნთქავდე ზღვიდან მონაბერ სიოს.

— დონ-ჟუანში, — ვთქვი მე, — განსაკუთრებით ლონდონის აღწერამ გამაოცა, მეჩვენებოდა, რომ ამ ჰაეროვანი სტრიქონების მიღმა, მართლაც ვხედავდა ქალაქს, ამავე დროს, ბაირონი დიდი სიფრთხილით არ იწუხებს თავს, მას არ ადარდებს, საგანი პოეტურია თუ არა, იგი იყენებს ყველაფერს, დალაქის ფანჯარაში გამოდებული ხუჭუჭა პარიკიდან დაწყებული ქუჩის ლამპიონების მზეთავეებით დამთავრებული.

— მისი ქალები, — თქვა გოეთემ, — მართლაც კარგები არიან. საქმე ის არის, მამაკაცებს მოუხერხოთ რამე, ჰომეროსმა ყველას დაგვასწრო და მთელი მამაკაცური სიმამაცე და ჭკუა აქილევსსა და ოდისევსს არგუნა.

— რაც უფრო ხშირად ვკითხულობ ბაირონს, — განვაგრძე მე, — მით უფრომ ეტად მაოცებს მისი გენია და მიხარია, რომ „ელენეში“ თქვენ მას სიყვარულის უკვდავი ძეგლი აუგეთ.

— მხოლოდ ბაირონს შემიძლია ვუნოდო უახლესი პოეტური ეპოქის წარმომადგენელი, — მომიგო გოეთემ, — და ეჭვიც არ მეპარება, რომ იგი ჩვენი საუკუნის უდიდესი ტალანტია. თანაც, იგი არც ანტიკურია და არც რომანტიული. ლორდ ბაირონი დღევანდულობის ჭეშმარიტი განსახიერებაა. სწორედ ასეთი პოეტი მჭირდებოდა. ჩემს ჩანაფიქრს საოცრად კარგად მოერგო მისი მუდმივ უკმაყოფილო და მეზრძოლი ხასიათი, რამაც პოეტის მისოლუნგში დაღუპვა გამოიწვია.

ბაირონზე ტრაქტატის დაწერა მოუხერხებლად მიმაჩნია და არც ვურჩევდი ვინმეს, თუმცა ყველა შემთხვევაში მისი პატივისცემელი ვიქნები.

ჩანაწიქი
მიუიწყემული
ტუელუმიდანი

ეს ფრაგმენტები ინტენსიურად ინერებოდა ამ ორი ათეული წლის წინათ, ავტორის სტუდენტობისა და ასპირანტობის უამს. მისთვის ეს იყო დღიურისმაგვარი ჩანაწერები, რასაც მხოლოდ პირად მნიშვნელობას. ანიჭებდა საოჯახო ალბომით — ხანი რომ გავიდოდა, გადმოიღებდა და გაიხსენებდა სიჭაბუკის დღეებს, მაშინდელ ინტერესებსა თუ განცდა-განწყობილებებს.

ნაკითხვით მხოლოდ უახლოეს მეგობარს წააკითხა.

მერე ეს ჩანაწერები შეწყდება და ავტორს მათი არსებობაც კი მიავიწყდება. ახლახან იმ რვეულებს რომ მოძებნის, გადმოიღებს და სიჭაბუკის დღეებიც წამოუტივტივდება გონებაში, იმასაც შეამჩნევს, რომ არაერთი ფრაგმენტი სცილდებოდა კერძოობის საზღვრებს და მკითხველისთვისაც საინტერესო იქნებოდა. ამ თვალსაზრისით ამოიკრიბა ცალკეული ჩანაწერები და შეადგინა ორიგინალური ყაიდის თხზულება, იმ უანრისა, სულ უფრო და უფრო პოპულარული რომ ხდება ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში.



**„ჩემი ფილოსოფია არის ღმერთის ლოდინი“
— მ. ჰაიდეგერი**

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღუნიშნავთ, **მარტინ ჰაიდეგერს**, და საერთოდ ექსისტენციალური ფილოსოფიის სხვა დიდ წარმომადგენლებს — **კარლ იასპერსს**, **გაბრიელ მარსელს**, ისევე როგორც ექსისტენციალისტიკების წინამორბედებს, „ექსისტენციალიზმამდელ ექსისტენციალისტებს“ — **მიგელ დე უნამუნოს**, **ნიკოლაი ბერდიაევს**, **სიორენ კირკეგორს** თავიანთ ნააზრევში ბევრი რამ აქვთ ნასესხები ქრისტიანული ეთიკისა და სტოიციზმიდან.

ჰაიდეგერის შემოქმედებისათვის ახლო უნდა იყოს ანტიკური და ქრისტიანული პერიოდის ცალკეული მოღვაწის ნააზრევიც. ასე მაგალითად, როდესაც იგი მსჯელობს სიკვდილის პრობლემებზე (ერთადერთი მეთოდი არასასურველი გარემოდან თავის დაღწევისა, თავის თავში ჩაღრმავებისა, ეს არის აბსოლუტური მარტოობის უდიდესი ფორმა — სიკვდილი, სიკვდილი არის ხსნის, უბედურებისაგან თავის დაღწევის საშუალება — „შიშის ფენომენი“ და სხვა) პირდაპირ თუ უნებურად ეხმიანება **ლუკიანეს** (რომაელი მწერალი), რომლის აზრით, თვითმკვლელობა თავისუფლების მოპოვების უპირველესი გზაა — „მონობისაგან თავის დაღწევა მახვილით შეიძლება მხოლოდ“. აქ მონობაში ნაგულისხმევია არა სოციალური მონობა, ხოლო მახვილში აჯანყება. ლუკიანე მონობაში პიროვნების, ერთი ადამიანის ტყვეობას ხედავს, რომლისგანაც თავის დაღწევა შესაძლებელია ერთადერთი გზით — თავის მოკვლით და მახვილიც სწორედ ამისთვის გამოიყენება.

სხვათა შორის, სიკვდილი, როგორც თავისუფლების მომტანი, გააზრებული აქვს მიქელანჯელოსაც სიკვდილის წინ წარმოთქმულ ეპოქალურ სიტყვებში: — „სიცოცხლის უკანასკნელი დღე, თავისუფლების პირველი დღე“, ან „ვისაც სურს თავის თავს მიაგნოს და თავის თავით დატკბეს, განცხრომასა და სიამოვნებას კი არ უნდა მიელტვოდეს, არამედ სიკვდილზე უნდა ფიქრობდეს, „დღე და ღამ მხოლოდ იმას ვფიქრობ, როგორ დავუმეგობრდე სიკვდილს“ (ბ. ბრეგადის თარგმანი)...

გავიხსენოთ ამ კონტექსტში დიდი რომაელი იმპერატორის მარკუს ავრელიუსის ფრთიანი ფრაზაც — „ჩვენი უმაღლესი დანიშნულებაა — ვემზადოთ სიკვდილისათვის“...

ან კიდევ — „სიცოცხლისუნარიანობა, სასიცოცხლო ძალა თანდათანობით დამეშრიტა, მე, ავადმყოფურ ნერვთა სამყაროში ვარსებობ, რომელიც ყინულივით გამჭვირვალეა. ჩემთვის ჯერ კიდევ გაურკვეველია, ოდესმე შევძლებ — გავბედო და თავი მოვიკლა? ბუნება კი ჩემთვის ჩვეულებრივზე უფრო შედარებით გალამაზდა. თქვენ შესაძლოა ჩემს პარადოქსებზე სიცილიც დაიწყოთ; ვეტრფი ბუნების სილამაზეს და თვითმკვლელობაზე ვფიქრობ. მაგრამ ბუნება იმიტომ არის ლამაზი, რომ ჩემში, როგორც მომაკვდავის გამოხედვაში ირეკლება იგი“ — აკუტაგავა რიუნოსკე. და ან სედერბერგის („ექიმი გლასი“ — იალმარ სედერბერგი) სიტყვები: — „უსათუოდ დადგება დღე, როცა სიკვდილის უფლება აღიარებული იქნება იმაზე უფრო მნიშვნელოვან, ხელშეუვალ ადამიანურ უფლებად, ვიდრე საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაშვებაა. და როდესაც დადგება ეს დრო, მაშინ ყველა განუკურნებელ ავადმყოფს — ასევე ყველა „დამნაშავეს“ — საშუალება ექნება თავის დასახსნელად ექიმს მიმართოს!..“

ჰაიდეგერი შესაძლოა კარგად იცნობდა სენეკას — „თვითმკვლელობის აპოლოგიასაც“. — „ხე-

დავ იმ ფრიალო კლდეს? მისი ქიმიდან იწყება თავისუფლების გზა, ხედავ იმ ზღვას, იმ ჭას, იმ მდინარეს? მათ ფსკერზე წევს თავისუფლება. ხედავ იმ დაბალ, იმ მრუდე და უნაყოფო ხეს? მის ტოტზე ჰკიდია თავისუფლება. ხედავ შენს ყელს, შენს კისერს, შენს მკერდს? ყველა ამ ბჭით შეიძლება გაექცე მონობას" (ბ. ბრეგადის თარგმანი).

ჰაიდეგერი, გარდა ნეტარ ავგუსტინეს თეოლოგიური ნაშრომებისა, გრიგოლ ნაზიანზელისა და შესაძლოა, თვით სომეხი სასულიერო მოღვაწის გრიგოლ ნარეკაციის შუასაუკუნეების პოეზიასაც უნდა იყოს ნაზიარები..... მისი დასკვნები საოცრად ეხმიანება აღნიშნულ მამათა ზოგიერთ პოეტურ ხედვას. მაგალითად, ნაზიანზელის ლექსი მაცხოვრისადმი მიძღვნილი ან ნარეკაციისა (X საუკუნე), სადაც გადმოცემულია მორწმუნე კაცის განცდები სიკვდილის მოსვლის შემდეგ. მაგალითად:

„მე მჭევრმეტყველი, ტკბილმოსაუბრე, მაღალბმოვანი, ამაყი და გოროზი, ვწევარ დაქცეული, უსიცოცხლო გვამი. ვერმოუბარი, შეკრული ხელებით, მოჩვარული ასოებით, დადუმებული პირით, დახუჭული თვალებით, როგორც ხე გაყინული და გაფშეკილი, ქანდაკება უგრძნობი, სახე უტყვი და არაფრისმთქმელი, უსულო სხეული...

ყვავილი დამტკნარი, ბალახი გამხმარი, სილამაზე გაცვეთილი, ლამპარი ჩამქრალი, ყელი ცარიელი, მზემოკლებული, წყარო დამშრალი, სხეული განგმირული, შიგნეული დაზიანებული, ქოხი დანგრეული. ტოტებმოტეხილი, კიდურებგახლეჩილი, ხე მოჭრილი, ფესვებგადახერხილი, სადგომი დატოვებული, ველი გადამწვარი, მცენარე მოთიბული...

მიტოვებულია, უარყოფილია, ამოღებულია, გამოყოფილია, გაიქცა, გადიკარგა, გაქრა კავშირი და თანხმობა ცხოვრებასთან, მაგრამ იმედი, შენგან ნაჩუქარი, მახსოვრობას, მყარსა და შეუცდომელს, მტკიცედ ჩაუბეჭდავს" (თარგმანი ჩვენია).

თუმცა ყოველივე ზემოთ აღნიშნულს
ასოციაციური წარმოსახვის ელფერი უფრო დაჰ-
კრავს და ამიტომაც ზემოთქმულს ჩვენ მტკიცე-
ბის სახეს ამჯერად ვერ მივცემთ!.....



— „შენ გაქვს თვითმფრინავები და რადიო, მაგრამ არა გაქვს ჭეშმარიტება. მაშ რა ბედენაა შენი თვითმფრინავები და შენი რადიო, თუკი არა გაქვს ჭეშმარიტება“. ანტუან დე სენტ ეკზიუპერის ამ მარადიული ფაუსტისებური წუხილისა და ამავედროულად კითხვის პასუხი როგორც სჩანს რწმენაშია საძებნი...

როგორც ნეტარი ავგუსტინე — თავის „აღსარებაში“ აღნიშნავს, — „არიან გამოჩენილი მეცნიერნი, მოაზროვნენი, რომლებიც თავიანთი ცოდნით წინასწარ გებულობენ ამინდს, აკვირდებიან ვარსკვლავებს, ესმით ბუნების ნიუანსების, წერენ ფილოსოფიურ ნიგნებსა და ტრაქტატებს, მაგრამ არ იციან და არც ცდილობენ გაიგონ თუ საიდან აქვთ მათ ეს შესაძლებლობები, რომ ყოველივე ამის მიმცემი რწმენა და ღმერთია!.. მისი თქმით — „ჭეშმარიტება უფალშია, ხოლო უფალი გულის სიღრმეშია საძებნი“.



— რა ხშირია მსოფლიო ლიტერატურაში შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა სტილის, ეროვნების, ქვეყნის, ეპოქის მწერალი, ფილოსოფოსი ან ზოგადად შემოქმედი ერთმანეთს მსგავსს ან ზოგჯერ თითქმის იდენტურ ასოციაციებს და წარმოსახვებს ავლენს. მაგალითად გეორგ ბიუხნერთან

— „ცხოვრება — მეძავი ქალია, იგი გარყვნილობს ნებისმიერთან“, **ვახტანგ VI** — „ეს სოფელია დიაცი სიძვისა მიმაცოლელი, თავსა კეკლუცად გაჩვენებს, ბოლო აქვს დასაქოლელი, ხან შენ უბეთა მძინარი ხან სხვასთან არის მწოლელი“. იგივე არის ვაჟა-ფშაველასთანაც.



— **პოლ ვალერი** თავის ერთ ძალზედ საინტერესო ლიტერატურულ ნააზრევში („თანადროული სამყარო თვალის ერთი გადავლებით“) მოსწრებულად აღნიშნავს — „ევროპა აშკარად ისწრაფვის იმისაკენ, რომ მას მართავდეს რომელიღაც ამერიკული კომისია. მთელი მისი პოლიტიკა აქეთკენაა მიმართული“. შემდეგ კი ერებთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას აწვითარებს: — „ერები აუცილებლად პოულობენ იმის საბაბს, რომ სხვებზე მაღლა დააყენონ თავიანთი თავი. დაუსრულებელ პარტიაში, რომელსაც ისინი თამაშობენ, თითოეულს თავისი კარტი უჭირავს ხელში. მაგრამ ზოგიერთი კარტი ნამდვილია, ზოგი კი წარმოსახული. არიან ერები, რომლებსაც მხოლოდ შუა საუკუნეებისა თუ „ანტიკური“ კოზირები უჭირავთ ხელში, გარდასული და მოწინებით მოსახსენებელი ფასეულობები; სხვები თავიანთ ხელოვნებაზე, მომხიბლავ ხედებზე, ეროვნულ მუსიკაზე, თავიანთ ხიბლსა თუ თავიანთი ისტორიის კეთილშობილებაზე ამყარებენ იმედს და ნამდვილ „აგურებსა“ და ნამდვილ „ყვავებს“ შორის პარტყა-პურტყით ჩამოდიან მათ. ყოველი ერი აწმყოში, წარსულსა თუ მომავალში ეძებს იმის საბაბს, რომ შეუდარებლად მიაჩნდეს თავი“ (თარგმ. ბ. ბრეგაძის).

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, უდიდესი სულიერი თუ მატერიალური კულ-

ტურა ეს ის მარადმყარი ფასეულობები და ნიადა-
გია, რომლითაც უნდა ვიამაყოთ, ამავე დროს
მათზე დაყრდნობით ანმყოს და მომავლის დიდი
ტრადიციები უნდა შევქმნათ.



როგორც მემამათიანე გადმოგვცემს, ბაზალე-
თის ომის დროს (1626 წ.) მონინაალმდეგეთა შერ-
კინებისას — „არ იყო ზახილი, არცა ყივილი“...
მხოლოდ ასე შეიძლებოდა აღწერილიყო ამ უსახე-
ლო, ძმათამკვლელი ბრძოლის ტრაგიზმი!



ქართული უდარდულობის გამოგნებელი მა-
გალითი! ალექსანდრე მეფეს (თეიმურაზ პირვე-
ლის ბაბუა) ერთხელ დასცდენია — „ოხ, ნეტარძი,
ოხერ მექმნეს კახეთი, რათა მაქუნდეს სანადირო-
ნი მრავლადო!..“

ვახუშტი ბაგრატიონი მწარე სინანულით
სწერს — „რომელიცა ექმნა ძისა ძესა მისსა თეი-
მურაზს...“

ბედის ირონიაც ამას ჰქვია!



ხშირად ტირანთა აკვიატებული აზრები მია-
მიტურ გულუბრყვილობაში (შესაძლებელია იპო-
ქონდრია) გადაიზრდებოდა... შაჰ-აბასი პოეზია-
შიც (სასიყვარულო ჰიმნები, ლექსები) ცდიდა
ბედს. თავის ლექსებში შაჰი სწუხს, რომ იგი უფრო

დიდი რამისთვის არის დაბადებული, ვიდრე მსოფლიო მბრძანებლობაა! ხოლო სასიკვდილოდ განგმირული იმპერატორ ნერონის ბოლო სიტყვებია — ეჰ რა მომღერალი კვდებაო!



— რომის იმპერატორმა, ღვთაებრივმა ტიტუსმა (ვესპანიუს ვაჟი) მეგობრებთან სადილობისას უცბად გაიხსენა, რომ მას მთელი დღის მანძილზე სიკეთე არავისთვის ჰქონდა გაკეთებული და მწარედ აღმოხდა — „მეგობრებო — მე დღე დავკარგე!..“

ვფიქრობ, სიკეთე და კეთილის ქმნა ადამიანის სიქველეთაგან უპირველესია.



— როდესაც სამშობლოდან სამუდამოდ გადახვეწილ ჯეიმს ჯოისს ჰკითხეს — „არ აპირებთ ირლანდიაში დაბრუნებასო? — მან უპასუხა — ოდენსმე კი დამიტოვებია იგი?“ — სამშობლოს მონყვეტილი დიდი რუსი პროზაიკოსი ვლადიმერ ნაბოკოვი უცხოეთში ყოფნისას თითქმის მუდამ სასტუმროში ცხოვრობდა, რითაც კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს იმას, რომ სამშობლოს გარდა იგი ყველგან სტუმარი იყო...



ძველ რომსა და საერთოდ ელინურ სამყაროში წინასწარმეტყველებას, სიზმრებს, წინათ-

გრძნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო მისნები (დელფოს სამისნო) განსაკუთრებულ კასტას წარმოადგენდნენ. ძალზედ საინტერესოა ისიც, რომ უმეტესობა წინასწარმეტყველებისა რაღაც განსაკუთრებული ფატალური გარდუვალობის მატარებელი იყო...

მაგალითად იმპერატორ დომიციანეს ჯერ კიდევ ბავშვობაში უწინასწარმეტყველეს, რომ მას მოკლავდნენ მოღალატენი ხმლით, მიუთითეს აგრეთვე წელი, დღე, საათიც კი. რაც უფრო ახლოვდებოდა ეს დღე, დომიციანე მით უფრო ფრთხილობდა. დარბაზები სარკეებით გააწყობინა, რათა მის უკან რა ხდებოდა ან ვინ იდგა, რომ დაენახა.

წინასწარმეტყველებით როდესაც მისი სიკვდილის დღე და საათი (5 საათი) მოახლოვდა, ჩიიკეტა, არ გადიოდა. მოატყუეს უკვე 6 საათიან (სინამდვილეში 5 ხდებოდა), გაუხარდა და მეორე დარბაზში გავიდა, სადაც მოახსენეს უცნობია მოსული, რაღაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებსო... მივიდა მასთან, მიუახლოვდა და იქ მოკლეს მახვილით...



საოცარია იერონიმუს ბოსხის გრანდიოზული ტრიპტიხი (ჯოჯობითი, სანმენდელი, სამოთხე) თავისთავად, ხოლო მისი ცალკეული დეტალები როგორ ეხმიანება დანტესეული ჯოჯობეთის წარმოსახვებს! მაგალითად ყოველი წრე — სახელმწიფო მოხელეთა ცოდვები, ლიუციფერის დანტესეული აღწერა და ბოსხისეულ ლიუციფერს შორის ანალოგიები, დანტესეული სანმენდელის კარიბჭესთან მჯდარი ჩიტი და ბოსხისა — ასო აღფაზე შემომჯდარი.

ბევრ შემთხვევაში იდენტურია ნაწარმოებების ცალკეული დეტალების იდეური გააზრებაც.



დარიალის ხეობა მღვრიე, მოხეტიალი თერგითა და ცას შუბლმიყრდნობილი მყინვარწვერით, ეს ის ადგილია, სადაც ჩვენი დიდი წინაპრების, მწერლების, მოღვაწეების სიმბოლური შეხვედრები ხდებოდა. როცა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე თავის მეგობრებთან ერთად რუსეთში მიეშურებოდა, დარიალში გრიგოლ ორბელიანს შეხვედრია, რომელიც ჩაფიქრებული მღიმარი სახით მოაბიჯებდა, უკან კი მისი ეტლი მიჰყვებოდა, ხოლო როდესაც დაბრძენებული ილია ჩრდილოეთიდან დარიალით სამშობლოში ბრუნდება და თან იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ შეეყრება იგი თავის ქვეყანას და როგორ მიიღებს ქვეყანა მას, ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძე შეხვედრია, რომელიც ისევ და ისევ მე-19 საუკუნის განათლებული რუსეთისა და ევროპისაკენ მიეშურებოდა...

ამ სამმა მოღვაწემ საქართველოში დაბრუნების შემდეგ მთელი ეპოქა შექმნეს (სხვადასხვა მასშტაბით, რა თქმა უნდა) და მათი შეხვედრები დარიალში, თერგის წყლით ნაკურთხი, მყინვარწვერითა და სამეხით დალოცვილი, დიდი ძვრების მაუწყებელ სიმბოლოდ იქცა...



— დიდი მწერლებისათვის საოცრად დამახასიათებელია, სხვა მრავალთა შორის, ერთი უმთავრესი თვისება — უბრალოება, გულახდილობა, ყოველგვარი პოზის უარყოფა, შინაგანი სიმართლე.

— „დარწმუნებული ვარ, თუ ვირგილიუსი ნაკითხული მაქვს, არ მახსოვს ჰო თუ არა, მასაც გავძარცვავდი, რადგან მწერალზე ყველაფერი მოქმედებს, რასაც კითხულობს“ — ამბობდა უი-

ლიამ ფოლკნერი თავის „საუბრებში“. ამ მხრივ საინტერესოა დიდი იაპონელის — აკუტაგავა რიუნოსკეს მოსაზრებაც — „... Да и кто оригинален? То, что написали таланты всех времён, имеют свои прототипы всюду. Я тоже нередко крал“.



— ხშირად ესა თუ ის მოაზროვნე ზერელე, ზედაპირული, ნაუცბადევი შეფასების „მსხვერპლი“ ხდება და მის პიროვნებასა თუ შემოქმედებაზე სწორხაზობრივი, თვით პრიმიტიულობამდეც კი მისული შეხედულება ყალიბდება.

მაგალითად, ხშირად გვესმის ან ნაგვიკითხავს მავანთა შეფასებები, რომ მაკიაველი და მისი „მიზანი საშუალებებს ამართლებს“, ეს არის პოლიტიკაში სიბოროტის, ტირანიის, უზნეო წესების დამკვიდრების აპოლოგია და მრავალი სხვა. ზოგან მეტყველებაშიც კი დამკვიდრდა სიტყვა „მაკიაველიზმი“, უარყოფით კონტექსტში.

გფიქრობ, ამას, რა თქმა უნდა, დიდი იტალიელი მოაზროვნის შემოქმედების ზერელე, ყურმოკრული ცოდნა განაპირობებს. სინამდვილეში მაკიაველი არასოდეს ღალატობს ობიექტურ რეალობას, მარტივად რომ ვთქვათ და ისევ მას რომ დავესესხოთ, არსებობს კეთილი ქმედება, რასაც სამართლიანობა ჰქვია და არსებობს უსამართლობა, რის უკანაც უმეტესად ძალა დგას, და რაგინდ სამნუხაროც არ უნდა იყოს, ხშირად ცხოვრებაში (სახელმწიფოთა ურთიერთობაში, პოლიტიკურ ბატალიებში) პირველს მეორე ჩაგრავს. და ეს არ არის კარგი, მაგრამ ეს არის ფაქტი. აი ასეთ კონტექსტში განიხილავს იგი არსებულ რეალობას და სინდისიერად ცდილობს მკითხველს ამ სინამდვილესთან თვალი გაასწორებინოს. ამავე დროს გვთავაზობს გამოსავალსაც.

დავესესხოთ ბ-ნ ბაჩანა ბრეგაძისეულ თარგმანს (რომელსაც შესანიშნავ თარგმანთან პარალელურად უბადლოდ აქვს მაკიაველის „მთავარი“ გაანალიზებული) „მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას. სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა, უძლურია, ძალა, რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა, ტირანულია.

უძლურ სამართლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ, იმიტომ, რომ ამ ქვეყნად არ დაილევინ უკეთურნი; უსამართლო ძალა კი ყოველთვის აღაშფოთებს კეთილთ. მაშასადამე, საჭიროა ძალისა და სამართლიანობის შერწყმა; ამიტომ ან სამართლიანობა უნდა გახდეს ძლიერი, ანდა ძალა — სამართლიანი!“ (ნ. მაკიაველი).



წერილი ძმადნაფიცს —

ჩემო ძმაო როსტომ,

მივიღე შენი ბარათი და ჩემი შენდამი მონატრების დიდი სურვილი ამ ბარათის ნაკითხვით დროებით მაინც ავისრულე.

მიხარია, რომ მანდ, შეძლებისდაგვარად როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად კარგად ხარ. ბევრი არ დაგრჩა და უნდა გაუძლო. გახსოვს დიდი შოთას სიტყვები — „რაც არა გნადდეს იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასაო“. მჯერა, რომ გაჭირვებასა და განსაცდელებს გამოვლილი გაკაჟდები.

ახლა ნიკოლო მაკიაველის ვკითხულობ. მისმა „მთავარმა“ დამარწმუნა, თუ რა დიდი რანგის მოაზროვნე ყოფილა.

აღბათ დამეთანხმები, რა ბედნიერებაა, როდესაც კაცი ისეთ სიმაღლეზე ახვალ, საიდა-

ნაც ყველაფრის დანახვა-განჭვრეტა უფრო იო-
ლია და სიმართლესთან ზიარებაც ხელმისაწ-
ვდომი...

შენ ალბათ გახსოვს კინოფილმ „ფიროსმანის“
ეპილოგის ერთი ადგილი სწეულ მხატვარს რომ
ეკითხებიან (ვგონებ მეფაეტონე თუ მეეზოვე) —
„აქ რას აკეთებ ნიკალო?“ — „ვეკვდებიო“ — პა-
სუხობს იგი.

კითხვაზე ასე ზუსტად და ამომწურავად გა-
ცემული პასუხი არ წამიკითხავს და არც ვინმეს-
გან მომისმენია.

ჩვენ რომ გვკითხონ — „რას აკეთებთო“, ჩემო
ძმაო, განა შევძლებდით ასეთივე ამომწურავი პა-
სუხის გაცემას? იქნებ გვეპასუხა — „არაფერს,
უბრალოდ ვცხოვრობთო!“....

მაგრამ განა ეს იქნებოდა ნიკალასებური პა-
სუხი? ვგონებ რომ არა!

გოცნი შენი საუკუნო ძმა

გიგლა

1981 წ.



— „Такая нелепая, неуклюжая страна – это
наша Россия...“,

„В России честный человек – что-то вроде
трубочиста, которым нянки пугают маленьких де-
тей...“, ან კიდევ,

— „Вся Россия – страна каких-то жадных и
ленивых людей: они ужасно много едят, пьют, лю-
бят спать днём и во сне храпят...“ ჩეხოვის გარდა
ვის ჰქონდა უფლება რუსეთზე ასე ესაუბრა? (გა-
ვიხსენოთ ჭავჭავაძე, წერეთელი, ნიკოლო მინიშ-
ვილი...)



„ჩულიც არა მაქვს საზამთროდ, გულსა მედება ალები,

ჰნახეთ სოფელმან რა მიყო, პრესნას მწუნობენ ქალები“.

დავით გურამიშვილის თანამედროვე ემიგრანტი პოეტის დიმიტრი სააკაძის „მოსკოვური“ განცდები.



ზოგჯერ ქართველი მეფეები მსხვერპლის გაღებით იძულებულნი იყვნენ გარეგნულად მაჰმადიანობა მიეღოთ, რათა ამით შენიღბულეხ, ქვეყნის საქმეები ეკეთებინათ.

ვახტანგ VI მართალია, ბოლოსდაბოლოს აღიარა მაჰმადიანობა (ვიმეორებთ, მხოლოდ გარეშე თვალისათვის), მაგრამ სამაგიეროდ საშუალება გაუჩნდა მთელი ცხოვრება აღმშენებლობითი საქმეები ეწარმოებინა, ისევე როგორც დიდმა შაჰ-ნავაზმა (არჩილის მამა) დავით აღმაშენებლის შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა შეძლო საქართველოს დროებით გაერთიანება. საერთოდ რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სპარსეთის შაჰები ქართველ მეფეთაგან რჯულის „გამოცვლის“ გარეგნულ ფორმალობასაც სავსებით სჯერდებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ეს უკანასკნელნი შინაგანად მაინც ყოველთვის მართლმადიდებლებად რჩებოდნენ.



ვახუშტი ბაგრატიონს უდიდესი წვლილი მიუძღვის მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში, სადაც ოქროსვარაყიან მარმარილოს დაფაზე ამოძერწილი იყო უნივერსიტეტის ოთხი „წევრ-დამფუძნებლის“ სახელი — იმპერატრიცა ელისაბედის, გრაფი შუვალოვის, მ. ლომონოსოვის და ვახუშტი ბაგრატიონის.

1910 წლამდე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში იდგა ვახუშტი ბაგრატიონის ოქროს ბიუსტი. ამავე უნივერსიტეტისათვის გიორგი ბატონიშვილმა გაიღო 10 000 რუბლი, ხოლო უნივერსიტეტის პირველი კურატორი იყო სიმონ ეგნატაშვილი... ამ კონტექსტში არ შეიძლება არ გაგვახსენდეს თანამედროვე რუსი ლიტერატურათმცოდნეობის მამის, აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩოვის მადლიერი სიტყვები კიდეც ერთი ღირსეული ქართველი მამულიშვილის მიმართ:

„Вечным и лучшим памятником грузинского характера останется основанный грузином в Москве музей древнерусского искусства имени Андрея Рублёва. Низкий поклон Давиду Ильичу Арсенишвили“.



— კარგი იქნება, თუკი ყველა მწიგნობართათვის სამაგიდო წიგნად იქცევა ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები მის ნაწერების ტომეულებში რომ არის მიმობნეული ერთი საერთო სათაურით — „საქართველოს მატთანე“.

არ არის საკითხი საქართველოს ამა თუ იმ პრობლემასა თუ სატკივართან დაკავშირებული დიდ ილიას რომ არ ჰქონდეს გააზრებული და

მგზნებარე მოწოდება-წერილად ჩამოყალიბებული... იმასაც დავსძენ, თუ გსურს ილია, როგორც ერის მამა — უკეთ შეიგრძნო, აუცილებლად უნდა გაეცნო მის პუბლიცისტიკას...



— მაშინ როდესაც რემბოს ლექსები ფრანგულ და მსოფლიო პოეზიაში ახალი ერის, სიმბოლიზმის ჩასახვის (დამკვიდრების) მაუნყებლად შეიცნეს, ხოლო მისი ავტორი გენიოსად, რომელზეც საუბარი კარგ ტონად და თავის მოწონების უებარ საშუალებად იქცა, თვით არტურ რემბო, — აფრიკის ჯუნგლებში მოხეტიალე, სნეული, მშიერი, მაგრამ ამაყი, არავის გახსენებია... და არც მაშინ, როცა უკურნებელი სენისაგან გათანგული, მარსელში დაბრუნებული, ერთ-ერთ საავადმყოფოში, ფეხის ამპუტაციის შემდეგ გაგრძელებული განგრენის შედეგად, მხოლოდ დის ამარა, ყველასაგან მიტოვებული მიიცვალა. ბედის დაცივნა, სხვა რა უნდა ეწოდოთ საავადმყოფოს აღრიცხვის ჟურნალში ექიმის მიერ ჩანერილ სიტყვებს — ამა და ამ წლის თვესა და დღეს გარდაიცვალა ნეგოციანტი რემბოო.

სწორედ ამ დროს კი მისი სახელი მსოფლიოს ყველა განათლებულ კაცს პირზე ეკერა...

ადამიანებს როდესაც გულქვაობას გვნამებენ, გვწყინს. ნუთუ რემბოს მაგალითი ამის ნათელსაყოფად არ კმარა! და განა მარტო რემბოსი!?"



ყოველ ეპოქას თავისებური მიდგომა და ხედვები ახასიათებს.

— საოცარია, მაგრამ ფაქტია, XIX საუკუნე არ სცნობდა ძველ რუსულ მხატვრობას, მათ „ბოგო-მაზებს“ („Богомазми называли“) უწოდებდნენ. აი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან კი რუბლიოვის რეპროდუქციები, იმ რუბლიოვისა, რომელსაც XIX საუკუნეში „ვილაც რუბლიოვად“ მოიხსენიებდნენ, რაფაელის დონეზე აყენებენ, ხოლო მისი „სამება“ მსოფლიო ხელოვნების ნიმუშთა შედევერების სიაშია შეტანილი.



„ხშირად წარსულის შედევერებს ისე გაიაზრებენ ხოლმე, მის შემქმნელს რომ აზრადაც არ მოსვლია. მაგალითად, ფრიად საეჭვოა, თითქოს სერვანტესი თავისი მხიარული პაროდის შექმნისას იმ სიმბოლურ დანიშნულებას გულისხმობდა, რასაც თანამედროვე მკითხველი „დონ კიხოტში“ ეძებს და პოულობს“. — ფრიდერბერტ ტუგლასის ამ მოსაზრებას, კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დაეთანხმო ან არ დაეთანხმო, მაგრამ ხშირად კრიტიკოსები ამა თუ იმ ლიტერატურის თუ ხელოვნების ნიმუშის შეფასებებისას ზედმეტად თვითდაჯერებულნი და კატეგორიულნი რომ არიან, ეს ფაქტია.

განა თვით პიკასო (სრული სახელი — პაბლო დიეგო ხოსე ფრანცისკო დე პაულა ხუან ნეპაუკენო კრისტინ კრისპიანო დე ლა სან ტისიმა ტრინდად რუის პიკასო) ღიმმორეული არ აღნიშნავდა — „რა ხალხია ეს კრიტიკოსები, ნახატის ხატვის დროს რაზე ვფიქრობ და რისი თქმა მსურდა თავად მე არ მახსოვს და ესენი რას ბითურობენო?“

მართლაც ცოტა ძნელი დასაჯერებელია კრიტიკოსის, რომელიც დაბეჯითებით გარწმუნებს, თუ რაზე ფიქრობდა პიკასო „ცეცხლმოდებული ჟირაფის“ ხატვისას...



ეკლესიის მამის ტერტულიანეს სიტყვები — „მრწამს, რადგან აბსურდია“ — მრავალი საუკუნის შემდეგ ალბერ კამიუს მხატვრული და ფილოსოფიური ნააზრევის თავისებურ ქვაკუთხედად იქცა. იგი წერს — „აბსურდი უნდა იწამო“.



„Так как я действую на малом корабле, меня называют разбойником, а так как ты действуешь на большом флоте, то тебя называют царём“ — ეუბნება მაკედონელს ტყვედ ჩავარდნილი მეკობრე...

ჩვენს წელთაღრიცხვამდე უბრალო მეკობრის მიერ ნათქვამი ეს საზრიანი სიტყვები დღესაც გასათვალისწინებელია, რამეთუ შედარებით სუსტს, შედარებით მცირეს და შედარებით პატარას ძალზე ცოტა რამ მიეტევება ამ ქვეყანაზე.

და რახან მეკობრეზე ვთქვით, მახსოვრობის მოხმობით გავიხსენებ „პირველ მეკობრეს“ — პოლიკრატე სამოსელს (VI საუკუნე ჩვ.წ. აღმდე), ხმელთაშუა ზღვაზე რომ დათარეშობდა... სამი საუკუნის შემდეგ ამ საქმის „დიდოსტატნი“ ილირიელები იყვნენ თავიანთი ბრძანებლის სკუტარის თავკაცობით, რომლებიც შემდეგ კილიკიელებმა შეცვალეს. იმ კილიკიელებმა, რომელთაც ერგოთ პატივი თვით იულიუს გაიუს კეისარიც კი დაეტყვევებინათ (თუმცა ამ უკანასკნელმა ტყვეობიდან დახსნის შემდეგ უმკაცრესად იძია მათზე შური. შეიპყრო და ჯვარზე გააკრა...).



ხელოვნების დანიშნულების და ადამიანის მასთან დამოკიდებულების თავისებურ ხედვას ვხვდებით დიდი იაპონელი მწერლის — აკუტაგავა რიუნოსკეს შემოქმედებაში.

მას მიაჩნია, რომ ხელოვნება — ეს არის უპირველესი, უმთავრესი, ყველაფრისმომცველი. კაცობრიობის არსებობის მიზანი ხელოვნებაა, ხელოვნებისთვის ნებისმიერი მსხვერპლშენიშნაა გამართლებული, რომ ადამიანის სიცოცხლე — „ბოდლერის ლექსის ერთ სტრიქონადაც არ ღირს“, ხელოვნება უკვდავებაა და ადამიანის მოსვლაც, მხოლოდ ხელოვნების არსებობის თვალსაზრისით არის გამართლებული, რომ ხელოვნება მარადისობაა და თუკი დედამიწას და ხელოვნებას არსებობა უწერიათ, უწერიათ მხოლოდ ერთად და არა ცალ-ცალკე...



რამდენი რამ უნდა სცოდნოდა და წაეკითხა რიუნოსკოს, რომ ასე მსუბუქად, „ძაღობისა“ და „ჯახირის“ გარეშე დაეწერა მოთხრობა „ვალდმნეპი“, ტოლსტოისა და ტურგენევის შესახებ. მისთვის დამახასიათებელია კოლოსალური განათლება, რაც ერთი შეხედვით არ ჩანს, თვალში არ გეცემა, მაგრამ როგორ იგრძნობა ეს დიდი ცოდნა მისი მოთხრობების მიღმა. ახალგაზრდობიდან სიცოცხლის ბოლო დღეებამდე იგი დამშეულივით ნთქავდა ახალ-ახალ წიგნებს, საიდანაც მიღებულ ტევად ინფორმაციას სტილის, ანალიზისა და გემოვნების ჩამოყალიბებისათვისაც იყენებდა, რჩებოდა რა ამავე დროს საოცრად ორიგინალური და კოლორიტული. გადაკითხული წიგნე-

ბიდან მიღებული უზარმაზარი განათლება როდი
თრგუნავდა. მას, როგორც სხვა ბევრ დიდ მოაზ-
როვნეს, შეეძლო ამოკითხული სიახლის გადახარ-
შვა და ამ სიახლისაგან მიღებული ბიძგით დაუ-
ვინყარი მხატვრული სახეების შექმნა.



— სიმართლის მომღერლად მომქონდა თავი,
მაგრამ ილუზიები მომატებულ წლებთან და
ცხოვრებასთან უფრო ახლოს გაცნობის შემდეგ
საპნის ბუშტივით სკდებიან და არაფერიღა მრჩე-
ბა... ყოფილი ილუზიები კვალსაც აღარ მიტოვე-
ბენ სამახსოვროდ. ხახამშრალი ვრჩები, რამეთუ
ერთმანეთის მიყოლებით კარგავ იმას, რასაც ყვე-
ლაზე მეტად ვინვითარებდი და ვაფასებდი. სი-
მართლე სიცრუედ მექცა, სიცრუე — მოჩვენებით
სიმართლედ, კეთილი — ბოროტებად, ბოროტება
— სიკეთედ.

ყოველ მორიგ გაფართხალებას უარესი მო-
აქვს. თავისუფლების ნაცვლად ცხოვრების მიერ
გაბმულ ქსელში კიდევ უფრო ძლიერად ვეხვევი,
ვიფლობი, მის ხაოიან საცეცებს თითქოს ტანი
გრძნობს.

მანქანა, რომელიც ხორცის სატარებელ ხელ-
საწყოს წააგავს, თავის საქმეს შეუცდომ-შეუფერ-
ხებლად აგრძელებს. ამ მანქანასთან ცხოვრები-
სეული დინება მიგვერეკება ადამიანებს, რომლებ-
საც სათითაოდ ყველას რაღაცა თავისი გვაქვს,
რაღაცით გამოვირჩევით, რასაც „ჩვენი მე“ ჰქვია,
მაგრამ ამ მანქანაში გავლის, დაპრესვა-დაკეპვა-
გატარების შემდეგ, ერთმანეთის მსგავს, სერიუ-
ლი გამოშვების, უცხვირპირო არსებებად ვიქცე-
ვით. ამას კი მასა ჰქვია. მხოლოდ ზეადამიანებს
ძალუძთ ამ გარდუვალი ამაოების პროცესისაგან
თავის დაღწევა...

რწმენა ღალატით გაცემულია, ურწმუნონი გვირგვინებს იდგამენ, კუმირები ხდებიან, მასა კი დამუშავების შემდეგ ამ „კუმირთა“ მთავარი დასაყრდენია, ქვევრივით ჩაძახიმლს რომ ამოგძახებენ. აი, რატომ არის საჭირო უთვისებო, ღირსება-დაცლილი მასად წოდებული უსახო ერთობა ინდივიდთა, დაჩლუნგებული ჩამქრალი აზროვნებით და ბნელ, ყველაფრის წამლევ ძალად ქცეული გამოღვიძებული ველური ინსტინქტებით! (ფ. კაფკას მეგობართან საუბრებიდან და... ჩემი და როსტომის საუბრებიდანაც).



— „ყველას, ვინც კი გერმანიის მოქალაქეობას მიიღებს, უნდა ახსოვდეს, რომ ეს უდიდესი პატივია და უმჯობესია გერმანიაში მეეზოვე იყო, ვიდრე მეფე სხვა რომელიმე სახელმწიფოში“. **ადოლფ ჰიტლერის** ეს სიტყვები („ჩემი ბრძოლა“) სამოქალაქო პატრიოტიზმის საინტერესო ნიმუშია!



1980 წლის 1 ნოემბერი პავლე ინგოროყვას დაბადების დღეა. ჩემმა ძმადნაფიცმა და მეგობარმა, როსტომ ჩხეიძემ პირობა შეასრულა და მომცა უნიკალური საშუალება ამსრულებოდა დიდი ხნის ნანატრი — გავცნობოდი დიდ პავლე ინგოროყვას, მისსავე სახლში, სამუშაო ოთახში. — „როგორ არის საქართველო, ახალგაზრდებო?“ — ამ კითხვით შემოგვეგება ქართული მეცნიერების პატრიარქი და სამუშაო ოთახში შეგვიძღვა. თავზე ქუდი ეხურა, გაცრეცილი კოსტიუმის საყელოები აწეული ჰქონდა, ფეხზე თბილი, ოდნავ ყელია-

ნი ფეხსაცმელები ეცვა. როსტომმა ჩემი თავი წა-
რუდგინა. — „რას იტყვი, როსტომ, საქართველო-
ზე?“ — იკითხა მხცოვანმა მეცნიერმა და შევაბი-
ჯეთ დიდი მამულიშვილისა და მოაზროვნის უძი-
რო სამყაროში. რუსთაველი და გიორგი მერჩულე,
ხეთური წარწერები და ქართველი წარმართი მე-
ფენი, დასავლეთ ევროპის ცივილიზაცია და სა-
ქართველო, ქართველი ერის სულიერი მისია და
ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, უფლის
კვართი და ქართული მართლმადიდებლური სამ-
ყარო... მას შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა. ბ-ნ
პავლესთან რამდენიმე გზის შეხვედრას ალბათ
ოდესმე დეტალურად აღვწერ...

— „პავლე ინგოროყვას არ ამშვენებს ამ სოფ-
ლის ტიტულატურა... მაგრამ თუ აუცილებელია
ტიტულატურა მას ჩვენ დიდ წინაპართა მარტყო-
ფელისა და მოდრეკილის მსგავსად უნდა ეწოდოს
პავლე შეწირული ან პავლე ჯვარცმული. შეწირუ-
ლი იმიტომ, რომ იშვიათად ნახავთ, ისიც ახალი
დროის პერიოდში ადამიანს, რომელიც ასე დე-
მონსტრაციულად განდგომოდეს ამა სოფლის სი-
ამეთა ცდუნებას და მთელი არსებით შეწირვოდეს
თავისი სათაყვანებელი ქვეყნის სულიერი განძის
წარმოჩენასა და განდიდებას, ხოლო ჯვარცმული
იმიტომ, რომ ასევე იშვიათად ნახავთ ადამიანს,
რომელიც ოფიციალური სახელმწიფოთა სტრუქ-
ტურებისა და ამა სოფლის ძლიერთა მიერ ასე
იყოს ნატანჯი და გარიყული, გაკიცხული და
მსჯავრდადებული“... — წერს პროფესორი რევაზ
ბარამიძე („პოეტური გზების მკვლევარი“) და
ალბათ სხვა განმარტებები აქ უკვე ზედმეტია.



სახუმაროდ სათქმელი. ნათესავ-მეგობრების
მოძალების გამო უპრინციპო გადაწყვეტილების

მიღებას არა თუ ჩვენ, თვით პლატონმაც კი ვერ გაუძლო, როდესაც თავისი აკადემია უანდერძა არა თავის ღირსეულ მოწაფეს — არისტოტელეს, არამედ ნაკლებად ღირსეულს, მაგრამ ნათესავ-სპევიპეს.



რა მდიდარი და მუხლმაგარია ქართული ენა, არაფრით არ ეგების ჩვენი მწერლების მრავალფეროვანი ლექსიკის, ამ ოქროს საუნჯის, მივიწყება. მაგალითად: გული დამიცოტავდა, მარაგიანი ღამე, გაუბზარავი სიჩუმე, ძალი გაიხშირა, წუნქვადობა, დაქორმნევრობა, ჭაშნიკალებული, სიმხნე და ტომკეთილობა, საუბარკეთილი, ლაპარაკტკბილი, სიყვარული გაცვითეს, გულბილწი, თაფლწვეთილი, სულ გასხვაპურდა, გადაჟამყრუებული, გულმდედრი და მრავალი სხვა...



რა ნაკლებად ვიცნობთ ჩვენი თანამემამულის (მე-20 საუკუნის უდიდესი მისტიკოსის, ფილოსოფოსის, მოძღვრის) გიორგი გურჯიევის ცხოვრებასა და შემოქმედებას. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ დანერილა, მის გავლენას შენიშნავენ და უკავშირებენ მრავალ მწერალსა თუ მოაზროვნეს (ბოდლერს, რემბოს, ნერვალს, ლოტრაემონს, მეტერლინკს, კლოდელს, უელსს, კიპლინგს, მალარმეს, ჟიდს, ჯოისს, შტაინერს), ხოლო მის მოწაფეებად და მიმდევრებად აცხადებენ — ოლდოს ჰაქსლის, ეტრინ მენსფილდს, დევიდ ლოურენსს, კრიშნამურტის, რენე დიუამელს და სხვებს.

მორპემ მუნსონი უფრო შორს მიდის და გვიცხადებს — „გურჯიევთან შედარებით ნიცშე პროვინციელი ხატუმებრძოლიაო...“, ასევე — „კავკასიამ ჩვენს ეპოქას ორი გრანდიოზული ფიგურა მისცა, სტალინი და გურჯიევი“.

— „ევროპაში გამეფებული იყო რწმენის კრიზისი, როცა საიდანაც კავკასიიდან, მოვიდა გურჯიევი თავისი წმინდა, შეურყენელი დოქტრინებით და ახლა მთელი დასავლეთის ელიტა განიცდის მის გავლენას...“ — წერს ლუი პაუელსი.

გიორგი გურჯიევი, პილიგრიმის დარად სულ მოძრაობაში იყო. იგი 25 წლის განმავლობაში მოგზაურობდა ტიბეტსა და ინდოეთში, ხოლო მისმა მიმდევრებმა სპეციალური სკოლები დააარსეს ბომბეიში, ალექსანდრიასა და ქაბულში. მისი ნაწარმოებებია — „მოთხრობა ბელზებელისა და მისი შვილიშვილის შესახებ“, „წარსული ცივილიზაციის ნაყოფი და ახლის ყლორტები“, „მომავლის მაცნე“, „უცნობ მოძღვრებათა ფრაგმენტების ძიებაში“...



— „Необязательно сильный народ многочислен, а слабый малочислен. Дело не в числе людей, принадлежащих к данному народу, а в уверенности и стойкости его национальных традиции“. კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან არაერთხელ დადასტურებულა დიდი რუსი მკვლევარის დიმიტრი ლიხაჩოვის ეს სიტყვები. და ისევ დიმიტრი ლიხაჩოვი საქართველოსა და ქართველებზე: „В Грузии природа так огромна, что она уже не в простом союзе человеком, она мощно ему покровительствует, обнимает его, вдыхает в него богатырский дух... Природа Грузии и в самом деле мощно принимает

человеска и делает его сильным, величественным и рыцарственным". („Заметки о Русском“).



— „ქართლისა მშვიდობისა, საზღართა განგებისა,

მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა,
მტერთა გარემოცვისა, ტყვეთა მოქცევისა,
ჟამთა დაწყნარებისა, ქრისტიანობის დამტკიცებისთვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“.

პალესტინაში მოღვაწე ქართველი ბერების ეს სულისშემძვრელი ლოცვა თავისებური პროგრამაა ქართული სახელმწიფოს სიძლიერისათვის.



„Снаряды подчёркивали свой изящные росчерки чёрной кляксой смерти и грома“ — მხოლოდ ჟან კოკტოს პოეტურობას შეეძლო პირველი მსოფლიო ომის დროს, სანგრებში მიღებული შთაბეჭდილებების ასე ხატოვნად აღქმა.



ჩვ. წ. აღ-მდე ბოლო და ჩვ. წ. აღ-ის პირველი საუკუნეები... რომის სამოქალაქო, წარმართულმა რელიგიამ თავი ამოწურა, მსოფლიო იმპერიის მოქალაქე თავის სათაყვანებელ რელიგიასა და კერპებში დაეჭვებული მარტო რჩება, ხოლო გარესამყაროს უძირო და უკიდევანო შეუცნობელ სივრცეში ეულად ყოფნა ადამიანს არ ხელეწიფებოდა...

— „როცა ღმერთები აღარ იყვნენ, ხოლო ქრისტე კი ჯერ კიდევ არ სჩანდა, ციცერონიდან მარკუს ავრელიუსამდე იყო ისეთი პერიოდი, როდესაც მხოლოდ ადამიანი იყო“ — გვაუწყებს ჟან დ'ორმესონი.

და სწორედ ამ დროიდან იწყება ქრისტეს მოსვლით ჟამი ჩვენი გადარჩენისა!



„კაცში ერთსა და იმავე დროს არის მამის მკვლეელიც და მამის მოსიყვარულეც, მაგრამ ამ გრძნობის პოვნა შეუძლებელია ჩვეულებრივ ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანის მიერ... იგი უფრო ღრმადაა დამარხული ადამიანის ბუნებაში“. — **ფროიდის** ამ დაკვირვებამ თავისებური გამოდახილი ხომ არ ჰქოვა რომან „მთვარის მოტაცების“ ერთ-ერთ ვარიანტში, სადაც რომანის გმირი (არზაყანი) საკუთარ მამას (კაც ზვამბაიას) ჰკლავს?..



— „მშვენიერი არის ის, რაც სასოწარმკვეთია“ — **წერდა პოლ ვალერი** თავის წერილებში მალარმეს შესახებ. აი სოკრატეს მიხედვით კი — „მშვენიერება ეს არის მზერისა და სმენის სიამოვნებაო“, მაგრამ შემდეგ მიხვდა რა, რომ ეს განმარტება ვერ იყო ამომწურავი, რადგან გამორჩა მშვენიერი კანონებისა და ზნე-ჩვეულებების მშვენიერება — დაასკვნა — მშვენიერება ეს თავის თავშიაო“.



— „ბალახი ვიყო სათიბი
არა მნადია ცელობა,
ცხვარად მამყოფა უფალო
ოღონდა ამცდეს მგელობა...“ (ვაჟა). „გველის-
მჭამელის“ ავტორის გარდა ვის შეეძლო ეს სტრი-
ქონები დაენერა?



ანდრე მორუას სიტყვები ბალზაკის სიკ-
ვდილზე — „მიაღწია მიზანს და კვდებოდა რო-
გორც ანტიკური მალემსრბოლი!..“

ბოლოსიტყვაობის მაგიერ

(ფრაგმენტი სტატიიდან
„ზარი, ზარები ზარი“)

ჯავახეთშიც ყოველი მხრიდან ისტორია შემოგანათებს და მერაბ ბერიძესთან ერთად მგ ზავრობა იმითაა დასამახსოვრებელი, რომ მანქანის ქროლვაშიც ასწრებს ყველაფერი დაგანახოს, გაგაცნოს, გაამბოს: რაც იქვეა, რაც შორს მოჩანს ან სულაც მთებს გადაღმაა. ისტორიული კალეიდოსკოპი ჩაიქროლებს და აგერ ახალქალაქიც. ქროლვაც იმისია, რომ დათქმულ დროზე ჩამოვუსწროთ ქალაქის გამგებელს და საბოლოოდ შეთანხმდეს აქ დღე-დღეზე გასახსნელი უნივერსიტეტის ადგილსამყოფელი.

გადასაწყვეტი გადანყვეტილა, საქმე უკვე აქამდე მისულა და ვიდრე ახალქალაქის უნივერსიტეტის საბოლოო სახე ჩამოყალიბდებოდა და ახალქალაქი თანდათანობით საუნივერსიტეტო ქალაქად გადაიქცეოდა, ჯერ ის რამდენიმე ფაკულტეტი უნდა შეეფაროს რომელიმე შენობას, დიდი შემობრუნების სათავედ რომ გვეგულება: ქართულ-სომხური, მათემატიკური და მუსიკალურ-პედაგოგიური. ოღონდ მოსამზადებელი კურსების გარეშე არ ივარგებს და ესეც წინასწარვეა შერჩეული: ქართული ენა, საქართველოს ისტორია და მათემატიკა.

გიგლა ბარამიძეც ჩვენთან ერთად უნდა წამოსულიყო, მაგრამ ბოლო წუთის საქართველოს პრეზიდენტის დავალებამ ჩამოუსწრო და ახალქალაქის გამგებელთან შეხვედრა მერაბ ბერიძეს მიახლო, ახალციხის უნივერსიტეტის რექტორსა და ამ ახალჩამოსაყალიბებელი ფილიალის უშუალო მეურვეს: ის რამდენიმე ფაკულტეტი ახალციხის

უნივერსიტეტის განაყოფადაა ჩაფიქრებული თავიდან. მერე ხომ...

გუბერნატორი გიგლა!

– არ ავცდეთ, ბიჭო, – სპექტაკლს ან ლიტერატურულ საღამოს თუ უნდა დავსწრებოდით, რატომღაც შფოთავდა და, შეხვედრის ადგილს რომ დავთქვამდით, ყოველთვის მაფრთხილებდა: თუ ბევრი ხალხი იქნა და ერთმანეთი ვერ მოვძებნეთ, მაშინ უკვე აქეთ დაგელოდებიო, – და ასი-ორასი მეტრის იქით მეორე ადგილსაც დაიბევებდა.

ერთმანეთი არასოდეს დაგვიკარგავს, მაგრამ ის მაინც: არ ავცდეთ, ბიჭო...

მთელს დღეს ერთადაც რომ ვყოფილიყავით, შინ დაბრუნებულნი მაშინვე ტელეფონს მივევარდებოდით... რა გვქონდა მაინც ამდენი სალაპარაკო...

ძველ, აკრძალულ წიგნებსაც მალულად ვუცვლიდით და როტოპრინტზე მკრთალად ნაბეჭდ თვითგამოცემებსაც. მე წავაკითხე ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ რუსულადაც და, ქართული თარგმანი ხელთ რომ ჩამივარდა, ერთ-ერთ პირველს მას ვათხოვე. გიგლამ წამაკითხა ალექსანდრ სოლჟენიცინის „კიბოიანთა კორპუსი“... მე წავაკითხე გიორგი მაზნიაშვილის „მოგონებანი“, გიგლამ წამაკითხა ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსულიდან“... მე ვუსახსოვრე შავჩოხიანთა ფოტოსურათი, გიგლამ მისახსოვრა გრიგოლ რობაქიძის ფოტო... რაც რამე ვიცოდით 21-ისა თუ 24-ის ტრაგედიებზე, ერთმანეთს ეუამბობდით, დაღუპული ძმებივით გვანვა გულზე კოჯორ-ტაბახმელაში ჩანოლილი იუნკრები, ორივეს გვიყვარდა მარო მაყაშვილი და საშინლად გვაფორიაქებდა თეიმურაზ ხევისთავის ბედისწერა...

რამდენჯერმე პავლე ინგოროყვაც ერთად მოვინახულეთ და მისი იმ პირველი საღამოს მომზადებაში – 1980 წლის 20 ნოემბერს – გიგლას თავისი წვლილი მიუძღვის... გვქონდა აკვიატებული სტრიქონებიც, ზოგი იცვლებოდა, ზოგიც რჩებოდა და რჩებოდა და უხილავ მელოდრასავით გას-

დედა ჩვენს ხეტილა შეხვედრებს: „მეც ხომ მოეკედები, ვით მოკედა ენქიდუ, შიგანში ნალელი შემეპარა“... ან: „დარჩი, ქვითინებს ჰაერში მარში, მაგრამ ვერავის ქვეყნად ვერ შეელი“... ან კიდევ: „შეესვამთ სანამლავს ჩვენ როგორც მირონს, პირველად შენ თქვი ეს ალავერდი“...

– არ ავცდეთ, ბიჭო!..

ის დრო გადავლილა, ის ორი ბიჭიც სადაც დაკარგულა და მათ სახეებს მოათივტივებს ფიქრი და სახელოზე შეხსნილი ღილი. გიგლა სადაც უნდა მოხვდეს, ჩემს სახელს ახსენებენ თუ არა, მაშინვე მაჯაზე იხსნის ღილს და სახელოს იკაპინებს, რათა კარგად დაინახონ ის ნაჭრილობევი, ჩვენი ძმადნაფიცობის კვალი.

– აი, ნახეთ...

ჩემი არ იყოს.

ახლაც დანის იმ ნაკვალევს დავყურებ, ყველა წესის დაცვით აღსრულებული რიტუალი რომ დაავიროვინა. სწორედ იმ ზაფხულს ხევში ვიყავით იორამ ღუდუშაურთან და ეს წესები საგანგებოდ გამოვიკითხეთ... და თან იმ ბარელიეფსა და წარწერასაც დავეძებდით გერგეტის სამებაზე: ხარი ლაბა, მწყემსი თედორე...

– არ ავცდეთ, ბიჭო...

როსტომ ჩხეიძე

შინაარსი

მეცნიერება

ბიბლიურ ციტატათა სტილური ფუნქცია „შუშანიკის წამების“ ქართულ და სომხურ რედაქციებში.....	7
თეზისები რუსულ ენაზე.....	14
მხითარ გოშის, ვარდან აიგეცის და სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულების ურთიერთმიმართებისათვის (ყანრის ისტორიიდან).....	15
თეზისები რუსულ ენაზე.....	50

სულხან-საბა ორბელიანის, მხითარ გოშისა და ვარდან აიგეცის იგავ-არაკთა მხატვრული თავისებურებების შეპირისპირებითი ანალიზი.....	52
---	----

ლიტერატურულ პარალელები (ქართულ-სომხური ლიტერატურის ურთიერთობის ისტორიიდან. „სიბრძნე სიცრუისას“ რამდენიმე ფოლკლორულ-ლიტერატურული პარალელი სომხურ მწერლობაში).....	61
თეზისები ქართულ ენაზე.....	67

მხითარ სებასტიაციის „რიტორიკის“ ქართული რედაქციების საკითხისათვის (მხითარ სებასტიელის „რიტორიკის“ დოსითეოზ ჩერქეზიშვილისეული ქართული რედაქცია. ტექსტოლოგიური ანალიზი).....	68
თეზისები ქართულ ენაზე.....	74
თეზისები რუსულ ენაზე.....	76

წერილობითი წყაროები უფლის ხელთუქმნელი კვართის შესახებ და ტურიანის მოსასხამი (ქართული, სომხური, სირიული, ევროპული წერილობითი დოკუმენტები და გადმოცემები ხელთუქმნელი კვართის შესახებ).....	77
---	----

ივანე ჯავახიშვილი – სომხეთის ისტორიისა და კულტურის მკვლევარი.....	96
--	----

პუბლიცისტიკა

„მფოთი ილტვის ბრძენთაგან“.....	107
„გირჩევ ნუ აქცევ ზღუდებსა შენს ზურგის მისაყუდებსა“.....	113
საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უნმინდესსა და უნეტარესს ილია II.....	136

თარგმანი

იოჰან პეტერ ეკერმანი – საუბრები გოეთესთან	147
---	-----

ჩანაწერები მივინყებული რვეულებიდან.....	161
---	-----

ბოლოსიტყვაობის მაგიერ (<i>როსტომ ჩხეიძე</i>).....	187
---	-----

გიგლა ბარამიძე (დაბად. 1960 წ. თბილისი)
ცნობილი ქართველი მეცნიერებისა და პედაგოგების ოჯახიდანაა... როგორც ნიჭიერი ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან მონაწილეობდა ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და თარგმანის ავტორი.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტისა და ასპირანტურის წარმატებით დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა დროს იგი აქტიურად იყო და არის ქვეყნის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში ჩაბმული, ძალზედ საინტერესო და მრავალმხრივია მისი სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობა, რაც მუდმივად თანმდევია მისი ცხოვრებისა.

ადრეული შუა საუკუნეების ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობები, ხელთუქმნელი კვართის ქართული, სომხური და სირიული წყაროები, ლიტერატურათმცოდნეობითი ძიებანი, ანტონ კათალიკოსისა და მხითარ სებასტაციის რიტორიკის რედაქციები, იგავ-არაკული ჟანრის ისტორიიდან და მრავალი სხვა. აი, ის მოკლე ჩამონათვალი ევროპელი და სომეხი მწერლების თარგმანებთან ერთად, რომელიც მის ინტერესთა სფეროშია მოქცეული...

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ნაშრომი სოლიდური (ახლებური მიგნებებით) შედეგების დასტურია (მაგალითად ბევრი შრომაა განეული მხითარ სებასტაციის რიტორიკის ანტონ კათოლიკისისეულ, დოსითეოზ ჩერქეზიშვილისეულ და ფილიპე ყაითმაზაშვილისეულ რედაქციების შეჯერებისას. შესწავლილია 51 ხელნაწერი, რომელთაგან დიდი ნაწილი 400 ფურცელს აღემატება! მათზე მუშაობა და შემდგომი კვლევა-ძიება-ანალიზი დღემდე გრძელდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველგან შეინიშნება ღრმა ერუდიცია და ინტელექტი.

წინამდებარე ნაშრომი გათვალისწინებულია ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევართა, კრიტიკოსთა და მკითხველთა ფართო წრისათვის.